პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული გვარდა განცხადების ფასისა იხდის 10% სახელმწ. გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხელშეკრულ ტექსტის შეუცვლელად-მეტივეთი "მ- თანხმობით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამძიმარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ამერიკაში იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი.
— გენრი ფორდმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ინანიებს თავის მტრულ განწყობილებას ებრაელებისადმი.
— გერმანიის რეიხსტაგი დაითხოვეს საზაფხულო არდადეგებზე.
— პოლონეთის სეიმის საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო ახალი საარჩევნო კანონპროექტი.
— ოხაიოში (ინგლისი) გრძელდება მემაღაროეთა გაფიცვა.

სამშაბათი, 12 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 156 (1901)

რაციონალიზაციის პრაქტიკული საკითხები

წარმოების რაციონალიზაციის საკითხებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ კავშირებს. კავშირების საშუალებით ამ საქმეში შეიძლება აქტიურათ ჩაბმა მუშათა ფართე მასები. საქართველოს პროფკავშირების უკანასკნელმა ყრილობამ მიმდინარე წლის მაისში ამ საკითხის შესახებ აღნიშნა შემდეგი: „პროფესიონალურმა კავშირებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება წარმოების რაციონალიზაციის მიმართ. რაც ამჟამათ წარმოადგენს საბჭოთა მრეწველობის მნიშვნელოვან ამოცანას. წარმოების ტეხნიკის და ორგანიზაციის გაუმჯობესება უახლოესი გზაა მუშათა კლასის კულტურულ და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. კავშირები არ უნდა დაკმაყოფილდენ წარმოების რაციონალიზაციის საქმეში სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევით, არამედ თვითონ უნდა გამოიყენონ მუშების წარმოებითი გამოცდილება და ამ საქმეში გამოიჩინონ ინიციატივა“.

კავშირების მონაწილეობა წარმოების რაციონალიზაციაში უმთავრესათ შეიძლება გატარდეს საწარმოო თათბირების საშუალებით და უშუალოთ თვით კავშირების ორგანოების მიერ. თათბირებზე რაციონალიზაციის საკითხების დასმა და გარჩევა უნდა ხდებოდეს როგორც თვით მუშების ინიციატივით, ისე ადმინისტრაციის მიერაც რაციონალიზაციის ყველა ის ზომები, რომელსაც ადმინისტრაცია ატარებს, წინასწარ უთუოდ უნდა ირჩეოდეს საწარმოო თათბირებზე. ისეთი საკითხებიც, რომელნიც უდავო არიან და არ მოითხოვენ შესწორებას, ადმინისტრაციამ ინფორმაციის სახით უნდა დასვას თათბირზე. ასეთი ინფორმაცია საშუალებას მისცემს მუშებს გაერკვენ ადმინისტრაციის მიერ გასატარებელ ზომების მიზანშეწონილობაში. თუ ასეთი ინფორმაცია არ არსებობს, შეიძლება მუშებმა ადმინისტრაციის ზოგიერთ ზომებს უარყოფითად შეხედონ, რაც უთუოდ გავლენას იქონიებს ნაწილობრივი შრომის ნაყოფიერების შემცირებაზე.

მუშების ზურგს უკან ადმინისტრაციის მიერ არ უნდა ტარდებოდეს არც-ერთი ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი საკითხი. აზრთა გაცვლა-გამოცვლას შეუძლია დიდი სარგებლობა მოიტანოს, როგორც საწარმოო საკითხების სწორათ გადაჭრაში, ისე შეგნებული შრომის დისციპლინის გაძლიერებაში.

მუშების ინიციატივას შეუძლია ფრიად საგრძნობი როლი ითამაშოს წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. თვითეული მუშა აღჭურვილია რამოდენიმე წლის წარმოებითი გამოცდილებით. მუშაობის მთელი რიგი წვრიმალებს დაზგის მუშა უფრო იცნობს, ვიდრე ზოგიერთი სპეციალისტები. ხშირათ ეს უკანასკნელნი ვერ ამჩნევენ დეფექტებს. მუშისათვის კი ყოველგვარი დეფექტი ადვილი შესამჩნევია, რამდენათაც ის ამ საქმესთან უფრო ახლო სდგას. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების მონაწილეობას რაციონალიზაციის გატარებაში.

მუშების გამოცდილების გამოყენებას შესაფერი მიდგომა უნდა. თუ ეს მიდგომა არ ვარგა, მუშების ინიციატივას საკითხების წამოყენებაში ადგილი არ ექნება. ხშირათ ამ წარმოებაში არა მომუშავე გარეშე პირს შეუძლია მოისმინოს მუშისაგან მთელი რიგი წარმოების დეფექტები და საქმის გამაუმჯობესებელი სხვადასხვა მითითებანი. ამავე დროს წარმოების ადმინისტრაცია მოკლებულია ასეთ ინფორმაციას და თვითონაც არ ცდილობს გაეცნოს მუშების აზრს. ასეთ მოვლენას ჩვენ ჯერ კიდევ ვხვდებით აქა-იქ. ცხადია, ეს უშლის ხელს წარმოების რაციონალიზაციის პრაქტიკულათ გატარებას.

რომ მუშების დიდმა წარმოებითი გამოცდილებამ პრაქტიკული შედეგი მოიტანოს წარმოების გაჯანსაღებაში, ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ თვით სამეურნეო ორგანოები დაინტერესდენ მუშების რჩევით და მითითებით. სამეურნეო მუშაკები ისე უნდა უდგებოდენ ამ საქმეს, რომ თვითეულმა მუშამ უნდა იგრძნოს, რომ მის რჩევას და მითითებას ადმინისტრაცია დიდი სიამოვნებით იღებს. უაღრესი ყურადღება მუშის წინადადებას—აი უმთავრესი პირობა, რომელიც საჭიროა მუშების წარმოებითი თვითმოქმედების განსავითარებლათ. თუ გინდ მუშის წინადადებაც არ იყოს მიზანშეწონილი, ის მაინც მოსმენილი უნდა იქნეს და უნდა დავასაბუთოთ ამ წინადადების უვარგისობა.

არის შემთხვევები, როცა ადმინისტრაცია ცდილობს დაამტკიცოს მუშის მიერ წამოყენებულ წინადადების უვარგისობა, თუნდაც ეს წინადადება მიზანშეწონილი იყოს და წარმოებისათვის სასარგებლო. ზოგან ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალს კიდეც სწყინს, რომ მუშები სხვადასხვა საწარმოო საკითხებში ინიციატივას იჩენენ და თავის აზრს გამოსთქვამენ. ეს პირად შეურაცხყოფათ მიაჩნიათ, ვინაიდან ამ საქმეში ისინი სთვლიან თავის თავს სპეციალისტებათ, და არა სპეციალისტის მითითებას გასავალს არ აძლევენ.

აღსანიშნავია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში კერძო მრეწველები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ მუშების გამოცდილების გამოყენებას. მწარმოებლების ხარჯზე ხდება ერთ და იგივე მანქანებზე მომუშავეთა სპეციალური კონფერენციები. ამ კონფერენციებს მიზნათ აქვს რომელიმე მანქანის ტიპის დეფექტების გამოაშკარავება. ეს ფრიად საყურადღებოა ჩვენთვის. ამგვარი მიდგომა ჩვენთვის სამაგალითოთ უნდა იყოს.

მეორე პირობა, რაც აუცილებლათ საჭიროა მუშათა წარმოებითი გამოცდილების გამოყენებისთვის, გამოიხატება მუშების მითითებების და წინადადებების რეალიზაციაში. არ კმარა მარტო წინადადების მოწონება და სიტყვიერი ქება. ის უთუოთ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში და მასთანავე უთუოთ დროზე. უკეთესია უარის თქმა, დაწუნება ან უსახსრობის გამო უარყოფა, ვიდრე მოწონება და არ გატარება. მუშის მიზანშეწონილ წინადადების თავის დროზე შესრულება წაახალისებს სხვებსაც. პროფესიონალურმა კავშირებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ მუშის მიზანშეწონილი წინადადება ტარდებოდეს ცხოვრებაში. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ პროფკავშირები იჩენენ სისუსტეს.

ხშირათ გაიგონებთ პროფეს. მუშაკების საჩივარს, სამეურნეო ორგანოები არ ატარებენ მუშების მიერ წამოყენებულ წინადადებებსო. ამავე დროს თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე პროფკავშირის ორგანოს დაეყენებია სათანადო ორგანოების წინაშე კონკრეტიული საკითხი, თუ სად და რა წინადადება არ გატარდა. საჭიროა არა საერთო მითითება, არამედ კონკრეტიულათ საკითხის დასმა და ზომების მიღება.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მუშების მიზანშეწონილ და კონკრეტიულათ დამუშავებულ წინადადებების მატერიალურ დაჯილდოვებას. ეს ხელს შეუწყობს ინიციატივის გამოჩენას და აქტიურათ ჩააბამს მუშებს წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. ამ საკითხის შესახებ არსებობს დირექტივები, სადაც დაწვრილებით არის აღნიშნული, თუ რა შემთხვევებში და როგორი რაოდენობით უნდა იქნეს დაჯილდოვებული მუშები ისეთი წინადადებებისათვის, რომელთაც წარმოებისთვის სარგებლობა მოაქვთ. უნდა ითქვას, რომ ბევრი სამეურნეო მუშაკი ამ დირექტივებს არ იცნობს და ამიტომ ხშირათ ის არ ტარდება ან ტარდება ფრიად შეკვეცილათ.

წარმოების რაციონალიზაციის საკითხში საყურადღებო არის აგრეთვე მუშების ტეხნიკური თვითგანვითარება. ეს საქმე უნდა აიღონ თავის-თავზე, როგორც კავშირებმა, ისე სამეურნეო ორგანოებმა. უნდა იქნეს გამოცემული მთელი რიგი პოპულიარული ტეხნიკური ბროშიურები. საჭიროა აგრეთვე წრეების მოწყობა ტეხნიკურ ცოდნის შესასწავლათ. მსხვილ წარმოებებთან უნდა მოეწყოს ტეხნიკური კონსულტაციები. ამის შესახებ უკვე ორი თვეა, რაც საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა დადგენილება. ჩვენში ჯერ კიდევ არ არის გატარებული.

კავშირების მოვალეობა არ ამოიწურება ზევით აღნიშნულით. მათ წინაშე დგას კიდევ მთელი რიგი ამოცანები, როგორც მაგალითათ სამეურნეო ორგანოების მიერ რაციონალიზაციის საკითხის დამახინჯებასთან და მუშათა პირობების გაუარესებასთან ბრძოლა და სხვა.

წარმოებაში შრომის მოწესრიგების საკითხებიც (ნორმები, შეფასებები, მუშა-ხელის გამოყენება და სხვ.) უნდა იჩრებოდეს წარმოების რაციონალიზაციის თვალსაზრისით. წარმოებაში შრომის დაცვისაგანაც პირდაპირ არის დამოკიდებული რაციონალიზაციის გატარება. კავშირები უნდა ეცადონ, რომ შეძლებისდა მიხედვით გატარებული იქნეს შრომის დაცვის მოთხოვნილებანი. ეს ფრიად ასწევს შრომის ნაყოფიერებას და გააჯანსაღებს შრომას.

ახალ წარმოებების აგების დროსაც უნდა მიექცეს ყურადღება რაციონალიზაციის საკითხებს. იქ უფრო ადვილია მისი გატარება. კავშირებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალ წარმოებათა გეგმების შედგენაში და უნდა მოითხოვონ შრომის რაციონალიზაციის გათვალისწინება, აშენების და მოწყობის შემდეგ ძნელი იქნება ცვლილებების შეტანა.

რაციონალიზაციის საკითხის პრაქტიკულათ დასმის დროს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ რაციონალიზაცია ჩვენში არსებულ პირობებში არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც დიდი და არაჩვეულებრივი ტეხნიკური გარდაქმნა. ეს შეაფერხებდა ამ საკითხის პრაქტიკულათ გადაჭრას. ჩვენს წარმოებაში და მართველობის აპარატში ყოველგვარი დეფექტის გამოსწორება და წვრიმალი გაუმჯობესების შეტანა რაციონალიზაციად უნდა ჩაითვალოს.

მორიგ გაწვევის მოლოდინში

მიმდინარე წლის შემოდგომაზე 1905 წელში დაბადებულნი გაწვეულნი იქნებიან სამხედრო სამსახურში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან ეს მეექვსე გაწვევაა. თუ პირველი გაწვევები კოჭლობდენ ბევრი დეფექტებით, ამჟამად ჩვენ უკვე გვაქვს ამ დარგში დიდი მიღწევები, რომელნიც ყოველმხრივ აჭარბებენ ომის წინდროინდელ გაწვევებს.

მაგრამ, თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ დროს, იმ საშუალებებს და ძალებს, რომლებსაც ჩვენ ვანდომებთ გაწვევის მოსამზადებელი კამპანიის გატარებას, საჭიროა ვაღიაროთ, რომ ჩვენ გვაქვს სუსტი მხარეებიც.

ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ გასაწვევებს აკლიათ იმ პირობების ცოდნა, რომელნიც შეეხებიან თვით მათ. სწორედ ამიტომ გაწვევები კიდევ მოითხოვენ ხანგრძლივ მოსამზადებელ მუშაობას.

რომ თვითეულ გასაწვევს შეთვისებული ჰქონდეს თავისი უფლება - მოვალეობა და ის თავის დროზე ასრულებდეს მათ, რასაკვირველია, საჭირო აღარ იქნებოდა სპეციალურ მოსამზადებელი კამპანიის გატარება იმ ფორმით და იმ მნიშვნელოვანი ხარჯით, როგორიც ეს ხდება ამჟამად.

ჯერ-ჯერობით 1905 წელში დაბადებულთა გაწვევის მოსამზადებელ კამპანიის უმთავრესი მიზანია განუმარტოს მოსახლეობას სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის ძირითადი დებულებები და ამით მიაღწიოს იმ მდგომარეობას, რომ გასაწვევმა პირებმა თავის დროზე შეასრულონ მათი მოვალეობა. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სამხედრო უწყების ორგანოები, არამედ ყველა საბჭოთა დაწესებულებებიც, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციებიც.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აპარატი ასე ფართო მონაწილეობას იღებს გაწვევის საქმეში, ზემოაღნიშნული მიზანი მაინც არ არის სავსებით მიღწეული.

საჭიროა, რომ თვით გასაწვევები შეგნებულად და აქტიურად მოეკიდონ გაწვევას. მხოლოდ ამით იქნება შესაძლებელი გაწვევის საქმეში სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფა.

ამრიგად, 1905 წელში დაბადებულ მოქალაქეთა მომავალ გაწვევისათვის თვითეულმა გასაწვევმა უნდა იცოდეს, და ამთავითვე, სანამ კიდევ დროა, გაწვევამდე უნდა შეასრულოს შემდეგი:

1) გაიგოს — მიწერილია თუ არა გასაწვევ უბანზე. თუ არ არის მიწერილი, დაუყოვნებლივ აღირიცხოს სამხედრო მაგიდაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2) აუცილებლად ვადაზე უნდა გამოცხადდეს გასაწვევ უბანში მიწერის ადგილის მიხედვით.

თუ [illegible] შეღავათით [illegible] მდგომარეობის მიხედვით, უნდა მიმართოს განმარტებისათვის სოფლის საბჭოს, თემაღმასკომს ან სამხედრო მაგიდის გამგეს და ამთავითვე გამოარკვიოს თავისი უფლებები შეღავათის მისაღებად. ამისათვის სათანადო საბუთები უნდა წარადგინოს სამაზრო სამხედრო კომისარიატში სამხედრო მაგიდის საშუალებით.

4) თუ გასაწვევი მოქალაქე მოწაფეა, უნდა გაიგოს სასწავლებელში, გაგზავნილია თუ არა სათანადო სამაზრო სამხედრო კომისარიატში შუამდგომლობა მისთვის სწავლის დასრულებამდე გაწვევის ვადის გადადების შესახებ. თუ შუამდგომლობა ჯერ კიდევ არ არის გადაგზავნილი, დაუყოვნებლივ აღძრას ასეთი.

5) თუ გასაწვევი მოქალაქე არის მასწავლებელი სასოფლო რაიონში მდებარე 1-ლ საფეხურის სკოლის, შვიდწლედის ან სოფლის ახალგაზრდობის სკოლის, უნდა გაიგოს, აღძრა თუ არა განათლების განყოფილებამ შუამდგომლობა, რათა მან, გასაწვევ - მასწავლებელმა ისარგებლოს კანონის მიერ გათვალისწინებული გაწვევის ვადის გაგრძელებით.

6) თუ გასაწვევ მოქალაქეს არ შეუძლია ჯარში სამსახური თავისი რელიგიური რწმენის გამო (სექტანტები), მან სახალხო სასამართლოს საშუალებით უნდა მიმართოს საოლქო სასამართლოს და თუ უკანასკნელი დაადასტურებს მის ასეთ რწმენას, უნდა მიიღოს საოლქო სასამართლოდან სათანადო დადგენილება და წარუდგინოს სამაზრო სამხედრო კომისარიატს.

7) თუ გასაწვევი მოქალაქე გადმოსახლებულია, ან დასახლებულია ახალ საცხოვრებელ ადგილზე მიწადმოწყობის და გადასახლების წესების მიხედვით, ის ვალდებულია თავის დროზე და არა უგვიანეს აგვისტოს 1-ისა შეიტანოს ამის შესახებ წერილობითი განცხადება ადგილობრივ თემაღმასკომში.

განცხადებაში დაწვრილებით უნდა იყოს ნაჩვენები ის საფუძვლები, რომლის გამო მოხდა გადმოსახლება და ახალ საცხოვრებელ ადგილზე ფაქტიურა დასახლების დრო.

ზემოხსენებულის გარდა ყველა იმ კითხვების გამოსარკვევად, რომლებიც დაკავშირებული არიან მორიგ გაწვევასთან, მოქალაქენი უნდა მიმართავდენ სათანადო სამხედრო მაგიდის გამგეს ან უშუალოდ ადგილობრივ სამაზრო სამხედრო კომისარიატს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 1905 წლის დაბადებულთა გაწვევის დროს გასაწვევი მოქალაქენი უფრო შეგნებულად მოეპყრობიან გაწვევის საქმეს და ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებებს ისინი შეასრულებენ თავის დროზე და მეტი ყურადღებით, ვიდრე წარსულ წლებში.

ავ—ი.

კონტრ-რევოლიუციონური ტერორი ჩინეთში

დარბეულია მუშათა ორგანიზაციები.—გრძელდება მუშების დაპატიმრება

ტაიანის რაიონში „წითელი შუბები“ თავს დაესხნენ მთავრობის ჯარს

ინგლისის რკინისგზელთა ყრილობამ გაჰკიცხა ბოლდუინის მთავრობა საბჭ. კავშირთან ურთიერთობის ჩაშლის გამო

სამოქალაქო ომი ჩინეთში

კანტონის მუშათა კავშირების დარბევა

კანტონი, 10 ივლისი. კანტონში მოახდინეს მუშათა კავშირების **ახალი დარბევა**. დარბევაში მონაწილეობა მიიღო მთელმა ჯარმა და პოლიციამ. **ქალაქში სამხედრო წესებია გამოცხადებული.** როგორც ქალაქში, ისე მის მიდამოებში დადიოდენ პოლიციისა და ჯარის გაძლიერებული რაზმები. **ქუჩებში შეწყვეტილი იყო მოძრაობა.** განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჰონკონგელ გაფიცულთა კავშირის შენობას. მუშებმა, განსაკუთრებით მელითონეებმა, **ჯარსა და პოლიციას გაუწიეს შეიარაღებული წინააღმდეგობა, მაგრამ ბოლოს მაინც განიარაღებულ იქნენ.**

პოლიციის ცნობით, **დარბეულია 50 მეტი მუშათა ორგანიზაცია, დაპატიმრებულია 150 კაცი** და ხელშია ჩაგდებული მრავალი ლიტერატურა და იარაღი. მელითონეთა კავშირის ბინაზე აღმოჩენილია 50 მეტი თოფი და ორი ყუმბარა. დაპატიმრებულთა უმრავლესობა ჰონკონელი გაფიცულებია.

მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ წითლების მოქმედების გაცხოველების გამო, მიღებულია ზომები მუშათა კავშირების წინააღმდეგ. (ადს).

წითლები აძლიერებენ მუშაობას

კანტონი, 10 ივლისი. ჰონკონგის გაზეთები იუწყებიან, რომ მიუხედავათ წითლების წინააღმდეგ მიღებული ზომებისა, უკანასკნელები მაინც ანვითარებენ თავის მოქმედებას. ორი კვირის წინად წითლები შეეცადენ ცეცხლი წაეკიდებიათ არსენალისათვის. ასეთივე ცდა მათ განიმეორეს 1 ივლისს. ამის გამო პოლიციამ გააძლიერა არსენალის დაცვა. (ადს).

წითელ რაზმელების თავდასხმა

შანხაი, 10 ივლისი. გოვენის სააგენტოს ცნობით, **ენჩჟოუსა და ტაიანის რაიონში წითელრაზმელები თავს ესხმიან შანდუნის ჯარებს (ადს).**

მეფისადმი „უპატივცემულობისათვის“

შანხაი, 10 ივლისი. ჩინურმა სასამართლომ ორ ჩინელ სტუდენტს მიუსაჯა თვენახევრის ციხე, ინგლისის მეფის დაბადების დღეს „უპატივცემულო“ პროკლამაციების გავრცელებისათვის. (ადს).

ლი-ტი-სინი შეშინებულია

შანხაი, 10 ივლისი. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ **კანტონის დიქტატორი ლი-ტი-სინი შეშინებულია ტან-შენჩის ჯარების თავმოყრის გამო ჩანშაში და აქ ნანჩანიდან ჯარების გადმოყვანით.** ლი-ტი-სინი ამაში ხედავს უხანის მთავრობის ცდას — დაიპყროს ცზიანსის პროვინცია. ცზიან-სის სამხრეთ ნაწილში ლი-ტი-სინს ცოტა ჯარები ყავს. ამის გამო ლი-ტი-სინი აგროვებს ჯარებს პეიცზიანთან და აძლიერებს თავის ჯარებს თვით კანტონში (ადს).

თეთრგვარდიელები შანდუნის არმიაში

პეკინი. 10 ივლისი. „ნიპპონ დემპოს“ სააგენტო ცზინანფუდან იტყობინება:

შანდუნის არმიაში 3000 თეთრგვარდიელიდან ამჟამად ითვლება 1.800. ბრძოლების გამო 100-დე რუსის ჯარისკაცი გამოვიდა რიგებიდან. დანარჩენები კი გაიპარენ. (ადს).

სუნ-ჩუან-ფანმა დააპატიმრა ჩან-ძუ-ჩანი

პეკინი, 10 ივლისი. იაპონური გაზეთი „მანჯურია დეილი ნიუზი“ იუწყება:

მიღებულია ცნობები, რომ **სუნ-ჩუან-ფანმა დააპატიმრა ჩან-ძუნ-ჩანი და მოითხოვა მისი გადაყენება“.**

შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ **განიარაღებულია 3.000 რუსი თეთრგვარდიელი ჯარისკაცი.** ცინდაოს ჩინელ ადმინისტრატორებს შორის დიდი პანიკაა გამეფებულ. (ადს).

ინგლისის რკინისგზელთა პროტესტი

ლონდონი, 10 ივლისი. რკინისგზელთა ეროვნული კავშირის კონფერენციაზე **ლებერმა** შეიტანა რეზოლიუცია, **რომელშიც ჰკიცხავს მთავრობას იმის გამო, რომ უკანასკნელმა რაღაც პოლიტიკური მოსაზრებებით შებღალა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო დამოკიდებულების ინტერესები.** რეზოლიუცია ადასტურებს, რომ არკოსისა და საბჭოთა დელეგაციის შენობების გაჩხრეკამ დაამტკიცა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის სრული უსაფუძვლობა. **რეზოლიუცია მოითხოვს სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის სრულ აღდგენას საბჭოთა კავშირთან.**

რეზოლიუციის განხილვის დროს გამოსულმა **ტომასმა** განაცხადა:

„თუ ინგლისი დამნაშავეა რუსეთის საქმეებში ჩარევის გამო, მაშინ რუსეთიც ასევე დამნაშავეა ინგლისის საქმეებში ჩარევის გამო“.

ტომასმა მოიგონა ტომსკის მიმართვა პროფკავშირთა ყრილობისადმი ბორნემუტში და განაცხადა, რომ გენერალურ საბჭოს წევრებმა თავის დროზე მიუთითეს ტომსკის „ამ უგუნური ნაბიჯების“ შეწყვეტის აუცილებლობაზე.

„ბერლინის რეზოლიუციას საფუძვლად ჰქონდა დადებული ჩაურევლობის პრინციპი, მაგრამ სამი დღის შემდეგ ტომსკიმ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ილაშქრებდა მაკდონალდისა და ჩემს წინააღმდეგ“.

დასასრულ ტომასმა განაცხადა:

„მე იმედი მაქვს, რომ ინგლისის მთავრობა მიიღებს საჭირო ზომებს თავისი შეცდომის გამოსასწორებლად, ხოლო ჩვენი რუსი მეგობრები, მათივე ინტერესების სასარგებლოდ, შეიგნებენ უგუნური მეთოდის უარყოფის აუცილებლობას. მათ უნდა შეიგნონ, რომ ვერც [illegible] ნაციონალური მოძრაობა და ვერც კომუნისტური პროპაგანდა ვერ ააცდენენ დიდი ბრიტანეთის მუშათა ფართე მასებს საჭირო სოციალური ცვლილებებისათვის წარმოებული ბრძოლის კონსტიტუციონური გზიდან“.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია.

ბოროდინას გასამართლება

პეკინი, 10 ივლისი. შესდგა იმ სასამართლოს მესამე სხდომა, რომელიც წინასწარ არჩევს ბოროდინას და სამი დიპლომატიური კურიერის საქმეს.

თავის საბოლოო განცხადებაში ბოროდინამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ბარგის გაჩხრეკის დროს არაფერი დასაგმობი არ ყოფილა ნახული. გენერალმა ხუმ, რომელსაც ბოროდინამ მიმართა თხოვნით, რათა მას დაედასტურებია ეს გარემოება, უპასუხა, რომ საჭირო არ არის ასეთი ფორმალობა, ვინაიდან ბოროდინა მაინც იქნება განთავისუფლებული.

როდესაც ბოროდინამ სთხოვა სასამართლოს გამოეწვიათ გენერალი ხუ და გემის კაპიტანი მოწმეებად, მას ამაზე უარი უთხრეს.

შემდეგ ბოროდინამ უარჰყო, რომ მას რაიმე დამოკიდებულება აქვს იმ საბუთებთან, რომლებიც სასამართლოსთვის წარმოადგენენ მისი ბრალდების მასალას. მან განაცხადა, რომ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პოლიტიკურ მუშაობასთან და დააპატიმრეს მაშინ, როდესაც მოგზაურობდა საოჯახო საქმეების გამო.

დიპლომატიური კურიერები **კრილი, გრეიგუსი და სიარე** ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ისინი არიან დიპლომატიური კურიერები, აღჭურვილნი ყველა საჭირო საბუთებით და რომ დიპლომატიურ კურიერების პასუხისგებაში მიცემა წარმოადგენს უპრეცედენტო შემთხვევას.

დამცველები ამტკიცებენ, რომ ამნისტიის ავტომატიურ შედეგს უნდა წარმოადგენდეს საქმის მოსპობა და სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ. სასამართლომ განაცხადა, რომ ამნისტია არ იქნება ამ საქმესთან შეფარდებული, სანამ სასამართლო არ გამოიტანს დადგენილებას, თუ რამდენად „საეჭვო“ არიან ბრალდებულები.

დამცველებმა მა-ტა-ჩენმა და გუბ-დინბასმა, რომლებმაც ჩინურ ენაზე ილაპარაკეს, სასტიკად გააკრიტიკეს სასამართლოს პოზიცია როგორც ამნისტიის შეფარდების საკითხში, ისე სასამართლოს კომპეტენციის საკითხში. ჩინელ დამცველთა შემდეგ გამოვიდა დამცველი კანტოროვიჩი.

კანტოროვიჩი, რომელსაც თავმჯდომარემ რამოდენიმეჯერ შეაწყვეტინა სიტყვა, შეჩერდა ქვემდებარეობისა და კურიერების დიპლომატიურ ხელშეუხებლობის საკითხზე.

თუ სასამართლომ კომპეტენტურად სცნო თავი გაარჩიოს დიპლომატიურ კურიერების საქმე, ეს ზიანს მიაყენებს საერთაშორისო უფლების ძირითად პრინციპებს. დამცველი აფრთხილებს სასამართლოს ასეთი ნაბიჯიდან და აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში დამცველები მოქმედებენ არა მარტო ბრალდებულთა ინტერესების დასაცავად, არამედ ჩინეთის იუსტიციის პრესტიჟის დასაცავად.

კანტოროვიჩი შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროკურორის განცხადება „საბუთების“ შესახებ, რომლებიც ვითომ უნახეს გაჩხრეკის დროს ბოროდინას, დაუმტკიცებელი და დაუსაბუთებელია.

შეეხო რა საქმის პოლიტიკურ მხარეს, დამცველი მიუთითებს, რომ თუ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ამ საქმეზე, იგი (სასამართლო) იღებს თავზე დიდ პასუხისმგებლობას, ვინაიდან ჰქმნის პრეცედენტს, რომელიც შეიძლება შემდეგ გამოყენებულ იქნას ჩინეთის წინააღმდეგ. დაპატიმრებულები არიან მოქალაქენი საბჭოთა კავშირისა, რომლის მთავრობამ პირველმა ნებაყოფლობით სთქვა უარი ექსტერიტორიალობის უფლებაზე ჩინეთში, ვინაიდან, წინააღმდეგ ჩინეთის მტრების მტკიცებისა, ენდო ჩინეთის კანონებს და ფიქრობდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეთა ბედი შეიძლებოდა მინდობოდეს ჩინეთის იუსტიციას. ეს საქმე წარმოადგენს პირველ პოლიტიკურ პროცესს იმ უცხოელების წინააღმდეგ, რომლებიც ექსტერიტორიალობის უფლებით არ სარგებლობენ. სასამართლოს გადაწყვეტილება მით უფრო საპასუხისმგებლოა, რომ იმ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი, რომლებიც სარგებლობენ ექსტერიტორიალობის უფლებით ჩინეთში, პროცესის დასასრულის მიხედვით გამოიტანს დასკვნას მის შესახებ, თუ ვის მხარეზე დადგეს ექსტერიტორიალობის უფლებაზე უარის თქმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დავაში.

თუ რომელიმე უცხოეთის სახელმწიფო სცდილობს მოახდინოს ჩინეთის მთავრობაზე გავლენა საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ სასამართლოს რეპრესიების მოსახდენად, ამას სჩადის მხოლოდ იმისათვის, რომ საშუალება ექნეს გამოიყენოს ეს რეპრესიები ბრძოლაში ჩინეთის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობს თავის სუვერენიტეტის აღდგენას.

ნორვეგიელ მკინძავების წინადადება

მოსკოვი, 11 ივლისი. მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ნორვეგიის მკინძავთა კავშირისაგან მიიღო წინადადება შეუერთდეს შვეციის, ნორვეგიის და დანიის მკინძავთა კავშირებს შორის დადებულ შეთანხმებას—მხარი დაუჭირონ ერთმანეთს გაფიცვებისა და ლოკაუტის დროს. მბეჭდავთა კავშირის ცეკა ფიქრობს, რომ ასეთი შეთანხმება უნდა გახდეს ნაწილი უფრო ფართო შეთანხმებისა სკანდინავია - რუსეთის მთლიანობის კომიტეტის შექმნის შესახებ. მბეჭდავთა კავშირის ცეკას წინადადებას 17 ივლისს განიხილავს სკანდინავიის წიგნის მკინძავთა კონფერენცია. კონფერენციაზე მიწვეული არიან საბჭოთა კავშირის მბეჭდავთა კავშირისა და ფინეთის მბეჭდავთა წარმომადგენლები. (ადს).

გერმანიის ციხე-სიმაგრეების დანგრევა

ბერლინი, 10 ივლისი. ვოლფის სააგენტო იტყობინება, რომ 8 ივლისს, გენერალმა ფონ-პავლესმა საფრანგეთის ჯარების პოლკოვნიკის დიურანის და ბელგიის ჯარის მაიორის პიულენსკის მონაწილეობით დაასრულა გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების დათვალიერება. მგზავრობის მონაწილეებმა ერთად შეადგინეს ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1927 წლის, 31 იანვარში პარიზში დადებული ხელშეკრულება აღმოსავლეთ გერმანიის საზღვრებზე არსებულ ციხე-სიმაგრეთა დანგრევის შესახებ, სისრულეშია მოყვანილი. (ადს).

რუმინეთის არჩევნების შემდეგ

ვენა, 10 ივლისი. რუმინეთის უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შედეგები მოწმობენ, რომ ლიბერალებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს ძველ რუმინეთში, ბუკოვინაში და ბესარაბიაში. მუშათა და გლეხთა ბლოკის და სოციალ-დემოკრატების მიერ შეგროვილი ხმების საბოლოო რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის. გაზეთების აზრით, მუშათა და გლეხთა ბლოკი და სოციალ - დემოკრატები პარლამენტში მანდატს ვერ მიიღებენ. ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში სასტიკი ტერორის გამო პროცენტულათ ძალიან მცირეა.

სემიგრადის მრავალ ქალაქებში არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამ მთელი რიგი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ლიბერალების თაღლითობით აღელვებული ხალხი პრეფექტურის სამმართველოში შეიჭრა და იქ მყოფ პოლიციელებს სცემა. გამოწვეულმა ჯარისკაცებმა სროლა ასტეხეს, რის გამო ბევრი აღმოჩნდა დაჭრილი. ქალაქში გამოწვეულია ჯარები. (ადს).

პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 10 ივლისი. პოლონეთის **სეიმის საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო კანონპროექტი საარჩევნო კანონის შესახებ, რომლითაც აღმოსავლეთ პოლონეთის სანაპირო ოლქების მოსახლეობის უფლებები საგრძნობლათ იზღუდება.** სლავიანების ნაციონალურმა უმცირესობამ და ებრაელების ფრაქციამ სასტიკი პროტესტი განაცხადეს. (ადს).

რეიხსტაგის დათხოვნა

ბერლინი, 10 ივლისი. **გერმანიის რეიხსტაგი დათხოვნილია საზაფხულო არდადეგებზე.** (ადს).

სამხრეთ პოლიუსისკენ

პარიზი, 10 ივლისი. ბერდმა განუცხადა პარიზის პრესის წარმომადგენლებს, რომ მას განზრახული აქვს მოაწყოს საჰაერო ექსპედიცია სამხრეთ პოლიუსზე. (ადს).

ჯალათის განცხადება

ვენა, 10 ივლისი. ბულგარეთის მეფის სიტყვის გარშემო გამართულ კამათის დროს, **ლიაპჩევმა** განაცხადა შემდეგი: „გლეხთა კავშირი უნდა გამოეთხოვოს თავის წარსულ შეცდომებს, უარჰყოს კლასობრივი ბრძოლის პრინციპები და გადაიქცეს პარტიად, რომელიც ემსახურება ქვეყნის ინტერესებს. ბულგარეთში არსებობს ფარული კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც ღებულობს დირექტივებს მოსკოვიდან და ხელმძღვანელობს მუშათა პარტიის მოქმედებას. ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი ამნისტიაზე, ან სახელმწიფოს დაცვის შესახებ გამოცემულ კანონის გაუქმებაზე, ვინაიდან როგორც ერთი, ისე მეორე გამოიწვევს ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობის გაძლიერებას.

დიდი ნიაღვარი გერმანიაში

ბერლინი, 10 ივლისი. გერმანიის სხვადასხვა ადგილებიდან მოდის ცნობები არაჩვეულებრივი ნიაღვრების შესახებ. **პირნას (საქსონია) მიდამოებში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი აღწევს 60 კაცს.** მათი უმრავლესობა მოჰყვა ნიაღვრებისაგან დანგრეულ სახლებში. სადგურ გლასხიუტეზე უცბად მოვარდნილმა **ნიაღვარმა თითქმის მთლად დაფარა სამგზავრო მატარებელი;** მგზავრების გადარჩენა მოხერხდა მხოლოდ 4 საათის წვალების შემდეგ. უბედურობის ადგილზე დახმარების აღმოსაჩენად დილით მოვიდნენ მესანგრეები. პირნაში დაღუპულთაგან ნაპოვნია მხოლოდ 5—6 კაცი.

ბერლინი, 10 ივლისი. ვოლფის სააგენტო იუწყება დრეზდენიდან, რომ **ქარიშხალისა და ნიაღვრების დროს დაღუპულთა რიცხვი აღწევს 100 კაცს.** ნიაღვრის ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ **სადგურ გლიუსხატეზე წყალმა 300 მეტრის მანძილზე წაიღო ვაგონები.** მერგის ხიუბელში ნიაღვარმა დაანგრია 15 სახლი. ნანგრევებიდან ამოღებულია 35 გვამი. ხიდები ყველგან დანგრეულია. პირნაში დაღუპულთა რიცხვი სჭარბობს 150 კაცს. მოსახლეობა თავზარდაცემულია. სურსათ-სანოვაგის დიდი კრიზისია.

რეიხსტაგის სხდომის დროს თავმჯდომარე **ლებემ** შესწყვიტა სხდომა და აცნობა რეიხსტაგს მომხდარი უბედურობა. (ადს).

ამერიკის ინტერესი

საბჭოთა კავშირისადმი

ბერლინი, 10 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ „სტანდარტ ოილისა“ და ჰარიმანის მიერ საბჭოთა კავშირთან უკანასკნელი ხელშეკრულებების დადების გამო, **ნიუ-იორკის საბანკო წრეების ინტერესი საბჭოთა კავშირის საკონცესიო წარმოებებისადმი მიუხედავათ ინგლისის ცდისა ხელი შეუშალოს ამერიკის ფინანსისტების** ჯგუფისა და საბჭოთა ორგანიზაციების მოლაპარაკება, მაინც ძლიერდება.

გენრი ფორდის მონანიება

ნიუ-იორკი, 10 ივლისი. **გენრი ფორდმა**, რომელიც მეთაურობდა დღემდე შეერთებულ შტატების ანტისემიტურ მოძრაობას, **გამოაქვეყნა პრესაში განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ უკან იბრუნებს ყველა ბრალდებებს, რომლებითაც გამოდიოდა ებრაელების წინააღმდეგ, ბოდიშს იხდის და დასძენს, რომ ანტისემიტური მოძრაობა იყო დამყარებული ყალბ ინფორმაციაზე და გაუგებრობაზე.** ფორდის ეს განცხადება გამოქვეყნებულია გაზეთ „დირბორნ ინდეპენდენტ“-ში, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა ანტისემიტურ კამპანიას. (ადს).

ქართველ მენშევიკების პროცესი *)

ხარკოვი, 11 ივლისი. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. **მიხაილიკმა** უკრ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ქართველ მენშევიკების პროცესი **უკრაინის უზენაეს სასამართლოში დაიწყება 20 ივლისს.** უზენაეს სასამართლოს საგანგებო სხდომამ დაამტკიცა საბრალმდებლო დასკვნა.

გამოძიების მასალები ნათლად ხატავენ ნოე რამიშვილის, ნოე ჟორდანიას და სხვა სოციალ - გამცემლების საზიზღარ მუშაობას. რამიშვილი და ჟორდანია ხელმძღვანელობდენ ანჯაფარიძის (მთავარი ბრალდებული ქართველ მენშევიკების პროცესში) და სხვა ბრალდებულთა მუშაობას.

ქართველ მენშევიკების მუშაობის დამახასიათებელ მომენტს შეადგენს მათი კავშირი ბურჟუაზიულ მთავრობებთან და კონტრ - რევოლიუციონურ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან. თავისი მუშაობით ჩვენ წინააღმდეგ ისინი წარმოადგენენ პოლონეთის გენერალურ შტაბების აგენტებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ პროცესზე ქართველ მენშევიკ ანჯაფარიძის გვერდით საბრალმდებლო სკამზე ზის პოლონელი ჯაშუში პენკოვ - პოლოუნიც“. (ადს).

---

*) საბრალმდებლო დასკვნა ამ საქმის შესახებ უკვე იყო მოთავსებული დაწვრილებით ჩვენი გაზეთის 153 ნომერში. (პარასკევი, 8 ივლისი).

დრუჟელოვსკის საქმე

მოსკოვი, 11 ივლისი. გრძელდება დრუჟელოვსკის დაკითხვა. მისი განცხადებით, იუდენიჩის არმიაში სამსახურის დროს ის გენ. გლაზენაპის დავალებით სცდილობდა გატჩინოს ანგარებისთვის ცეცხლის წაკიდებას. იუდენიჩის არმიის ლიკვიდაციის შემდეგ ერთხანს სცხოვრობდა რიგაში, შემდეგ კი ვარშავაში და მუშაობდა პოლონეთის საზვერავ განყოფილების დავალებათა თანახმად. გასამრჯელოდ ღებულობდა 18.000 პოლონურ მარკას.

1921 წელში იგი იგზავნება როვნოში, უკავშირდება კონტრაბანდისტებს და მათი საშუალებით აგროვებს ჯაშუშურ ცნობებს საბჭოთა რუსეთის შესახებ.

შემდეგ მას აპატიმრებენ ვითომდა საბჭოთა კავშირის აგენტობისათვის. პატიმრობაში მან დაიჭირა თავი. გამორთელების შემდეგ იგი გადასახლეს დანციგში, სადაც განაგრძობს ჯაშუშურ მუშაობას, როგორც გერმანიის, ისე პოლონეთის საზვერავ განყოფილებათა სასარგებლოდ.

შემდეგ იგი ახერხებს დანციგში გერმ. საკონსულოს ვიზის მიღებას და გადადის ბერლინში.

ბერლინში მისი მოღვაწეობა უმთავრესად გამოიხატება ყალბი საბუთების დამზადებაში, ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა საელჩოების დავალებით. მისი სიტყვით თანამშრომლებს ყველა სახელმწიფოების კონტრ-დაზვერვისათვის იძლეოდა რუსეთის ემიგრაცია.

ბერლინში სხვათა შორის დრუჟელოვსკიმ ბულგარეთის ელჩ პოპოვის დავალებით და მისი კარნახით შეადგინა ყალბი საბუთი კომინტერნის აღმასკომის საიდუმლო ინსტრუქციის სახით—ბულგარელ კომუნისტების 1925 წლის 15 აპრილის შეარაღებულ გამოსვლის შესახებ. ეს საბუთი ბულგარეთის მთავრობამ გამოიყენა სოფიის ტაძრის აფეთქების პროცესზე და ელჩთა თათბირზე პარიზში;

ამ ყალბი საბუთის წყალობით ბულგარეთს საშუალება მიეცა გაედიდებია არმიის რიცხვი 7.000 კაცამდე. იგივე საბუთი იყო ბულგარეთში მომხდარ ურიცხვ დახვრეტების ერთი საბაბთაგანი. (ადს).

9 ივლისის დილის სხდომა

აფეთქება სოფიის ტაძარში

მოსკოვი, 11 ივლისი. უზენაეს სასამართლოს 9 ივლისის დილის სხდომაზე დრუჟელოვსკიმ თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ სოფიის ტაძრის აფეთქებიდან ორი-სამი დღის შემდეგ ის იყო ბულგარეთის ბერლინის საელჩოში, იმ ოთახში, სადაც მას ჩვეულებრივად იღებდა ელჩი პოპოვი. გვერდით ოთახში პოპოვი ელაპარაკებოდა ვიღაც კაცს რუსულად, ხოლო მის მოსაუბრეს ვერ ეხერხებოდა რუსულად ლაპარაკი. დრუჟელოვსკის არ გაუგია ლაპარაკი, მაგრამ გარკვევით მოჰკრა ყური პოპოვის შემდეგ სიტყვებს:

„ვერ გამიგია, როგორ მიიყვანეთ საქმე აფეთქებამდე“.

საელჩოს შვეიცარისაგან დრუჟელოვსკიმ შეიტყო, რომ პოპოვის მოსაუბრე ყოფილა სოფიიდან ჩამოსული ინგლისის ელჩი გარრი ხოლსი.

პროკურორის შეკითხვაზე—ხომ არ დაინტერესებულა დრუჟელოვსკი გაეგო, რანაირად შეეძლო პოლკოვნიკს აეცდინა აფეთქება—დრუჟელოვსკი უპასუხებს, რომ ამის გაგება მან ვერ მოახერხა.

პროკურორი ეკითხება ბრალდებულს—იცის თუ არა მან ის ფაქტი, რომ ბულგარეთის პრემიერს ცანკოვს შეხვედრა ჰქონდა ინგლისელ ჯაშუშ-ქალ მარტენსთან სოფიის ტაძრის აფეთქებამდე?

დრუჟელოვსკი უარყოფითად უპასუხებს. მაგრამ შემდეგ ჩვენებაში ადასტურებს, რომ ნამდვილად არსებობდა ინგლისის ჯაშუშების თავშესაყრები ბინა, რომელსაც ვიღაც ქალი უვლიდა. ამ ბინაში ცანკოვი ხვდებოდა ხოლსს.

პროკურორი ეკითხება დრუჟელოვსკის—ხომ არ უფიქრია მას ევროპის გაზეთებში იმ ლაპარაკის გამოქვეყნება, რომელსაც ყური მოჰკრა პოპოვისა და ხოლსის საუბრის დროს?

დრუჟელოვსკი უპასუხებს, რომ ევროპის პრესაში სრულიად შეუძლებელია ასეთი ლაპარაკის გამოქვეყნება. თვით „როტე ფანეც“ კი არ მოათავსებდა მის ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ, რადგან იფიქრებდა, რომ ეს პროვოკაციაა.

ორი ბულგარული ყალბი საბუთი

შემდეგ სასამართლო გადადის ორ უკანასკნელ ბულგარულ ყალბი საბუთის გამოკვლევაზე: პირველი ყალბი საბუთი შედგენილია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბლანკზე და შეიცავს განკარგულებას, რომ ფული მიეცეს ბულგარეთის კომპარტიის წევრებს დიპლომატიური ფოსტის გადასატანად, ხოლო მეორე ყალბი საბუთი წარმოადგენს ნაკაზს ბულგარეთის კომპარტიის ოპერატიულ შტაბისადმი.

პირველი ყალბი საბუთის შესახებ დრუჟელოვსკი აჩვენებს, რომ მან ისარგებლა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბლანკით, ვინაიდან მას სხვა რომელიმე ბლანკი ხელთ არ ქონდა. ყალბი ინსტრუქციის შინაარსი დრუჟელოვსკის უკარნახა პოპოვმა. ამ ყალბ საბუთში ლაპარაკია ცანკოვის მთავრობისა და იმ პირთა ერთდროულად ფიზიკურ განადგურებაზე, რომლებიც შეიძლებენ ამ მთავრობის შეცვლას.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ კომინტერნის აღმასკომის სრულუფლებიან წარმომადგენლად ბულგარეთში ასეთი კამპანიისათვის ინიშნება დმიტრიევი, ხოლო ოპერაციების ხელმძღვანელად გენერალური შტაბის ოფიცერი კრასოვსკი.

დრუჟელოვსკის ინიციატივით, როგორც თვითონ ამბობს, ამ ყალბ საბუთზე დრუჟელოვსკის ხელით გაკეთებულია წარწერა:

„ასლები რ. კ. პ. წარმომადგენლებს ვენაში, პრაღაში და ბერლინში“.

სასამართლოს შეკითხვაზე—რა მიზანს ისახავდა დრუჟელოვსკი ამ წარწერით, ის უპასუხებს:

„მეჩვენებინა, რომ ეს დოკუმენტი არის ყალბი“.

პროკურორის შუამდგომლობით, სასამართლო კითხულობს მთელ რიგ ამონაწერებს ბულგარეთის ოფიციოზ „ბოლგარი“-დან, საიდანაც სჩანს, თუ როგორი გააფთრებული ანტი-საბჭოთა კამპანია გაჩაღდა ბულგარეთის პრესაში დრუჟელოვსკის მიერ დამზადებულ ამ ყალბი საბუთების მიხედვით.

ამხ. კოლაროვის ჩვენება

დრუჟელოვსკის დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრის, მოწმე ამხ. კოლაროვის დაკითხვას.

ამხ. კოლაროვი დაწვრილებით აღწერს მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდა ბულგარეთის მშრომელი მასები 1923-25 წ. და იმ როლს, რომელიც ყალბმა საბუთებმა ითამაშეს ბულგარეთის სისხლიან ამბებში. პირველი ყალბი საბუთები გამოჩნდა 1923 წ. ივლის-აგვისტოში. ეს საბუთები გამოდიოდა რუს მონარქისტების წრეებიდან და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის მომზადებას სისხლიანი რეჟიმის დასამყარებლად ბულგარეთის მშრომელების მიმართ. ერთ-ერთ ყალბ საბუთში ნათქვამი იყო, რომ კოლაროვის თავმჯდომარეობით გამართულ თათბირზე გამოტანილ იქნა დადგენილება ახლო მომავალში დაეწყოთ აჯანყება ბალკანეთის ყველა ქვეყნებში. მეორე ყალბ საბუთში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ოდესაში იმავე კოლაროვის თავმჯდომარეობით შესდგა სამხედრო თათბირი, რომელმაც შეიმუშავა საბჭოთა ჯარების რუმინეთის წინააღმდეგ გალაშქრების დაწვრილებითი გეგმა.

ყველა ეს ყალბი დოკუმენტები მაშინ ჩნდებოდა, როდესაც ბულგარეთში გამეფებული იყო თავისი სისასტიკით გაუგონარი ფაშისტური რეჟიმი. ამ ყალბი საბუთების საშუალებით ბულგარეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ტერორი წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას მოსკოვის მთავრობის აგენტებისაგან, რომლებსაც განზრახული აქვთ ბულგარეთის და ბულგარული ქვეყნები გადააქციონ პლაცდარმათ მსოფლიო რევოლიუციის დასაწყებად. ამ ყალბი საბუთებით ბულგარეთის მთავრობამ მიაღწია თავის მიზანს: ყველა ქვეყნებში დაიწყო ცილისწამების კამპანია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ბულგარეთის მთავრობის მოქმედება, კერძოთ, ყალბი დოკუმენტების დამზადება, დაკავშირებულია ინგლისის დამზვერავ ორგანოებთან.

კონსტანტინე დრუჟელოვსკის დაკითხვა

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებულის ძმას კონსტანტინე დრუჟელოვსკის, რომელიც დაბარებულია ბრალდებულის შუამდგომლობის თანახმად.

კ. დრუჟელოვსკი აცხადებს, რომ ბრალდებულს უკანასკნელად ის შეხვდა 1918 წელს. თვითონ კი ამის შემდეგ შევიდა დენიკინის არმიაში და 1920 წელს, დენიკინის მიერ ნოვოროსიისკის დატოვების შემდეგ, ის დაპატიმრებულ იქნა და საბჭოთა სასამართლომ მას მიუსაჯა 5 წლის ციხე. 1922 წ. ის ვადამდე ადრე იქნა განთავისუფლებული. დაწყებული 1918 წლიდან მას არავითარი ურთიერთობა და მიწერ-მოწერა არ ჰქონია თავის ძმასთან. მაგრამ, როდესაც გაზეთებში პირველად გამომჟღავნდა დრუჟელოვსკის მოქმედება, მოწმე ერთ-ერთი თეთრგვარდიელის საშუალებით სცდილობდა გაეგო გაზეთებში მოხსენებული დრუჟელოვსკი ნამდვილად მისი ძმა იყო თუ სხვა ვინმე.

პროკურორის შეკითხვაზე—შეეცადა თუ არა მოწმე გაეგო, თუ სად იმყოფებოდა დრუჟელოვსკი,—მოწმე გაურკვეველ პასუხს იძლევა. თავის ძმას ის ცუდი მხრივ ახასიათებს და ამას ასაბუთებს იმით, რომ ჯერ კიდევ გიმნაზიელობის დროს ცუდი ყოფა-ქცევისთვის ის რამდენიმეჯერ იქნა გამორიცხული გიმნაზიიდან, და სადღაც გამგზავრების მიზნით ფული მოპარა მამას საწერ მაგიდიდან.

საღამოს სხდომა

ყალბი დოკუმენტების მოყვარული ჟურნალისტი

უზენაეს სასამართლოს 9 ივლისის სხდომა იხსნება დრუჟელოვსკის ჩვენებით, ამერიკელ ჟურნალისტის, „ჩიკაგო ტრიბიუნის“ თანამშრომლის გამმას დავალებით ყალბი საბუთების დამზადების შესახებ.

დრუჟელოვსკი აცხადებს, რომ ყალბი დოკუმენტი—„კომინტერნის აღმასკომის საიდუმლო ინსტრუქცია ამერიკის კომპარტიისადმი“—შედგენილია გამმას დავალებით. ამ ყალბ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, თანახმად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართვისა, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო მადლობას გამოსთქვამს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლო კამპანიის ჩატარებისათვის. ყალბ დოკუმენტში ნათქვამია, რომ, ამ კამპანიასთან დაკავშირებით, სახკომსაბჭო გზავნის 20.000 დოლარს და იძლევა ფულის მიღების რწმუნებას საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ანგარიშში კამპანიის შემდეგი განვითარების მიზნით. ყალბი დოკუმენტი გაგზავნილია „კომინტერნის სრულუფლებიანი რწმუნებულის“ სახელზე.

სასამართლოს აინტერესებს, თუ ვის ეკუთვნის ამ ყალბი დოკუმენტის შედგენის აზრი და ვინ არის მისი შინაარსის ფაქტიური შემდგენელი.

მიკიბულ-მოკიბული ჩვენების შემდეგ დრუჟელოვსკი გარკვევით აცხადებს:

„დოკუმენტების ავტორი—მე ვარ“.

პოლონეთის აგენტის დავალებით

შემდეგ სასამართლო გადადის იმ ყალბი დოკუმენტების განხილვაზე, რომლებიც დრუჟელოვსკიმ დაამზადა პოლონეთის აგენტის პოცერკოვსკის დავალებით.

პირველი დოკუმენტია—ინსტრუქცია „კომინტერნის სრულუფლებიან წარმომადგენელს“ პოლონეთში; მეორე—„ინსტრუქცია რუს. კომ. პარ. საზღვარგარეთელ ორგანიზაციებს“. პირველ დოკუმენტს ხელს აწერს კომინტერნის აღმასკომის პოლონეთის სექციის თავმჯდომარე დოროტო; ეს ყალბი დოკუმენტი დაკვეთილია საერთაშორისო ჯაშუშ-აგენტის გუმანსკის მიერ. ამ დოკუმენტში, სხვათა შორის, გამოქმულია პოლონეთის კომპარტიის ცეკას მადლობა ინდივიდუალურ ტერორისტული აქტების დანიშვნის გამო.

„ზინოვიევის წერილი“

პროკურორი ეკითხება ბრალდებულს—რა დამოკიდებულება ჰქონდა მას ბელგარდტთან და გუმანსკისთან.

ცოტა ხნით ყოყმანის შემდეგ დრუჟელოვსკი აღიარებს, რომ ცნობილი ყალბი დოკუმენტი „ზინოვიევის წერილი“ დაამზადეს ბელგარდტმა და გუმანსკიმ ვინმე ჟემჩუჟნიკოვის ბინაზე. ჟემჩუჟნიკოვს აქვს ამ წერილის შავი დედანი.

ბელგარდტი არის მეფის ყოფ. სენატორ ბელგარდტის შვილი, რომელიც კარგად იცნობდა ლორდ დ'აბერნონს, ინგლისის მაშინდელ ელჩს ბერლინში. ჟემჩუჟნიკოვის სიტყვიდან დრუჟელოვსკიმ იცის, რომ ბელგარდტმა და გუმანსკიმ „ზინოვიევის წერილის“ შედგენისათვის მიიღეს 80 გირ. სტერლინგი.

სასამართლოს შეკითხვაზე—რატომ შედარებით ასეთი პატარა თანხა იქნა გაცემული და ვინ მისცა ის ბელგარდტსა და გუმანსკის, დრუჟელოვსკი უპასუხებს:

„ბელგარდტისა და გუმანსკის მუშაობისათვის ასეთი მცირე გასამრჯელო იმით იყო გამოწვეული, რომ მათ ადრე გამოაქვეყნეს გაზეთ „რულ“-ში ამ წერილის ტექსტი ჟემჩუჟნიკოვის შავი დედნის მიხედვით.

რაც შეეხება შეკითხვას, თუ ვინ მისცა გასამრჯელო ბელგარდტსა და გუმანსკის, დრუჟელოვსკის სიტყვით ამის შესახებ მას ცნობები არა აქვს.

დრუჟელოვსკი ადასტურებს, რომ ბელგარდტი და გუმანსკი მუშაობდენ ინგლისელებთან და „ზინოვიევის წერილი“ მათ დაუკვეთა ინგლისის „ოხრანკამ“.

ჰამბურგში, ესტონეთში და ლატვიაში

სასამართლოს გამოძიება დამთავრდა 9 ივლისს დრუჟელოვსკის მოღვაწეობის განხილვით მისი ჰამბურგში და ესტონეთში ყოფნისა და ლატვიაში გადასახლების დროს.

სასამართლოს სხდომები შეწყდა 11 ივლისამდე (ადს).

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

პრაღიდან (ჩეხო-სლოვაკია) თბილისში ჩამოვიდა პრაღის ქართული საბჭოთა კოლონიის თავმჯდომარე ალ. ხაბურძანია, რომელიც ესაუბრა ჩვენს თანამშრომელს პრაღის ქართული ემიგრაციის „საქმიანობის" შესახებ.

— 1926 წლამდე პრაღის ქართული საბჭოთა კოლონიის თავმჯდომარედ იყო ბაგრატ ილურიძე,—სთქვა ალ. ხაბურძანიამ, ილურიძემ შარშან აპრილში თავი მოიკლა პრაღაში. ამ მკვლელობის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა ემიგრაციაში. თვითმკვლელობა მოხდა შემდეგ პირობებში:

ილურიძე პრაღაში გადმოსახლდა სტამბოლიდან 1921 წელს, ის მაშინ დაავადებული იყო ტუბერკულიოზით. პრაღის ჰავამ ცუდათ იმოქმედა ილურიძეზე და იქ ყოფნის დროს მას ავადმყოფობა გაურთულდა. იგი სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობისაგან, სხვა იღებდა სტიპენდიას 80 მანეთამდე თვეში. ასეთი მცირე თანხით ძნელია პრაღაში ცხოვრება, მით უმეტეს ძნელია ეს ავადმყოფისათვის, ცუდმა ცხოვრებამ და პრაღის მძიმე ჰაერმა საბოლოოდ დააზიანა მისი ორგანიზმი და იგი ლოგინად ჩაწვა. საექიმოდ ილურიძე მოთავსებული იქნა სანატორიუმში პრაღის ახლოს.

როდესაც ჩვენ მოვიწვიეთ ქართული საბჭოთა კოლონიის პირველი საორგანიზაციო კრება, იგი ამ დროს მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ილურიძე სანატორიუმიდან გამოცხადდა ჩვენს კრებაზე და სიცხიანი თავმჯდომარეობდა სხდომას. ეს ამტკიცებს, თუ რამდენად დიდი იყო მასში ინტერესი საბჭოთა კოლონიის დაარსებისადმი და საერთოდ საბჭოთა საქმისადმი.

1926 წლის გაზაფხულზე მას საქართველოდან მოუვიდა სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. ჩვენ ვუშოვეთ სამგზავრო ფული და გავაცილეთ სადგურზე. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მოგვივიდა ცნობა, რომ ილურიძეს თავი მოუკლავს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ; ილურიძე მძიმე ავადმყოფი იყო. საქართველოში გამომგზავრების წინ მას უკვე სრულიად აღარ ჰქონდა ერთი ფილტვი და მეორეც ნახევრად აღარ უვარგოდა. სიკვდილის წინ მან დასწერა წერილები ამხანაგების მიმართ; რომლებშიაც აცხადებდა, რომ მას არ სურს ავადმყოფი დააწვეს კისერზე მშობლებს და გადასწყვიტა აქვე მოიკლას თავი, პრაღაში, რადგან სულერთია მისი მორჩენა აღარ შეიძლება.

რაც შეეხება მენშევიკების „საქმიანობას" პრაღაში, უნდა ითქვას, რომ იქ ქართველი მენშევიკები გაყოფილი არიან ორ ჯგუფად, ერთ ჯგუფს—„ჭეშმარიტ", ანუ ჩვეულებრივ პრაღელების ჟარგონზე „მჟავე" მენშევიკებს—ხელმძღვანელობს ცნობილი ქამელეონი გრ. აიოლლო,—პარიზის ემიგრაციის მარჯვენა ხელი. ამასთან არის სამი ფედერალისტი გიორგი ნაკაშიძე, კოლია დოლიძე და ნიკიტა მგალობლიშვილი. სხვათა შორის, ამ ჯგუფში იყო მენშევიკების ემისარი ივანე ქარცივაძე, რომელიც ამას წინად დააპატიმრეს საქართველოში.

ამავე დროს არსებობს მენშევიკ-„ოპოზიციონერების" ჯგუფი. წინეთ ამ ჯგუფს მეთაურობდა კოლია ჭუმბურიძე. ის საჯარო მოხსენებით გამოვიდა პრაღაში, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ 1924 წლის ავანტიურა მოწყობილი იყო მენშევიკების მიერ, რომ ემიგრაციამ დაჰკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა და იგი უნდა დაბრუნდეს საქართველოში. აიოლლომ ჯერ კიდევ მოხსენების გამართვამდი წინადადება მისცა ჭუმბურიძეს ეს ლექცია წაეკითხა ფრაქციის სხდომაზე, მაგრამ იგი არ დათანხმდა და საჯარო მოხსენებით გამოვიდა. მენშევიკებმა მოინდომეს მისი გამორიცხვა სტუდენტთა კავშირიდან, მაგრამ მას მხარი დაუჭირეს უპარტიო სტუდენტებმა და „ოპოზიციონერებმა", რომლებიც უმრავლესობას შეადგენდენ კავშირში და იგი დარჩა კავშირის წევრად. მალე გამოირკვა, რომ ჭუმბურიძის ასეთი რიხით გამოსვლა თურმე უბრალო შირმა იყო. პრაღაში იგი მენშევიკების წინააღმდეგ ილაშქრებდა, ამავე დროს კი წერილებს გზავნიდა პარიზში „ბრძოლა"-ში დასაბეჭდათ, რომლებშიაც სასტიკად ილაშქრებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ალბათ ქ. ჭუმბურიძეს სტიპენდიის დაკარგვის ეშინოდა. ასე ამრიგათ ორი კურდღლის მადევარმა ჭუმბურიძემ დაჰკარგა ნდობა „თავის" წრეებშიაც კი.

ამჟამად ოპოზიციონერთა ამ ჯგუფში შედიან ივლიანე **ჯანჯღავა** (იურისტი), ვალიკო **ფიჩხაია**, (მაღნარაძის თანაშემწე ქუთაისის მილიციაში), სენია **თურქია** (კაპიტალისტ ხოშტარიას ერთ-ერთი წარმოების თანამშრომელი) ჩიტო **ნინიაშვილი** (ოფ. ოფიცერი), პავლე **კეციშვილი** (ყოფ. ოფიცერი), ვასო **ინწკირველი** (თბილისის ქალაქის თვითმმართველობის ყოფ. მოსამსახურე) და სიმონიკა **გოცაძე** (ზესტაფონიდან, ყოფ. გვარდიელი).

აიოლლოს ჯგუფი მტრულ განწყობილებაშია ოპოზიციონერებთან. ეს უკანასკნელები არავითარი ნდობით არ სარგებლობენ მათ თვალში. ისინი უფრო ენდობიან მათთან ერთად მყოფ ფედერალისტებს, ვიდრე ოპოზიციონერებს.

ოპოზიციაში მდგომი მენშევიკები შემდეგნაირათ ახასიათებენ თავიანთ პოზიციას: მსოფლიო დაყოფილია ორ მებრძოლ ბანაკათ: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. თუ ჩვენ, ჩვენს თავს სოციალისტებს ვუწოდებთ, პროლეტარიატის ბანაკში უნდა ვიყოთ, უნდა გაუმაგროთ ზურგი რევოლიუციის ერთად-ერთ კერას მთელ მსოფლიოში—საბჭოთა კავშირს. ამავე დროს ისინი სასტიკად ილაშქრებენ პარიზის ემიგრაციის წინააღმდეგ.

რაც შეეხება ქართულ საბჭოთა კოლონიას. მისი რიცხვი ზოგიერთების სამშობლოში დაბრუნების გამო, საგრძნობლად შემცირდა. ამჟამად კოლონიაში ირიცხება 9 კაცი, (საერთოდ კი პრაღაში სულ 30-მდე ქართველია), საბჭოთა კოლონიის თავმჯდომარეა **რაფიელ ყომცემლიძე**, გამგეობის წევრებია **ადრონიკ ანდრონიკაშვილი** და **ლავრენტი კვაჭანტირაძე**.

ქართული საბჭოთა კოლონია აქტიურ მუშაობას აწარმოებს პრაღის მთელ საბჭოთა კოლონიაში. მართავს ლექციებს, მოხსენებებს და სალამოებს და სხვა.

უკანასკნელი ცნობები

„აქსიონ ფრანსეზ"-ის რედაქტორის განთავისუფლება

პარიზი, 10 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გაზეთ „აქსიონ ფრანსეზ"-ის რედაქტორი პუჟო დროებით განთავისუფლებულია. (ადს).

დრუჟელოვსკის საქმე

მოსკოვი, 11 ივლისი. 11 ივლისის დილის სხდომაზე დასრულდა სასამართლოს გამოძიება და სასამართლო გადადის მხარეთა მოსმენაზე. პროკურორმა აღძრა შუამდგომლობა, რათა საქმეს დაერთოს მთელი რიგი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ დრუჟელოვსკის კავშირს ლოკარტის შეთქმულების მონაწილეებთან. პროკურორი და დამცველი უარს აცხადებენ ექსპერტ-კალიგრაფის, კუზნეცოვის დაკითხვაზე, ვინაიდან ბრალდებულმა სცნო თავისი ავტორობა ყალბ საბუთებში. ბრალდებულს არავითარი შუამდგომლობა არ აღუძრავს. სასამართლოს გამოძიება დასრულდა. შემდეგ სასამართლო გადადის მხარეთა კამათზე.

პროკურორი კატანიანი მოითხოვს დრუჟელოვსკის მიმართ სასჯელის უმაღლეს ზომის შეფარდებას.

დამცველი კომოდოვი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გამოძიებამ სავსებით ნათლად დაამტკიცა, რომ დრუჟელოვსკის დანაშაული უნდა განხილულ იქნას სახელმწიფოებრივ დანაშაულთა დებულების მე-5 და მე-6 მუხლით. მაგრამ დამცველი შესაძლებლად სცნობს სთხოვოს სასამართლოს ერთგვარი შეღავათი ბრალდებულისათვის, ვინაიდან იგი პოლიტიკურად სავსებით უვიცია, და აგრეთვე იმ გარემოს მოხედვითაც, რომელშიაც ის გაიზარდა და მოქმედებდა.

სასამართლოს სხდომა შესწყდა განაჩენის გამოსატანად.

ოსინოსტროის სამუშაოთა გახსნა

ორშა, 11 ივლისი. ოსინოსტროის სამუშაოთა გახსნა გადაიქცა სრულიად ბელორუსიის დღესასწაულად.

10 ივლისს ღამით ორშაში ჩამოვიდა სპეციალური დელეგაცია ბელორუსიის მთავრობის, ბ. კ. პ. (ბ), პროფკავშირების და აგრეთვე შრომისა და თავდაცვის უკრაინის საბჭოს და ს. ს. რ. კავშ. ა. მ. უ. ს. წარმომადგენლები: 10 ივლისს დილით ადრე რკინის გზის შტოზე ხლიუსტინიდან ვადრიცამდე გაშვებულ იქნა პირველი მატარებელი ოსინსტროისკენ, გამოსული ორშიდან, დაახლოვებით დღის პირველ საათზე მთავრობის მატარებელი ჩამოვიდა ვადრიცაში. მას ხმამაღალი „ურა"-თი შეხვდა 10.000-ზე მეტი კაცი. ტორჟში მიტინგი გახსნა ბელორუსიის ცაკის თავმჯდომარემ. მიტინგზე გამოვიდა 30-ზე მეტი კაცი, მათ შორის წითელ არმიელები, ფაბრიკის მუშები, გლეხები, მუშა ქალები და გლეხი ქალები. (ადს)

ირლანდიის იუსტიციის მინისტრის მოკვლა

ლონდონი, 11 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება დუბლინიდან, რომ მოკლულია თავისუფალ ირლანდიის სახელმწიფოს იუსტიციის მინისტრი ოხიგინსი თავდასხმაში მონაწილეობა მიიღო უცნობმა, რომლებიც იმყოფებოდენ ავტომობილში და იქიდან რამოდენიმეჯერ ესროლეს რევოლვერი მინისტრს. მინისტრს მიყენებული აქვს 4 ჭრილობა, ერთი მათგანი თავში. რამოდენიმე ხანს შემდეგ ოხიგინსი გარდაიცვალა. (ადს)

მემაღაროეთა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 10 ივლისი. ოჰაიოს შტატში 35.000 მემაღაროეს გაფიცვასთან დაკავშირებით, მაღაროს მეპატრონეებმა სამთამადნო მუშათა კავშირს გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომელშიაც იმუქრებიან პროფკავშირების არა წევრ პირების მიღებით სამსახურში იმ შემთხვევაში, თუ გაფიცული მუშები 15 ივლისამდე არ დასთანხმდებიან სამუშაო ხელფასის შემცირებაზე. სამთამადნო მუშათა კავშირმა უარჰყო მრეწველთა წინადადება და გადასწყვიტა მოიწვიოს კონფერენცია იმ მიზნით, რათა ხელი შეუშალოს იმ პირების მიღებას სამსახურში, რომლებიც პროფკავშირების წევრებათ არ ითვლებიან. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დახმარება აზერბეიჯანის უმუშევარ მბეჭდავებს

მოსკოვი, 11 ივლისი. მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა აზერბეიჯანის უმუშევარ მბეჭდავთა დასახმარებლად გადასდოს 2.000 მან. (ადს).

ამხ. სადოვსკის დაკრძალვა

მოსკოვი, 11 ივლისი. 9 ივლისს დაკრძალეს ძველი ბოლშევიკი და საკავშირო ცაკის წევრი ამხ. სადოვსკი. კუბო საბჭოთა სახლის წითელ დარბაზიდან გამოიტანეს. ამხ. ტომსკიმ, ენუქიძემ, ფელიქს კონმა და სხვა ამხანაგებმა. საფლავზე რევოლიუციის წინაშე გარდაცვალებულის დამსახურების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ენუქიძემ. (ადს).

ნავთის გამოსაკვლევი ინსტიტუტი

მოსკოვი, 11 ივლისი. ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავზე მოსკოვში გაიხსნება ნავთისა და ნავთის მრეწველობის მეცნიერული კვლევის ინსტიტუტი. ინსტიტუტი მოთავსდება ახალ უზარმაზარ შენობაში, ვორობიოვის მთის ახლოს. (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 11 ივლისი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით, 1926—27 წ. პურის დასამზადებელი კამპანიის განმავლობაში სულ საბჭოთა კავშირის ყველა რაიონებში დამზადებულია 633.201.000 ფუთი პური. 1925—26 წ. კი დამზადდა 584 ნახ. მილ. ფუთი (ადს).

პასუხისგებაში მიცემა

მინსკი, 11 ივლისი. მინსკის ოლქში უდიდეს ცნიანსკის ტორფის დამმუშავებელ საწარმოებში ადმინისტრაციამ თვითნებურად, პროფკავშირის დაუკითხავად შეამცირა კოლექტიურ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასის განაკვეთები. მუშების ნაწილმა უარი განაცხადა მუშაობაზე, ამის საპასუხოდ ადმინისტრაცია შეეცადა გამოეცხადებია ლოკაუტი.

შრომის განყოფილების, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შემდგარმა კომისიამ დაადასტურა ადმინისტრაციის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი, ტორფის დამამზადებელ საწარმოთა ადმინისტრაცია ლოკაუტისთვის და დაუშვებელი შრომის პირობების შექმნისთვის პასუხისგებაშია მიცემული. (ადს).

შეღავათიანი ტარიფი საბინაო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 11 ივლისი. სოცდაზღვევის საკავშირო საბჭომ დააწესა სოცდაზღვევის შეღავათიანი ტარიფი 10 პროც. ფარგლებში იმ საბინაო მშენებლობისათვის, რომელსაც აწარმოებს მუშები და მოსამსახურეები საკუთარი საჭიროებისათვის (ადს).

ურთიერთობა ინგლისთან

მოსკოვი, 11 ივლისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში / აცნობეს, რომ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან ამჟამად განისაზღვრება მხოლოდ საქონლის ჩაბარებით დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე, ინგლისის ფირმებთან დადებული შეთანხმების თანახმად, და იმ საქონლის მიღებით, რომელიც შესყიდულია ინგლისში, აგრეთვე ამ ურთიერთობის შეწყვეტის წინა ხნებში. ამრიგად ყოველგვარი ცნობები, რომელსაც ათავსებენ როგორც საბჭოთა, ისე საზღვარ-გარეთაც პრესაში, ამა თუ იმ სავაჭრო ოპერაციის ან საქონლის მიღება და გაგზავნის შესახებ, ეხება, იმ სავაჭრო შეთანხმებების ასრულებას, რომლებიც დადებული იყო ინგლისის ფირმებთან ინგლის-საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის შეწყვეტამდე. (ადს).

როგორ დაიღუპა ამხ. ოპანსკი

დაწვრილებითი ცნობები

მინსკი, 11 ივლისი. გამოქვეყნდა მთავრობის ბიულეტენი, რომელიც შეიცავს დაწვრილებით ცნობებს ამხ. ოპანსკის დაღუპვის შესახებ.

ბიულეტენში აღნიშნულია, რომ მთავრობის კომისიამ, რომელიც გამოყოფილი იყო იმის გამოსარკვევად, თუ რამ გამოიწვია ავტოდრეზინის დამტვრევა, რასაც შედეგად მოყვა ბელორუსიის გაერთიანებულ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ოპანსკისა და მ. პ. ს. შოფერის ამხ. გოლუბევის დაღუპვა, გამოარკვია შემდეგი:

„კატასტროფის ადგილზე გამგზავრებულმა კომისიამ გამოარკვია, რომ დრეზინის დამტვრევა მოხდა იმის გამო, რო რელსზე წვრილი მავთულით მიბმული იყო ქვა, რომელსაც დაეჯახა გაქანებული დრეზინა. ნახულმა ქვამ, კატასტროფის ადგილისა და დამტვრეულ დრეზინის დათვალიერებამ კომისია მიიყვანა გარკვეულ დასკვნამდე, რომ ადგილი ქონდა ბოროტ განზრახვას.

შემდეგმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ დამტვრეულ დრეზინის ირგვლივ შეკრებილ გლეხების ჯგუფიდან გავიდა და სწრაფად მიიმალა ტყეში საზღვარის მიმართულებით ორი უცნობი პირი. ეს პირები დღემდე არ აღმოჩენილან.

კომისიამ გამოარკვია აგრეთვე ისიც, რომ ექიმმა ლვოვიჩმა, რომელსაც თავის დროზე აცნობეს კატასტროფის შესახებ, არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა დაჭრილებს. ლვოვიჩი პასუხისგებაშია მიცემული. (ადს).

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული

თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობა

დაიწყო თავდაცვის კვირეული. მშრომელმა მასებმა და მთელმა კომუნისტურმა პარტიამ უაღრესად აქტიური და ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ კამპანიაში.

თავის მოტყუება იქნებოდა იმის ფიქრი, რომ თითქოს უკანასკნელ კვირეებში „გაქარწყლდა" ომის საფრთხე, რომ თითქოს ის ჩაბარდა შორეულ მომავალს და „მოიხსნა" დღის წესრიგიდან. ასეთი ფიქრი ნიშნავს ილიუზიების დანერგვას როგორც საკუთარ თავში, ისე ყველა ახლობლებში. ამასთანავე შეიძლება ერთ „მშვენიერ" დღეს ეს ილიუზიები საპნის ბუშტივით გასკდეს.

საერთაშორისო მდგომარეობა ისევე გამწვავებულია. იმპერიალისტური ინგლისი განაგრძობს დანარჩენ სახელმწიფოების მომზადებას ომისთვის; მუშაობა საბჭოთა კავშირის „გარემოცვაზე" არა თუ არ სუსტდება, არამედ, პირიქით, ძლიერდება. ჩემბერლენი უკვე „თვალს უკრავს" შტრეზემანს და უმნიშვნელო მოწყალებებით სცდილობს გერმანიის გაბმას ყაჩაღურ ავანტიურების ქსელში. სწარმოებს გააფთრებული კამპანია კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად ის უდიდესი და განსაკუთრებული სიძნელეები, რომლებსაც ჩინეთის რევოლიუცია განიცდის, რასაკვირველია, კი არ გვაშორებენ, არამედ გვიახლოვებენ არაჩვეულებრივად მერყევი, „მსოფლიო წონასწორობის" დარღვევას სამხედრო შეტაკების გზით.

ამიტომ პირველ ამოცანად რჩება მზადება პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვისათვის. სახელმწიფომ, პარტიამ და მასებმა ეს უნდა შეითვისონ, როგორც პირველხარისხოვანი ამოცანა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება უნდა წარმოადგენდეს ყოველი მშრომელი მოქალაქის პირადპირ მოვალეობას. მთელმა ჩვენმა მშრომელ კოლექტივმა უნდა დასჭიმოს თავისი უძლიერი კუნთები სოციალისტურ სამშობლოს თავდასაცავად ინტერვენციის შეუპოვარ „მოციქულებისა". კოლონიალური უღლის საფრთხისა, ინგლისის იმპერიალიზმის მოკავშირეებისა და თეთრ ნაძირალებისაგან.

საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების ამაღლება, წითელი არმიის გაძლიერება, არმიასთან მუშურ-გლეხური მასების კავშირის გაღრმავება და განმტკიცება პირველხარისხოვანი სამხედრო მრეწველობის დასახვა და განვითარება—აი ჩვენი პირველი მოვალეობა.

ჩვენ განვაგრძობთ მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ ფხიზლად ვადევნებთ თვალს მტერს, მის ყოველ ნაბიჯს, მის ყოველ სისაძაგლეს. ჩვენ განვამტკიცებთ სამხედრო მრეწველობას, განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის სამხედრო-სამეურნეო ძლიერებას, გავაძლიერებთ ჩვენი ეკონომიკის გეგმიანი-სოციალისტურ ელემენტებს, ავწევთ შრომის ნაყოფიერებას და განვგმირავთ ბიუროკრატიზმის ათასთავიან ვეშაპს.

ქვეყნის თავდაცვის საქმეში პარტია ჩააბამს ფართე მილიონიან მასებს.

მაშინ ჩვენთვის ველარავითარი მტერი ველარ იქნება საშიში.

„პრავდა".

მოსკოვი, 10 ივლისი.

კვირეულის ძირითადი ამოცანები

უკანასკნელ ათ წელიწადში ჩვენს თვალწინ გაიარა სამი სახის ომმა, სახელდობრ: 1914-1918 წ. წ. იმპერიალისტურ, 1918-1920 წ. წ. სამოქალაქო და კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ერების რამდენიმე რევოლიუციონურმა ომმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

რამდენად სხვადასხვანაირია ეს ომები, იმდენად სხვადასხვანაირია მათი გამოცდილება. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყველა ისინი, თუმცა სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც გვიჩვენებენ და გვიაშკარავებენ თანამედროვე ომის და მისი მომზადების მნიშვნელოვან მხარეებს.

თუ გადავათვალიერებთ უკანასკნელ ათეული წლის ომების გამოცდილებათა მთავარ მაჩვენებლებს, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ თანამედროვე ომი და მისი მომზადება ემყარება სამ ძირითად ელემენტს: მძიმე ინდუსტრიის განვითარებას. კვალიფიციური მებრძოლის მომზადებას და სამხედრო მომზადების საქმეში მოსახლეობის ფართე მასების ჩაბმას.

მ. შვარტეს წიგნის — „ტეხნიკა მსოფლიო ომის დროს" — რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში ჩვენ ვპოულობთ მეტად საინტერესო ციფრებს, რომლებიც ახასიათებენ ჯარის სახეების შეფარდების ცვლილებას მსოფლიო ომის მთელი ხნის განმავლობაში. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ომის დასაწყისში (1914 წელს) ფეხოსანი ჯარი შეადგენდა ჯარების საერთო მასის 75 პროც.-ს, ხოლო ომის, მიწურულში (1918 წელს) ის დავიდა 50 პროც.-დე; არტილერია 1914 წელს შეადგენდა 15 პროც.-ს, ხოლო 1918 წელს 40 პროც.; საინჟინერო ჯარები 1918 წელში — 2 პროც., 1918 წ. 7 პროც., და ავიაცია 1914 წელში შეადგენდა — 0,17 პროც.-ს ხოლო 1918 წელში ის უკვე შეადგენს — 3 პროც.-ს. ცვლილება, როგორც ხედავთ, იმდენად თვალსაჩინოა, რომ ის არავითარ ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებს.

საფრანგეთის არტილერიის ყოფილი მთავარი ინსპექტორი გენერალი ერრი თავის წიგნში არტილერიის შესახებ სწერს, რომ „ომმა აღმოაჩინა სამი ძირითადი ფაქტორი: თანამედროვე ცეცხლის უსაზღვრო ძლიერება, მექანიზაციის მნიშვნელობა და, მასთან დაკავშირებით, მეცნიერების და მრეწველობის უდიდესი მნიშვნელობა".

თუ ამას კიდევ მივუმატებთ, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ სამხედრო ტეხნიკა ერთ ადგილზე კი არ დგას, არამედ მიდის წინ, — ეს შეეხება არა მარტო არტილერიას, არამედ ავიაციას და სამხედრო ქიმიასაც, — მაშინ სრულიად გასაგები გახდება ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო მომზადების საქმეში საერთოდ მრეწველობას, ხოლო, განსაკუთრებით, მძიმე ინდუსტრიის განვითარებას.

სამხედრო საქმის სირთულე სულ უფრო და უფრო დიდ მოთხოვნილებებს უყენებს ჯარების სამხედრო მომზადებას. სამხედრო ტეხნიკის განვითარება და ჯარების ეხლანდელი წყობა სულ უბრალო მებრძოლისაგანაც კი მოითხოვს განვრთნას, მორალურ სიმტკიცეს, დამოუკიდებლობას, ინიციატივას. თანამედროვე არმია მოითხოვს კარგად მომზადებულ, კვალიფიციურ მებრძოლს.

და აქედან მთელი სიცხადით ის დასკვნა გამოდის, რომ მეოცე საუკუნის მეორე მეოთხედში სამხედრო მომზადების საქმე არ შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო უწყების სპეციალურ საქმედ.

თუ მომავალი ომი წაშლის განსხვავებას ფრონტსა და ზურგს შორის, თუ თანამედროვე სამხედრო ტეხნიკა მოითხოვს მთელი მრეწველობის წინასწარ სამხედრო მომზადებას, თუ თანამედროვე არმიების კვალიფიციური მებრძოლის ძიება შეიძლება მხოლოდ მოსახლეობის მასაში სამხედრო ცოდნისა და სამხედრო გამოცდილების გავრცელებით, მაშინ სავსებით ცხადია, რომ მთელი ქვეყნისა და მოსახლეობის მასის სამხედრო მომზადება წარმოადგენს უპირველეს მნიშვნელობის, გადაუდებელ საქმეს.

ჩვენ, საბჭოთა სახელმწიფო და წითელი არმია იძულებული ვართ გავითვალისწინოთ ყველა ეს მოთხოვნილებები.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ ბევრიც გვაქვს გაკეთებული. ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეზე. ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ ისეთ პირობებში, როდესაც სრულიად ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ჩვენი შეიარაღებული ძალების სისტემა. ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ მუშურ - გლეხურ ფართე მასების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ზრდის საფუძველზე.

1927 წელმა მოგვიტანა საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება, ამასთან ომის საფრთხე თანდათან უფრო რეალური ხდება. ეს გარემოება მოითხოვს ჩვენგან ყურადღების გაათკეცებას ქვეყნის თავდაცვის საკითხებისადმი.

„თავდაცვის კვირეული" პირველ ყოვლისა ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

ჩვენმა პარტიამ სწორედ ეს ამოცანა უნდა მოაქციოს თავისი ყურადღების ცენტრში. პროფესიონალურმა კავშირებმა, კოოპერაციამ და საზოგადო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების საქმეს. სამრეწველო მუშაკებმა თავის სამეურნეო საქმის ყოველგვარი საკითხი მჭიდროთ უნდა დაუკავშირონ თავდაცვის განმტკიცების ამოცანებს. მუშებისა და გლეხების ფართო მასებმა სავსებით უნდა შეიგნონ ამ ამოცანის მნიშვნელობა. „თავდაცვის კვირეული" უნდა გახდეს პარტიის საქმეთ. მხოლოდ ასეთ პირობებში ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ უზრუნველყოფილი იქნება იმ საქმის ყველა დარგების გაღრმავება და გაფართოვება, რომელსაც საბჭოთა კავშირის თავდაცვა ეწოდება.

ჩვენი ძალა იმაშია, რომ ჩვენ გვყავს არმია; ის მით უფრო ბრძოლის უნარიანია, რამდენადაც პოლიტიკურად შეგნებულია ყოველი მისი უბრალო მებრძოლი წითელ არმიელი. ჩვენი ძალა იმაშია, რომ მუშურ - გლეხური წითელი არმიის მეთაური წარმოადგენს არა მარტო სამხედრო სპეციალისტს, არა მარტო უფროსს, არამედ თავისი ნაწილის პოლიტიკურ ხელმძღვანელსაც. ჩვენი ძალა იმაშია, რომ ჩვენი არმიის სიმტკიცე ემყარება მუშათა კლასის განუყრელ კავშირს გლეხობის ფართე მასებთან. ჩვენი ძალა იმაშია, რომ ჩვენ ნამდვილად და არა ცარიელი სიტყვით, ვატარებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომ ჩვენ მშვიდობიანობისათვის ვიბრძვით. ჩვენი ძალა იმაშია, რომ ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი მრეწველობის ზრდის საფუძველზე. ჩვენი ძალა იმაშია, რომ პოლიტიკური მუშაობა წითელ არმიაში უზრუნველჰყოფს მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მნიშვნელობას. წითელი არმია არის და იქნება „პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის სოციალისტური თავდაცვის იარაღი". ჩვენი ძალა იმაშია, რომ წლიდან წლამდე იზრდება და მტკიცდება საერთაშორისო პროლეტარიატის ფართე მასების სიმპატიები მსოფლიოში პირველ მუშათა სახელმწიფოსადმი.

მტერი ემზადება თავდასხმისათვის, უპასუხოთ მას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავდაცვის განმტკიცებით.

ა. ბუბნოვი.

როგორი იქნება მომავალი ომი

დღემდის სისწორით არაა გამორკვეული რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა უკანასკნელ საერთაშორისო ომს, რამდენი დასახიჩრდა, და რამდენი თანხა დაუჯდა ომი მეომარ სახელმწიფოებს. ჯერ-ჯერობით მოიპოვება მხოლოდ დაახლოვებული ცნობები, რომელნიც შემდეგ სურათს იძლევიან: ომმა იმსხვერპლა—**80.056.485** ადამიანის სიცოცხლე, დასახიჩრდა **16.003.581** კაცი. მეომარ სახელმწიფოებს ომი დაუჯდათ დაახლოებით — **833.217** მილიონი ოქროს მარკა. ომმა მთელ რიგ სახელმწიფოებში შექმნა უდიდესი კრიზისები, და ადამიანთა ათეული მილიონები ჩააგდო აუტანელ გაჭირვებაში, არ მოიძებნება დედამიწის ისეთი ნაწილი, სადაც ომს თავისი დაღი არ დაეჩინოს.

ბურჟუაზია მაინც არ ისვენებს. ის ყოველნაირად სცდილობს კვლავ ომის კოცონი დაანთოს. ამ მიზნით მთავარი იერიშები მოაქვთ ჩვენზე, ერთად-ერთ სოციალისტურ სახელმწიფოზე. ამხ. ვოიკოვის მკვლელობა საბჭოთა კავშირის ომში გამოწვევა იყო. მაგრამ ჩვენმა მთავრობამ ამაზე უპასუხა ასეული მილიონიანი მასების პროტესტით და სახელმწიფოს შინაგანი თავდაცვის გაძლიერებით.

ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ თუ კი ევროპის ცივილიზატორები მოისურვებენ ჩვენ საზღვრებში შემოჭრას, სისხლის წვეთამდე დავიცავთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარ თავისუფლებას. ომის პროვოკაციას საბჭოთა კავშირების წინააღმდეგ მეთაურობს ინგლისის შეუპოვარი მთავრობა. ჯერ-ჯერობით ინგლისმა მოკავშირე ჩვენს წინააღმდეგ ვერ იშოვნა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ საბოლოოთ დაზღვეული ვართ ომისაგან. საბჭოთა კავშირი მზათ უნდა იყოს ყოველგვარი საფრთხის ღირსეული შეხვედრისათვის.

წარსულ ომში პირველხარისხოვან საომარ იარაღებათ ითვლებოდა თოფ-ზარბაზნები. ქიმია, რადიო და ჰაეროპლანი მეომარ სახელმწიფოების მიერ გამოყენებულ იქნა ომის უკანასკნელ ხანებში. დღეს ევროპის „კულტურული" სახელმწიფოები ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას ახალი სისტემით ამზადებენ. გასულ ომში ჯარში გაჰყავდათ ასეული მილიონებით ჯარისკაცები და ათეული მილიონობით იხოცებოდა ისინი, რადგან ბრძოლა სწარმოებდა თოფ-ზარბაზნებით. მომავალ ომში საჭირო იქნება გაცილებით ნაკლები ჯარის-კაცები. მსხვერპლი გასულ ომთან შედარებით იქნება ათჯერ და ასჯერ მეტი. თოფ-ზარბაზნებს მომავალ ომში თავის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა დაეკარგება მის ადგილს დაიჭერს ქიმიური გაზები, რადიო, ელდენი, ავიაცია, გამანადგურებელი ტანკები და სწრაფ სენის გამავრცელებელი ყუმბარები.

ახალი სამხედრო ტეხნიკა იძლევა შემდეგ სურათს: უზარმაზარი ტანკები შეიარაღებული გამანადგურებელი ზარბაზნებით მოქმედობს როგორც ხმელეთზე, ისე წყალში. დაჰქრიან ჰაეროპლანები „ტრიო", რომელთაც ერთ და იმავე დროს შეუძლიათ მოქმედება, როგორც ზღვაზე, ისე ჰაერში და ხმელეთზე. რადიოს საშუალებით შესაძლებელი ხდება სამხედრო გემების და ჰაეროპლანების მოქმედება, რომელზედაც არც ერთი ჯარისკაცი არ იქნება. კაცის მოვალეობას შეასრულებს რადიო. შესაძლებელია ათასგვარი აფეთქებანი შორეულ მანძილიდან, მოწინააღმდეგის ბანაკში საიდუმლოების და ჯარების მოქმედების დანახვა, განკარგულებების გადაცემა, აგრეთვე რკინის ჯარისკაცების მოქმედება რადიოს საშუალებით. ელექტრო-ენერგიის საშუალებით შესაძლებელი ხდება შორეულ მანძილიდან ადამიანების ამოჟლეტა, ათასგვარი ქიმიური გაზები შეავიწროვებენ როგორც ჯარისკაცებს, ისე მშვიდობიან მოსახლეობას ბარში და მთებში. გადამდებ სნეულებათა ყუმბარებით შესაძლებელია მოწინააღმდეგს ბანაკში გაავრცელონ გადამდები სნეულებანი.

მომავალი ომი ფრონტებით არ იწარმოებს. ის იწარმოებს თავდასხმის წესით, როგორც ჰაერიდან, ისე წყლიდან და ხმელეთიდან. ყველა ამის შემდეგ იბადება კითხვა, რა იხსნის კაცობრიობას მომავალი ომის საფრთხისაგან?. პასუხი მხოლოდ ერთია, მსოფლიო მშრომელთა გაერთიანება კომინტერნის დროშის ირგვლივ, დაუნდობელი ბრძოლა სოციალ-შეთანხმებლებთან, სოც.-დემ. მხილება, რომელმაც უკან დაიხია 1914 წელში და ასევე უკან იხევს დღეს.

დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის გასამხედროებას. მომავალი ომი იქნება სულ სხვა სახის, ვიდრე წინანდელი ომები. თოფ-ზარბაზნების ადგილს დაიჭერს ისეთი ნივთიერებნი, რომელნიც უცნობია ჩვენი მოსახლეობისათვის. სწორედ ამიტომ უნდა შევხვდეთ მომავალ ომს მომზადებულათ, ყველა მშრომელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ დაიცვას თავისი თავი მოსალოდნელ ომში.

მიშა პაიჭაძე.

პირველი დახმარების მოწყობა

„თავდაცვის კვირეულის" ჩატარების პერიოდში ჩვენ სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეთ იმ საკითხს, თუ როგორ შევამციროთ ჩვენი „ცოცხალი მასალის ხარჯი".

მე მახსოვს 1904 წელი; ჯავშნოსან „პეტროპავლოვსკის" აფეთქება და 800 კაცის დაღუპვა; მახსოვს ვიღაც პოლკოვნიკის სიტყვები: „რა არის ხალხი? ხალხს დედაკაცები შობენ. აი, ჯავშნოსანი კი..."

ეს ხაზი, რომ ჩვენ ხალხი, როგორც შეშა, აურაცხელი გვყავს, ნათლად ტარდებოდა იმპერიალისტური ომის დროსაც. ხალხი არ ენანებოდათ.

ჩვენ არ შეგვიძლია გავყვეთ მეფის გენერლების გზას: ჩვენთვის ძვირფასია მშრომელთა სისხლის თითოეული წვეთი. ამიტომ საჭიროა დაისვას კითხვა, თუ როგორ მივაღწიოთ იმას. რომ დაჭრილები ნაკლები იქნეს, და ვინც დაიჭრება მალე მორჩეს და გახდეს შრომის უნარიანი. თუ როგორ შემცირდეს დაჭრილთა რიცხვი — ეს სამხედრო სპეციალისტების საქმეა. ჩვენ კი ვიტყვით რამოდენიმე სიტყვას იმის შესახებ, თუ როგორ უმჯობესია და საიმედო დაჭრილის მოვლა, როგორ დავუბრუნოთ მას ჯანმრთელობა. ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ წესიერად დაყენებულ **პირველ დახმარებას** უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

რაც უნდა მალე არ მოვიდეს ექიმი დაჭრილის დასახმარებლად, რამოდენიმე წუთი მაინც ყოველთვის გაივლის. ამ რამოდენიმე წუთში კი დაჭრილი, ან მის გარშემო მყოფნი ასწრებენ ისეთი შეცდომების დაშვებას, რომელთა გასწორება უკვე აღარ შეიძლება. ჭრილობაზე აყრიან მიწას, ან მოსწმენდენ მას ბალახით, ! წვირიანი პერანგით, ყველაფრით რაც ხელში მოხვდებათ. ამის შედეგია ის, რომ ჭრილობა ჩირქდება. ხშირად შემთხვევა, რომ დაჭრილი დაავადდება გაშეშებით (столбняк), ხშირად დაჭრილი ხელში ან ფეხში სივდება და საჭირო ხდება მისი მოჭრა. დაჩირქება — ჩვეულებრივი ამბავია, რომელიც თვეობით გრძელდება და ლოგინად აგდებს ადამიანს.

ყველაფერი ეს აცილებული იქნებოდა, რომ თითოეულმა იცოდეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს დაჭრის დროს.

დასასრულ, დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ დახმარების აღმოჩენას დაუყოვნებლივ, ექიმის მოსვლამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭრილმა შეიძლება ვეღარც იცოცხლოს ექიმის მოსვლამდე, მაგალითად ბევრი სისხლის დაკარგვის გამო.

იმის შესასწავლად, თუ როგორ უნდა იქნეს აღმოჩენილი პირველი დახმარება, საჭიროა პირველ დახმარების კურსების მოწყობა. ყველამ უნდა გაიაროს დაჭრილთათვის და მოწამლულთათვის პირველი დახმარების აღმოჩენის და მოვლის მცირე კურსი. საჭიროა ყველა აღიჭურვოს ამ ცოდნით.

ეს ცოდნა საშუალებას მოგვცემს გადავარჩინოთ ბევრი სიცოცხლე, შევამციროთ ადამიანის „მასალის" ხარჯი და გავადიდოთ ჩვენი გამარჯვების შანსები იმ შეტაკებაში, რომელიც შეუძლია მოგვახვიოს თავზე იმპერიალისტურმა მსოფლიომ.

თავდაცვის კვირეულის დროს მოვიფიქროთ, თუ რა ზომები მივიღოთ, რომ ეს თავდაცვა რაც შეიძლება იაფი დაგვიჯდეს, რომ შევინარჩუნოთ ძალა შემდგომი მშენებლობისათვის. და ამ ზომათა შორის ყურადღება მივაქციოთ პირველ დახმარების შესწავლას და პირველ დახმარების წრეების მოწყობას.

გ.

საქართველოს ფინსახკომისაგან

„თავდაცვის - კვირეულის" განმავლობაში, თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად ყოველგვარ სანახაობის და გასართობ ადგილების ბილეთებზე 10 პროც. განსაკუთრებულ გამოსაღების დაწესების შესახებ. თანახმად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის ა. წ. 2 ივნისის დადგენილებისა „თავდაცვის კვირეულის" განმავლობაში, ე. ი. 10—17 ივლისამდე დაწესებულია განსაკუთრებული გამოსაღები 10 პროც. რაოდენობით. ბილეთებზე ყოველგვარ გასართობებზე და სანახაობებზე როგორიცაა მაგ. თეატრები, კლუბები, კინოები, კაბარე, კაზინო და სხვა.

ამ საქმის ტეხნიკურად მოწყობა ამავე დადგენილების თანახმად, დაკისრებული აქვს ფინსახკომისარიატს, საქართველოს სსრ ავიაქიმიის თავდაცვის დამხმარე საზოგადოებასთან ერთად.

რათა უცვლელად ჩატარებულ იქნეს აღნიშნული ღონისძიებანი, ფინსახკომისარიატი და საქართველოს თავდაცვის ავიაქიმიის დამხმარე საზოგადოება ამით აცნობებს ყველა იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა განკარგულებაშია აღნიშნული სახის გასართობი ადგილები და სანახაობანი, დაუყოვნებლივ გაატარონ ხსენებული დადგენილება" თავდაცვის კვირეულის" განმავლობაში ბილეთებზე 10 პროც. განსაკუთრებულ გამოსაღების დარიცხვის სახით.

შეგროვილი თანხა შეტანილ იქნეს ყველა დაწესებულება - ორგანიზაციების მიერ საქართველოს თავდაცვის ავიაქიმის დამხმარე საზოგადოების ცენტრალურ საბჭოში (კალოუბნის ქ. № 7 ტელ. 3—69).

საქართველოს ფინსახკომისარის მოადგილე **ფანცხავა**.

საქ. თავდაცვის ავიაქიმის პრეზ. წევრი **ბზიკალავა**.

მოხსენებები უჯრედებში

საქ. კ. პ. (ბ) **თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება**, რომ დღეს, სამშაბათს 12 ივლისს, თავდაცვის კვირეულის შესახებ ჩატარებული იქნება მოხსენება შემდეგ უჯრედებში.

თბილისის აღმასკომის პირველი სტამბა—მომხსენებელი **ალნიაშვილი**, პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბა—მომხსენებელი **ბზიკალავა**, პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბა—მომხსენებელი **გუდკოვი** პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბა—მომხსენებელი **წილოსანი**, „ზარია ვოსტოკას" — მომხსენებელი **მალიკოვი**, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფია—მომხსენებელი **შლემინგი**, ლენინის სახ. თამბაქოს ფაბრიკა—მომხსენებელი **პეტროვი**, „კრასნი ვოინის" სტამბა—მომხსენებელი **კორნენკო**, გრეხილ აჟეჟის ფაბრიკა — მომხსენებელი **ივლევი**, პოლიგრაფტრესტის მეოთხე სტამბა—მომხსენებელი **ეგიკოვი**, თემქა — მომხსენებელი **დუბოვიცკი**, ტყავზე მომუშავეთა უჯრედში — მომხსენებელი **პილოტაევი**, ცეცხლის მქრობელთა გუნდის უჯრედში — მომხსენებელი **ალაფუზოვი**, კამის სახელობის სათამბაქო-საქარხნო სკოლის უჯრედში—მომხსენებელი **ორლოვი**, ფოსტა-ტელეგრაფის სოლქო კავშირში — მომხსენებელი **ავდეევი**, სახელმწიფო ბანკში — მომხსენებელი **უდამოვი**, ტრანსპორტზე მომუშავეთა უჯრედში — მომხსენებელი **ლიტვინოვი**, „მიასოტორგი"-ს უჯრედში — მომხსენებელი **სტეპანოვი**, „მუზპრედში"—მომხსენებელი **ჩელეცკი**.

უჯრედების მდივნებმა წინასწარ უნდა მოელაპარაკონ მომხსენებლებს მოხსენების დროისა და ადგილის დანიშვნის შესახებ.

კვირეულის ქრონიკა

კვირას, დილის 9 საათზე ა.-კ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მე-№ პოლკის სამხედრო ქიმიურ გაზების სახრჩოლებელ კამერაში თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების თბილისის წევრთათვის მოეწყო სამხედრო ქიმიური გაზების ხრჩოლება.

დილიდანვე გაზების ხრჩოლებაზე დასწრების მსურველებმა ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდან თავი მოიყარეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების შენობასთან (კალოუბნის ქ. № 7) საიდანაც ყველა ერთად გაემართენ სახრჩოლებელ კამერისაკენ.

გაზების ხრჩოლებას სულ დაესწრო 50 კაცი. კამერაში უშვებდენ 15 კაცს, რომელთაც ურიგებდენ გაზების საწინააღმდეგო ნიღაბებს. მათთან ერთად კამერაში შეჰყავდათ კატები, რომლებზედაც ახდენდენ გაზების მოქმედების ცდებს. გაზები ცხოველებზე ცუდათ მოქმედებდა. 5 წუთში კატები სულს ლაფავდენ.

გაზების საწინააღმდეგო ნიღაბების გამოცდამაც კარგი შედეგები გამოიღო. არც ერთი ნიღაბი არ გაფუჭებულა და არავის არ უგრძვნია გულის შეხუთვა.

დამსწრენი კმაყოფილი დარჩენ გაზებთან გაცნობით.

გაზების ხრჩოლება გუშინაც სწარმოებდა.

შეჯიბრი სროლაში

კვირას ყოფ. სამხედრო სობოროს ეზოში დაიწყო სროლის შეჯიბრი საუკეთესო მსროლელის პირველობაზე.

ამასთანავე ქალაქის ყველა რაიონულ ტირებში დაიწყო ფასიანი შეჯიბრი სროლაში შეჯიბრი გრძელდება.

სამხედრო საფოსტო მტრედები

ყოფ. სამხედრო სობოროს ეზოში მოწყობილია სამხედრო მტრედების ფოსტა. მტრედებს ქალაქის ფარგლებში ატანენ წერილებს. წერილების გაგზავნა ღირს 30 კაპ.

ადგილებზე

ბათომიდან და ოზურგეთიდან დაბრუნდა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ინსტრუქტორი ამხ. **წილოსანი**, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

ბათომში თავდაცვის კვირეულის კამპანია უკვე დაიწყო კვირეულის ფონდის გასაძლიერებლად ყველა გასართობებიდან კვირეულის განმავლობაში გადაიდება შემოსავლის 10 პროცენტი. ქალაქის ბაღში იმართება სეირნობა. ზღვაზე დაწესებულია ფასიანი სეირნობა იალქნიანი და მოტორიანი ნავებით ბათომიდან მახლობელ აგარაკებამდე. ქალაქის ბაღში დადგმულია სამი კიოსკი. ერთი მათგანი გაჰყიდის საჰაერო ლატარიის ბილეთებს, მეორე—ლიტერატურას ავიაციისა და ქიმიის შესახებ, ხოლო მესამეში იწარმოებს ახალ წევრების მიღება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ძალებით კვირეულის სასარგებლოთ იმართება სისტემატიურად წარმოდგენები.

კვირეულის სასარგებლოდ „ზაკავტოპრომტორგი"-ს მუშა-მოსამსახურების მიერ გადადებულია დღიური ხელფასი.

ამასთანავე აჭარისტანის პოლიტგანათლების განყოფილება კვირეულის განმავლობაში სოფლებში აწყობს კინოებს.

ადგილობრივი წრეების მონაწილეობით ეწყობა სროლის შეჯიბრი. ეწყობა დემონსტრაციები და მიტინგები. 17 ივლისს გაიმართება საჰაერო ქიმიური ბრძოლის იმიტაცია.

„პასუხი ჩემბერლენის" ფონდში შემოსულია 500 მან.

კვირეულის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მ. გოგიბერიძე**.

ოზურგეთის მაზრაშიაც დაწყებულია კვირეულის კამპანია. გურიის თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბა შეუდგა საკუთარ თვითმფრინავის „წითელი გურია"- აგებას. სწარმოებს ფულის შეკრება.

კვირეულის ფონდის გასაძლიერებლად, ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **რამიშვილი** გაემგზავრა აგარაკ ბახმაროზე ფულის შესაგროვებლად.

11, 12 და 18 ივლისს წარმოება-დაწესებულებებში და კლუბებში ჩატარდება მოხსენებები, თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობის და „თავდაცვა ავიაქიმი"-ს მიზნებისა და ამოცანების შესახებ. იწარმოებს ახალ წევრების მიღება და შეწირულებების შეგროვება „პასუხი ჩემბერლენის" ფონდისათვის.

ადგილობრივი ლატარია ფრენაზე

თავდაცვის კვირეულის განვალობაში გამართული იქნება ადგილობრივი ლატარია ფრენაზე.

სულ გათამაშებული იქნება 40 მოგება, მომგებს მიეცემა თბილისზე უფასოდ ფრენის უფლება.

ლატარიის ბილეთების გაყიდვა იწარმოებს თავდაცვა - ავიაქიმის თბილისის ოთხივე რაიონულ საბჭოში. იქვე იქნება დადგმული სალატარიო ყუთები. თითოეული ბილეთის ფასია 25 კაპ.

ყულაბებით ფულის შეგროვება

თავდაცვის კვირეულში გათვალისწინებული ყულაბებით ფულის შეგროვება თბილისში აღარ მოხდება. კამპანია ჩატარდება საქართველოს დანარჩენ ადგილებში.

პარტიული ცხოვრება

გლეხკორები მორიგი ამოცანების წინაშე

საქ. კომ. პარ. (ბ) ახალქალაქის სამაზრო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ მიმდინარე წლის ივნისში მოაწყო ქალაქს კედლის გაზეთების გამოფენა. გამოფენის მიზანი იყო კედლის გაზეთების მიღწევების და გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

გამოფენის შემდეგ გაიმართა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა და კედლკორების თათბირი. თათბირმა მოისმინა პროფკავშირთა კლუბის ორგანოს „კოლიუჩკა"-ს, ახალქალაქის სამაზრო მილიციასთან არსებულ და საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ადგილკომის ორგანოს—„კრასნი მილიციონერის" და ქალაქის პიონერთა კოლექტივის ორგანოს „ხაროუკ"-ის (კოცონი) სარედაქციო კოლეგიების მოხსენებები.

თათბირმა აღნიშნა შემდეგი მთავარი [illegible].

ა) კედლკორთა რიცხვის ზრდა და თვისობრივი მხარის გაუმჯობესება.

ბ) კედლკორთა დაცვა, რაც აძლევს მათ დამშვიდებული მუშაობის საშუალებას.

გ) მასალების შინაარსის გაუმჯობესება, ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებათა გაშუქება, კორესპონდენციების რიცხვის ზრდა, მათდამი ფრთხილი მიდგომა და გაგება.

ამასთან ერთად თათბირი აღნიშნავს შემდეგ ნაკლოვანებებს:

ა) უჯრედების მიერ სუსტი პარტხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) კედლკორებს შორის არ სწარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა.

გ) არ სწარმოებს კორესპონდენციების რიცხვისა და შედეგების აღრიცხვა.

დ) ქალები სუსტადაა ჩაბმული კორესპონდენტთა მუშაობაში.

ე) კედლკორთა მოძრაობასთან სუსტი კავშირი [illegible] ცვევა [illegible] და პროკურატურის მხრივ.

ვ) [illegible].

მუშაობის გაძლიერების მიზნით, თათბირმა გამოიმუშავა შემდეგი ღონისძიებები:

მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით, საჭიროა გამოფენების სისტემატიური მოწყობა როგორც მაზრის, ისე ქალაქის ფარგლებში.

ეთხოვოს პარტუჯრედებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას და პროკურატურას, რომ გააძლიერონ კავშირი და ხელმძღვანელობა კედლკორთა მოძრაობაზე.

აყვანილ იქნას სათანადო სიმაღლეზე კედლკორთა, კორესპონდენციების და მათი შედეგების აღრიცხვა. გაძლიერდეს ქალების ჩაბმა. შეძლებისდაგვარად მოეწყოს კედლკორთა წრეები, მათში აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად. უახლოეს პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთი კორესპონდენციების გაშუქების საქმეს, რომლებიც შეეხებიან—ბრძოლას მომჭირნეობის რეჟიმისათვის, შინაპარტიული და საბჭოთა დემოკრატიის გატარებას, ბრძოლას ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, ფასების დაკლებას, მუშაობას, საზოგადო ნებაყოფლობით ორგანიზაციებში, წარმოების რაციონალიზაციას და მუშაობის ინდივიდუალურ და ჯგუფურ თვითგანვითარებაზე ზაფხულის პერიოდში.

ხ. ისკანდაროვი.

„ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად"

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა დღეს ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს პარტიისა და ხელისუფლების მუშაობაში. მით უფრო დაუშვებელია ის პარტიის აპარატში, რომელიც თვითონ ხელმძღვანელობს ბიუროკრატიზმთან ბრძოლას. მიუხედავად ამისა, ჩვენ არა ერთხელ ვხვდებით ბიუროკრატიულ გადახრის შემთხვევებს პარტიულ მუშაობაში.

ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოყვანილ იქნას საყოველთაოთ ცნობილი და საკმაოდ გავრცელებული ფორმულა: „მუშაობა ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად". არის მაგალითები, როცა უჯრედის მდივანი თვითონვე აღიარებს, რომ ბიუროს მუშაობა მოიკოჭლებდა. რომ სუსტი იყო უჯრედის წევრთა აქტივობა. რომ სამუშაო გეგმა სანახევროდაც შესრულებული არაა და სხვა. გაიმართება კამათი, მთელი საათობით მსჯელობენ მოხსენების გარშემო, ხშირად კამათში ცოცხალი და საყურადღებო წინადადებაც შემოაქვთ მუშაობის გამოსასწორებლად, მაგრამ დასკვნა თითქმის ყოველთვის ერთი და იგივეა: „მუშაობა ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად". ასევე ხდება მოხსენებების ირგვლივაც უჯრედის კრებებზე.

აღსანიშნავია. რომ ყველაზე უფრო ხშირათ ამგვარ მოვლენებს ადგილი აქვს საბჭოთა უჯრედებში.

რისთვის ან ვისთვისაა საჭირო ამგვარი თვალთმაქცური რეზოლიუცია. თუ რაიმე პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ვიტყვით, მას ის „პრაქტიკული" მნიშვნელობა აქვს, რომ ადუნებს უჯრედის მუშაობას. არც ფორმალურადაა ასეთი რეზოლიუცია მისაღები, რამდენადაც ის საქმის ნამდვილ ვითარებას არ გამოხატავს.

საჭიროა უჯრედების მუშაობის ამგვარ ბიუროკრატიულ შეფასებას ბოლო მოეღოს, საჭიროა საბოლოოდ დავაღწიოთ თავი კომუნისტურ პარტიის მუშაობისათვის უცხო ჩინოვნიკურ ტრადიციების და ყოველ საკითხს უჯრედის მუშაობაში რეალურად და პრაქტიკული სარგებლობის თვალსაზრისით მიუდგეთ.

დ—რი.

ე. მელიქ ათარბეგოვი

ულმობელმა სიკვდილმა მოულოდნელათ შეიწირა ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, საყვარელი ამხანაგი და საუკეთესო კომუნისტი ემმა ალექსანდრეს ასული მელიქ-ათაბეგოვი. ვინ იყო ემმა? ის დაიბადა 28 დეკემბერს 1890 წელს, სოფ. ეჩმიაძინში. ემმა იყო ცნობილ რევოლიუციონერ ბოლშევიკის გიორგი ათარბეგოვის მკვიდრი და. საშუალო სკოლა მან დაამთავრა ერევანში, რის შემდეგ შევიდა მოსკოვის უმაღლეს ქალთა კურსებზე.

ემმა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ძლიერ დაინტერესდა საზოგადოებრივ მუშაობით და მიემხრო მაშინდელ რ. ს.-დ. მ. პარტიას.

მან, როგორც ერთ-ერთ ყველაზე უფრო ერთგულ ამხანაგს, არა ერთხელ ავალებდენ არალეგალურ მუშაობას, გარდა ამისა მასვე ჩააბარეს არალეგალური პარტიული ბიბლიოთეკა. 1912-15 წლებში, მოსკოვში ყოფნის დროს, ამხ. ემმა მუშაობდა წრეში, სადაც შედიოდენ გიორგი ათარბეკოვი, აიკუნი, მიასნიკოვი, ალავერდოვი, ოვანესიანი და სხვები. 1916 წელს ის მუშაობდა სომხეთში, ქალაქთა კავშირის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტში. აქ ამხ. ათარბეგოვს დაავალეს ლტოლვილ ბავშვებისათვის თავშესაფრის მოწყობა, რაც მან მშვენივრად შეასრულა, ვინაიდან ძლიერ უყვარდა ბავშვები და მთელ თავის ენერგიას მათ მოვლას ანდომებდა.

1916-17 წლებში ამხ. ათარბეგოვამ მოაწყო ეჩმიაძინში რ. სოც.-დემ. მ. პარტიის ქალთა კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთ იქნა არჩეული. ეს კომიტეტი დაარსებული იყო დაშნაკების ეგრედ-წოდებულ „მანდილოსანთა კომიტეტის" საწინააღმდეგოთ. სხვებთან ერთად ამხ. ათარბეგოვმა მოაწყო აქ ფრონტისათვის მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოსამსახურეთა გაფიცვა. ის თვითონ შედიოდა გაფიცვის კომიტეტში. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ამხ. ემმა მუდამ იყო დაკავშირებული პარტიულ მუშაობასთან. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მოქანცულობის ნიადაგზე ავათ გახდა ნერვიულ ავათმყოფობით და იძულებული იყო პარტიული მუშაობისათვის დროებით თავი დაენებებია, მაგრამ ჩქარა კვლავ იწყებს პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობას, ა.-კ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებაში.

უკანასკნელ დროს ამხ. ათარბეგოვი მუშაობდა „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციაში, „მუშათა ცხოვრების" განყოფილების გამგის მოადგილეთ, მან ამ თანამდებობაზე გამოიჩინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი მუშკორების ქსელის გაფართოების და გაძლიერების საქმეში. საზოგადოებრივ ასპარეზზე ამხ. ათარბეგოვი იყო ცნობილი, როგორც აქტიური პროფმუშაკი. ის იყო ადგილკომის წევრი და წევრი საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროსი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხ. ათარბეგოვს აგრეთვე წარმოებაში პროფმუშაობის გაცხოველების საქმეში. თავისი ენერგიით და საზოგადოებრივ საქმისადმი სიყვარულით, ამხ. ათარბეგოვამ მოიპოვა პრესის მუშაკთა შორის სათანადო ავტორიტეტი და მათი სახელით არჩეული იქნა თბილისის საბჭოს წევრად.

დღეს კი ულმობელმა სიკვდილმა მოსტაცა ჩვენს რიგებს მშვენიერი ამხანაგი და დაუღალავი მუშაკი, რომლის სახელი მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

დ. ბ.

ქუთაისის მშრომელი ქალები ამხ. კ. ცეტკინს

1927 წ. 5 ივლისს ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო თეატრში შედგა მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული საზეიმო სხდომა ამხ. კლარა ცეტკინის დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო. მუშა მოსამსახურე და მშრომელ ქალთა მიერ წარმოთქმულ იქმნა მრავალი გრძნობიერი სიტყვა.

ქუთაისის მშრომელ ქალთა მასები, მუშა მოსამსახურეებთან ერთად აღფრთოვანებულ სალამს გიძღვნიან, კომუნიზმისათვის დაუღალავ მებრძოლო, თქვენი დაბადებიდან სამოცდაათი წლის იუბ. შესრულების გამო. ქუთაისის მშრომელთა წრფელი სურვილია კიდევ დიდ ხანს იყვეთ ჯანმრთელათ პროლეტარულ რევოლიუციის საკეთილდღეოდ. თქვენი საიუბილეო ზეიმის აღსანიშნავად, ქუთაისის მაზრის ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გამაუმჯობესებელი კომისია ქალ. ქუთაისში და სოფ. გუბსა და ოფურჩხეთში ხსნის თქვენი სახელობის ჭრა-კერვის სკოლებს.

ჩვენი საქმიანობა

(საგარეჯოს თემი)

ჩვენს თემში არსებობს სულ 3 უჯრედი—ამათშია: ერთი გლეხური უჯრედი (საგარეჯოში), ერთი მუშური უჯრედი რკ.-გზის სად. საგარეჯოში და სოფ. მანავში კი საკანდიდატო ჯგუფია. საგარეჯოს გლეხურ უჯრედის საქმიანობის შესახებ ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე გამოირკვა: რომ ბიურო აწარმოებდა გეგმიან მუშაობას, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული განსაკუთრებით ამ ბოლო დროს უპარტიო—ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის დარგში, ხშირათ ეწყობა ღია სხდომები, სადაც ისმება ღირსშესანიშნავი საკითხები. პარტმუშაობის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის განაპირა უბნების მცხოვრები გლეხები ვერ ესწრებიან ასეთ სხდომებს, რადგან მათ ასეთი ცნობა არავისგან მიუღიათ. ეს ნაკლი ამ ერთი თვის განმავლობაში—კერძოთ განაპირა უბნებში, პლაკატ-განცხადებების გაკვრით გამოსწორდა. პარტიის რიცხვობრივი ზრდა უმთავრესათ მიმდინარეობს ღარიბ გლეხობის ხარჯზე, პარტწევრების და კანდიდატების დასწრება სხდომებზე დამაკმაყოფილებელია მოჯამაგირეთა შორის მუშაობაც ნაყოფიერია, თუმცა ეს უკანასკნელნი, როგორც პარტიის, ისე კომკავშირის რიგებში საკმაოთ არაა ჩაბმული.

ქალთა შორის მუშაობაზე შეიძლება შემდეგი ითქვას: მართალია სისტემატიურათ სწარმოებს გლეხ-ქალთა სადელეგატო სხდომები, რომლებსაც, სათანადო ხელმძღვანელობას უწევენ უჯრედიდან მიმაგრებული ამხანაგები, მაგრამ ქალთა აქტივის შექმნა და მისი საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაბმა არ ხდება.

ამასთან ერთად მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი უარყოფითი მხარეები: 1) დისციპლინის შესუსტება, რაც გამოიხატება პარტიის ზოგიერთ წევრების კომუნისტისათვის შეუფერებელ ყოფა-ქცევაში: ლოთობა, პარტ-დავალებათა შეუსრულებლობა და უპასუხისმგებლობა, დადგენილებების ცხოვრებაში გაუტარებლობა და სხვა.

პოლიტ-დარგში მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია რადგან მისი მეცადინეობა მთელ ზამთრის პერიოდში მოხდა 4—5-ჯერ. შემდეგი მტკივნეული საკითხია—კომკავშირზე ხელმძღვანელობის სისუსტე, ბიუროს მხოლოთ ფორმალურათ გამოყოფა ამ დარგში სამუშაოთ.

სულ სხვა სურათს იძლევა სადგ. საგარეჯოს მუშური უჯრედი. დისციპლინა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, კომუჯრედი უპარტიოთა მასაში სარგებლობს შესაფერი ავტორიტეტით, ეწყობა მასიური ღია სხდომები, უჯრედის რიცხობრივი ზრდა მიმდინარეობს მუშების ხარჯზე. კანდიდატთა წევრათ გადარიცხვას როგორც უჯრედი, ისე სათემო კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს, საანგარიშო ხნის განმავლობაში პარტიაში გადარიცხული იქნა 15 კანდიდატი.

საერთოდ კომუჯრედი და კერძოთ მთელი მუშები დიდი უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ „პოლკაზარმებში", სადაც მუშებს უხდებათ მუშაობა, მატარებელი არ ჩერდება, რის გამოც მუშებს 12 ვერსის მანძილზე უხდებათ სიარული. ეს კი ხელს უშლის მუშაობაში უჯრედს.

გ. ძ—ლი.

თბ. საბჭო ანგარიშის ჩასაბარებლად ემზადება

(თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება)

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა 9 ივლისის სხდომაზედ განიხილა საკითხი თბილისის საბჭოს წევრთა საანგარიშო კამპანიის შესახებ, ხსენებული კამპანიის ჩატარება გამოწვეულია იმით, რომ საბჭოს ზოგიერთი წევრი არ ესწრება სხდომებს და არ ღებულობს მონაწილეობას საბჭოსა და მისი სექციების მუშაობაში. საანგარიშო კამპანიამ ფართოთ უნდა გააშუქოს მუშებისა და მოსამსახურეების წინაშე მათ მიერ არჩეული დეპუტატების წარმოებული მუშაობა და ხელი შეუწყოს საბჭოს საქმიანობით შემდგომ გამოცოცხლებას.

კამპანიის ჩასატარებლად ქალაქი განაწილდება 4 რაიონათ, თვითეული რაიონი დაიყოფა პუნქტებათ იმ ვარაუდით, რომ საანგარიშო კრებები ჩატარდენ ყველა წარმოება - დაწესებულებებში, რომელთაც კი ჰყავთ საკუთარი დეპუტატი.

წარმოება - დაწესებულებები, რომელთაც არა ჰყავთ თავისი დეპუტატი საბჭოში, უერთდებიან იმ პუნქტებს, რომელზედაც იყვნენ მიმაგრებული გადარჩევის დროს.

კამპანიისადმი სწორი ხელმძღვანელობის გასაწევათ რაიონებში შედგება კომისიები (სამეულები), რომელთაც ევალებათ კალენდარული გეგმის შედგენა და აგრეთვე მომხსენებელთა დასახელება საბჭოს უფრო მომზადებულ დეპუტატთა შემადგენლობიდან. გეგმებსა და მომხსენებლების სიას სამეულები უთანხმებენ შესაფერ უჯრედებთან და ადგილკომებთან.

საანგარიშო კამპანიის წინ უნდა მოწვეულ იქნას საბჭოს წევრთა რაიონული კრებები, რომლებზედაც დაისმება ინსტრუქციული მოხსენება თბილისის საბჭოს ანგარიშის შესახებ.

თუ რომელიმე საანგარიშო კრება მოითხოვს თავის დეპუტატის გამორიცხვას საბჭოს წევრებიდან იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი არ ესწრება სექციის სხდომებს და საერთოთ არ იჩენს რაიმე აქტივობას, ასეთ შემთხვევაში საჭიროა გატარდეს ცალკე დეპუტატების გადარჩევა და უენერგიო დეპუტატების ნაცვლად საბჭოში უნდა გაიგზავნონ აქტიური და შრომის უნარიანი ამხანაგები.

საანგარიშო კამპანია დაიწყება 18 ივლისიდან და დასრულდება 15 აგვისტოსათვის. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ა.-კ. რკ. გზათა მთავარი სახელოსნოები სადაც იმის გამო, რომ მუშები ივლისის შუა რიცხვებიდან მიდიან შვებულებაში, კამპანია უნდა დასრულდეს 15 ივლისისათვის.

კანდიდ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ბარიტის წისქვილი

ქუთაისი, 10 ივლისი. მოხდა ბარიტის საფქვავი წისქვილის საძირკველის საზეიმო ჩაყრა. საძირკველის ჩაყრას დაესწრენ მუშები, მოსამსახურეები, პარტიულ, საზოგადოებრივ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიტინგზე გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ საბჭოთა აღმშენებლობისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდას (ადს).

გლეხთა სახლი

ახალ - სენაკი. 10 ივლისი. ამხ. მიხა ცხაკაიას და კ. ხოშტარიას თანადასწრებით მოხდა სამაზრო გლეხთა სახლის საზეიმო გახსნა. სახლი აგებული იქნება ქალაქის ცენტრში (ადს)

მდინარეების გადიდება

ახალ - სენაკი, 10 ივლისი. მდ. ტეხურის და აბაშის გადიდების გამო, სუჯუნის თემში დაზიანდა სიმინდის ნათესები. (ადს)

ძლიერი სეტყვა

ახალ - სენაკი. 10 ივლისი. 7 ივლისს აბაშის რაიონში მოვიდა ძლიერი სეტყვა. სეტყვა 5 წუთს გაგრძელდა მისი სიდიდე ნახევარ კვერცხს უდრიდა. (ადს)

წერილები

ქოხ-სამკითხველოების გამგეთა შესახებ

ქოხ-სამკითხველო სოფლის კულტურულ-განმანათლებელ ცენტრში სდგას. აქ კითხულობს გლეხი გაზეთს და ტყობილობს ქვეყნის ამბავს; ქოხ-სამკითხველოსთან დაარსებული სხვადასხვა წრეები, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა კულტურულ მუშაობას სხვადასხვა დარგში. თუ წინათ გლეხობა კვირა-უქმე დღეებში ეკლესიასთან იყრიდა თავს და აწესრიგებდა სოფლის საქმეებს, დღეს ქოხ-სამკითხველომ დაიკავა მისი ადგილი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქოხ-სამკითხველოებს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვთ. ამ ნაკლულოვანებათა შორის პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ ქოხ-სამკითხველოებს არ ყავთ შესაფერისად მომზადებული გამგეები. ხშირად გამგემ არც კი იცის რა აკეთოს, რა დავალება აქვს. ბევრ გამგეს მთელი თავისი მუშაობა ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში წარმოდგენილი აქვს სამკითხველოს გაღებით და დაკეტით. მაგრამ ესეც არ სრულდება. ხშირად გაიგონებთ საყვედურს: ჩვენს გამგეს როცა მოეხასიათება, მაშინ გააღებს ქოხ-სამკითხველოსო.

რასაკვირველია ასეთ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი გლეხებისათვის გაზეთების ხმამაღლა კითხვის შესახებ და სხვ. კულტურულ მუშაობის წარმოებაზე. ხშირად ქოხ-სამკითხველოს გაზეთები თავის დროზე არ მოსდის, გამგე ამის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებს, სამკითხველოს არ აქვს სასოფლო-სამეურნეო შინაარსის წიგნები. გამგე ამის შესახებ თავს არ იწუხებს; გლეხს უნდა რაიმე ცნობის მიღება ამა თუ იმ საკითხის შესახებ—არც ეს დარგია მოგვარებული და სხვ.

ქოხ-სამკითხველოს მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული გამგეზე. თუ გამგე ასე თუ ისე მომზადებულია, ქოხ-სამკითხველოც თავის სიმაღლეზე სდგას ამიტომ უნდა მივიღოთ ზომები, რომ ქოხ-სამკითხველოებს შესაფერისად მომზადებული, სოფლის ცხოვრების კარგათ მცოდნე; გლეხობაში გავლენიანი მუშაკები მივსცეთ. ზოგიერთ- ქოხ-სამკითხველოებმა თემისა და მაზრის ორგანიზაციების დახმარებით ამას უკვე მიაღწიეს. იხსნება ქოხ-სამკითხველოთა გამგეების გადასამზადებელი კურსები, სადაც ისინი ეცნობიან, თუ რა მუშაობა უნდა აწარმოოს გამგემ ქოხ-სამკითხველოში და საერთოდ სოფლად კულტურულ დარგში. საჭიროა, რომ ასეთი კურსები ყოველ—მაზრაში გაიხსნას, რაც საშუალებას მოგვცემს ქოხ-სამკითხველოს მუშაობის გაჯანსაღებისას.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ქოხ-სამკითხველოს გამგეებს მცირე ხელფასი ეძლევათ და იმასაც ვერ ღებულობენ თავის დროზე. ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება. მათი მდგომარეობა გაუმჯობესებულ უნდა იქნეს. ამ ღონისძიებით მივაღწევთ ქოხ-სამკითხველოს მუშაობის გამოცოცხლებას, რაც ხელს შეუწყობს სოფლის კულტურულად დაწინაურებას.

ი.

საჭიროა მუშ-გლეხკორთა ყრილობის მოწვევა

(გარე-კახეთი)

უკანასკნელ ხანებში მუშ-გლეხკორთა მოძრაობამ საქართველოში ფართო სახე მიიღო, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროვინციებში მყოფ მუშ-გლეხკორებზე ხელმძღვანელობა სუსტია, ამ ნაკლის ნაწილობრივ გამოსასწორებლად დღეს საქართველოს სხვადასხვა რაიონში ეწყობა მუშ-გლეხკორთა ყრილობები, სადაც ადგილობრივი პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებიან ცენტრალურ გაზეთების რედაქციების წარმომადგენლებიც, რომელნიც აკეთებენ სათანადო მოხსენებებს იმ მიზნით, რომ მუშ-გლეხკორებმა მომავალში უფრო სწორი და ცოცხალი მუშაობა აწარმოონ.

საჭიროა, რომ გარე-კახეთში მოეწყოს რაიონული მუშ-გლეხკორთა ყრილობა; ყრილობაზე მუშ-გლეხკორთა მოწვევის საქმე თავს უნდა იდვან როგორც რაიონში მყოფმა თემკომებმა, ისე თემ-პოლიტგანის საბჭოს თავმჯდომარეებმა.

შ. გარე-კახელი.

წერილებიდან

ბევრი ნაკლი გამოვასწორეთ. (ს. ერწო, თბილისის მაზრა). ერწოში თოთხმეტი სკოლა ავაშენეთ; აქედან ერთი შვიდწლედია სოფ. სვიმონიანთ ხევზე. შევღობეთ 8 დესეტინა საცდელი მინდორი, რომელიც გადაეცა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ასი პროცენტით აღმოვფხვრით წერა-კითხვის უცოდინარობა. დიდი მუშაობა გზებზედაც. ავაშენეთ ქვის ბოგირი ხევსურ-სოფლის თავზე. სოფლის გზებიც გავაფართოვეთ და გავაკეთეთ. ორ სოფელს საყდრიონს და სვიმონიანთ ხევს გამოუყვანეთ წყალი. განზრახულია კიდევ ოთხი სოფლისათვის კოდის წყლის გამოყვანა, რის მუშაობა უკვე დაწყებულია.

კოოპერაციის საქმეც გვარიანად არის დაყენებული.

ქისტაური.

— წამლები გვაკლია. (ცაგერი, ლეჩხუმი). (ჯანსახკომის საყურადღებოდ). მინდა შევეხო ჩვენი აფთიაქების მუშაობას. უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ვერაა რიგზე, შეხვალთ აფთიაქში, მიიტანთ რეცეპტს, გეჩქარებათ მძიმე ავადმყოფისათვის გამოიტანო წამალი, მაგრამ გიპასუხებენ—არ არის ესა თუ ის წამალიო. აღსანიშნავია განსაკუთრებით აუცილებელ საჭირო პრეპარატების უქონლობა. შეკითხვაზე, თუ რით აიხსნება წამლების ნაკლებობა, გვიპასუხებენ, რომ წინათ წამლებს გზავნიდა ქუთაისის განყოფილება, ეხლა კი თბილისთან გვაქვს კავშირიო. ყოფილა შემთხვევა თვე და მეტი დრო დაგვიანებია შეკვეთილ წამლების მოსვლას. ერთი რამ აშკარაა, რომ ყოველივე ზემოთაღნიშნული გარემოება მძიმე ტვირთათ აწევება მშრომელ მოსახლეობას.

ცხენისწყლისპირელი.

სოფლის ქრონიკა

— სეტყვა. სოფ. კარდანახში ივნისის დამლევს მოვიდა სეტყვა, რამაც დიდათ დააზარალა ვენახები. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

— უბედური შემთხვევა. ამ რამოდენიმე ხნის წინად ახალციხეში, ბანიდან გადავარდა და გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული სეროფ ამზარინი. მას ახსოვდა პასკევიჩის მიერ ახალციხის აღება.

— მოსავალი ნაკლებია. ახალციხის მაზრაში წელს გვალვები იყო, ამ ბოლო დროს მოვიდა წვიმები, მაგრამ ნათესების მდგომარეობა მაინც ვერ გამოკეთდა. მოსავალი ცუდი პირი უჩანს.

— საშინელი ბოროტმოქმედება. სოფ. ორბელის (ლეჩხუმის მაზრა) მცხოვრებ გრიგოლ იყანეს-ძე მეგრელის ქალიშვილს ქორწინების გარეშე შეეძინა ბავში. ქალიშვილის მამას შეუტყვია ეს, შევარდნია მალოთახში და თავისი ხელით დაუხრჩვია ბავში მამაშვილები დაპატიმრებული არიან.

— ფურნის აგება. ლეჩხუმის მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ქ. ცაგერში აგოს ფურნე. მოწვეული არიან აუკეთესო მოხელეები.

მუშათა ცხოვრება

კედლის გაზეთი და პროფორგანოები

მუშათა მასების კულტურული დონის აწევაში, მათ გააქტივებაში და ჩვენი მრეწველობის გაჯანსაღებაში უდიდეს როლს თამაშობს კედლის გაზეთი და მის ირგვლივ შემოკრებილი მუშკორთა წრე. არ არის ფაბრიკა-ქარხნის ცხოვრებაში ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გამოძახილს არ პოულობდეს კედლის გაზეთში. კედლის გაზეთი დარაჯათ უდგას ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს, ყოველ ნაკლს დაუნდობლად ამხელს, მიღწევას კი ფართოდ აცნობს მუშათა მასებს. ამიტომ არის, რომ კედლის გაზეთის რიცხვი თანდათან მრავლდება.

მაგრამ ყველგან ერთნაირად მუშაობს კედლის გაზეთი? ყველა ფაბრიკა-ქარხნებში ერთნაირ მზრუნველობას უწევენ მას, ერთნაირად უწყობენ ხელს? სრულიადაც არა. ბევრგან კედლის გაზეთი ძლივს-ძლივობით არსებობს. ჯერ არის და უსახსრობის გამო 1-2 თვეში ვერ ხერხდება გაზეთის გამოშვება, ეს უსათუოდ უკარგავს გაზეთს თავის მნიშვნელობას. შემდეგ, ხშირად გაიგონებთ საყვედურს მუშკორისაგან: „ვწერთ, ვეხებით ამა თუ იმ ბოროტებას, მაგრამ კაცი ხმას არ გვცემს, ყურადღებას არ აქცევს ჩვენს შენიშვნას.

— ადგილკომს ვერ მიმართეთ? ადგილკომსაც მივმართეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, არც იმან მიიღო ზომები ნაკლის გამოსასწორებლად—გიპასუხებენ.

ეს, რასაკვირველია, სცემს გაზეთის გავლენას მუშებში, გულს უტეხს მუშკორებს, რომლებიც სრულიად ანებებენ თავს წერას და შორდებიან კედლის გაზეთს. კიდევ რამდენი ნაკლი აქვს ჩვენს კედლის გაზეთებს.

აქ ნაწილობრივ პროფორგანიზაციებსაც მიუძღვით ბრალი, მათ საკმაოდ არ აქვთ გათვალისწინებული კედლის გაზეთის და მის ირგვლივ შემოკრებილ მუშკორთა წრის მნიშვნელობა და ამიტომ სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ. სწორედ ამ მხარეს მიაქცია ყურადღება საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და ცირკულიარით მიმართა ყველა პროფორგანიზაციებს ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი კედლის გაზეთებს და მუშკორთა წრეს. ფაბკომებსა და ქარხკომებს ევალებათ თავის სხდომებზე მოიწვიონ კედლის გაზეთის ან მუშკორთა წრის წარმომადგენელი, როდესაც ამ სხდომებზე ისეთი საკითხები ირჩევა, რომლებიც გაშუქებული უნდა იქნეს კედლის გაზეთში.

რაც შეეხება მეტი მჭიდრო კავშირი უნდა იქნეს ფაბქარხკომებსა და კედლის გაზეთის რედკოლეგიის ან მუშკორთა წრეს შუა. ეს საშუალებას მისცემს მუშკორთა წრეს, თუ რედკოლეგიას, ყოველმხრივ იცნობდეს წარმოების ცხოვრებას, რომ ფართოდ გააშუქოს მიმდინარე კამპანიები გაზეთში და ამით ხელი შეუწყოს ფაბრიკა-ქარხნის მუშაობის გაუმჯობესებას. პროფორგანოებს ევალებათ ხელი შეუწყონ გაზეთებში მოთავსებულ მუშკორების შენიშვნების გამოკვლევას და ამ შენიშვნებზე თავის დროზე პასუხის გაცემას. ფაბქარხკომებმა უნდა დაეხმარონ კედლის გაზეთის მუშაობაში და მუშკორთა წრეში მუშათა ფართო მასების ჩაბმას. ამისთვის რედკოლეგია თავის მუშაობის შესახებ მოხსენებას უნდა აკეთებდეს მუშათა საერთო და სადელეგატო კრებებზე. კედლის გაზეთის გამოსაშვები თანხა შეტანილ უნდა იქნეს კულტკომისიის ხარჯთაღრიცხვაში და გაზეთი თავ-თავის დროზე უნდა გამოდიოდეს.

ამნაირად, უმაღლესი პროფესიონალური ორგანიზაცია თავის ცირკულიარში ავალებს დაბალ პროფორგანოებს ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კედლის გაზეთებს და მუშკორთა წრეებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ცირკულიარი უკლებლივ იქნეს გატარებული ცხოვრებაში, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვასწოროთ ის ნაკლი, რაც ემჩნევა დღე სხვადასხვა წარმოებებში კედლის გაზეთებს

მ.

ასე უკეთესი იქნება

სად. ვაზიანისა და იორის შორის მდებარეობს ბაქანი სართიჭალა, სადაც სწარმოებს მთლიან მომხმარებელ კოოპერატივის სართიჭალის განყოფილების მიერ რძის დატვირთვა ყოველდღიურად № 3 სახალხო მატარებელზე.

ზამთრობით, როდესაც ნედლი საკვები საქონლისათვის არ მოიპოვება და, მაშასადამე, ძროხებიც ნაკლებ იწველიან, სართიჭალაში რძის დატვირთვაც კლებულობს; ასე, რომ დღეში იტვირთება სულ 15—20 4 ფუთიანი ფლაკონი.

ამისდა მიხედვით, № 3 მატარებელს ზამთრობით არ უხდება ზედმეტად დაგვიანება, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა ზაფხულობით, როდესაც ნოყიერი და წყლიანი საკვების წყალობით ძროხების წველა მეტის-მეტად ნაყოფიერი ხდება.

ასეთ დროს სართიჭალაში იტვირთება 50—70 და მეტი ფლაკონი ყოველდღიურად.

ეს კი იწვევს მატარებლის ზედმეტად დაჭერას, რაც მტკიცდება იქიდან, რომ იორიდან თავის დროზე გამოგზავნილი № 3 სახალხო მატარებელი, რომელზედაც სწარმოებს რძის დატვირთვა სართიჭალის ბაქანზე, ყოველთვის 15—20 წუთის დაგვიანებით მიდის სად. ვაზიანში.

რომ ასეთ არასასურველ მოვლენას ერთხელ და სამუდამოდ დავახწიოთ თავი და რკინის გზას ავაცდინოთ მატარებლის დაგვიანებით გამოწვეული ზარალი, საჭიროა სრულიად აიკრძალოს რძის დატვირთვა სართიჭალის ბაქანზე და ის გადატანილ იქნეს სად. იორში. სადაც გამოყენებული იქნება მატარებლის სავალდებულო დგომის დრო და მით დაგვიანებაც საგრძნობლად შემცირდება.

ამ საქმის მოსაწესრიგებლად გაბედული ნაბიჯი უნდა გადადგას რკინის გზის გამგეობამ, რადგან მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივი თავისით არ დასთმობს სართიჭალიდან რძის ტვირთვას, რადგან ეს უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელია მისთვის. ხოლო თუ ამ ნიადაგზე მატარებლების დაგვიანებას აქვს ადგილი. ეს მათ ნაკლებად აინტერესებთ.

რკინის გზა დიდათ ისარგებლებს რძის დატვირთვის საქმის სართიჭალის ბაქნიდან სად. იორში გადატანით.

მუშკორი კოლოლი.

საყურადღებო წვრილმანი

— რატომ ზომებს არ იღებთ? ოქროყანის ქ., № 27, ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მიუხედავათ მცხოვრებთა განცხადებისა მე-3 კომისარიატის საშუალებით და გაზეთშიც, სანიტკომისია დღემდე ზომებს არ იღებს. პირველი განცხადება 7 მაისს იყო მოცემული.

სანამდე უნდა ველოდოთ სანიტკომისიას?

მ. უზნაძე.

—:—

— წყალი არა გვაქვს. ელისაბედის ქუჩაზე № 145, მოთავსებულია რკინის გზის საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობის სახლი № 7, სადაც სცხოვრობენ 4—5 მოსახლე რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი. აღნიშნულ სახლში წყალი არ არის გამოყვანილი, რის გამო ისინი აუტანელ მდგომარეობაში არიან.

ამხანაგობის გამგეობამ წყალი უნდა გამოიყვანოს ამ სახლში.

თბილისელი.

გამოხმაურება

ამა წლის 3 ივნისის გაზ. „კომუნისტი“-ს № 149-ში მოთავსებულ წერილების შესახებ “რათ აწვალებენ ადამიანს“ გიპასუხებთ:

ლევან მუჩაიძე ითვლება ჩვენი სალაროს პენსიონერად და მასთან ყოველივე ანგარიში გასწორებული აქვს რკინის გზის დამზღვევ სალაროს და კანონიერ ფარგლებში დაკმაყოფილებულია 1925 წლიდან.

ასე რომ მოთავსებული შენიშვნა სიმართლეს არ შეიცავს და რედაქცია შეცდომაში შეუყვანია ლ. მუჩაიძეს.

ლაშქარაშვილი.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 155 „მუშათა ცხოვრება-“ში პირველი წერილი „ლურჯი ხალათი“-ს შესახებ ტეხნიკურ დაუდევრობის გამო ხელმოუწერელია. უნდა ყოფილიყო ხელმოწერა „ლურჯხალათიანი“.

ვილიამ ჯონ-ბრაუნი თბილისში

10 ივლისს საქართველოს სამხედრო გზით კისლოვოდსკიდან თბილისში ჩამოვიდა ინგლისის სახელმწიფო მოსამსახურეების პროფკავშირის გენერალური მდივანი **ვილიამ ჯონ ბრაუნი.** მასთან ერთად ჩამოვიდა ამერიკელი ჟურნალისტი, ამერიკის კომპარტიის წევრი ამხ. **მორის ხოლდმანი.**

ბრაუნი უკვე სამი კვირაა, რაც საბჭოთა კავშირში იმყოფება. მან დაათვალიერა მოსკოვი, კისლოვოდსკი და კავკავი. კისლოვოდსკში მან ორი კვირა გაატარა სანატორიუმში.

ბრაუნი თბილისში დარჩება ორი-სამი დღე. თბილისიდან მიემგზავრება ბათომში, იქიდან კი ზღვით—უკრაინაში.

გუშინ, დღის 12 საათზე ბრაუნს საუბარი ჰქონდა საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის თავმჯდომარესთან ამხ. **ათოევთან** და ამავე კავშირის კულტგანყოფილების გამგე ამხ. **ორჯონიკიძესთან.**

გუშინ ბრაუნმა დაათვალიერა პირველი თამბაქოს ფაბრიკა. სადაც დაწვრილებით გაეცნო საწარმოო პროცესებს და ესაუბრა მუშებს. საღამოს ბრაუნი თავის საზაფხულო კლუბში მიიპატიჟა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირმა.

ბრაუნი ამჟამად სწერს წიგნს საბჭოთა კავშირის შესახებ.

ინგლისის მუშების ბრძოლა

(საუბარი ვილიამ ბრაუნთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ბრაუნმა ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მიერ პროფკავშირების შესახებ მიღებულ კანონის გამო განაცხადა შემდეგი:

ეს კანონი განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაში აყენებს ინგლისის სახელმწიფო მოსამსახურეების კავშირს. ამ კანონის მიღების შემდეგ კავშირის მდგომარეობა საგრძნობლად უარესდება. აღნიშნული კანონი უპირველეს ყოვლისა უკრძალავს სახელმწიფო მოსამსახურეების კავშირს ოფიციალური ურთიერთობა იქონიოს მუშათა პოლიტიკურ პარტიებთან და ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოსთან. კავშირს არ შეუძლია გაერთიანდეს, რომელიმე ისეთ ნაციონალურ ორგანოსთან, რომელიც მიზნად ისახავს მუშა-მოსამსახურეების ხელფასის გადიდებას, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას და სხვა. ამავე დროს სახელმწიფო მოსამსახურეების კავშირს უფლება არა აქვს მიზნად დაისახოს რაიმე პოლიტიკური ამოცანა.

ამის გამო მთელი კავშირი ოპოზიციაში ჩაუდგა მთავრობას. ყველა მოსამსახურეები გაერთიანდენ ერთ ორგანიზაციაში, რომელსაც ეწოდება სამოქალაქო უფლებების დაცვის კომიტეტი. ამ კომიტეტის სათავეში ვდგევარ მე.

კომიტეტი ძლიერ აგიტაციას აწარმოებს მთავრობის წინააღმდეგ. ის აწყობს მიტინგებს, კრებებს და სხვა. ამას გარდა კომიტეტს მოწყობილი აქვს თავისი განყოფილებები ყველა ცენტრებში, სადაც იმართება საპროტესტო მიტინგები და იგზავნება დელეგაციები პარლამენტის წევრებთან შუამდგომლობით, რომ მათ გაილაშქრონ ამ კანონის წინააღმდეგ. კომიტეტმა პარლამენტში თავი მოუყარა 350 დეპუტატს.

რამდენადაც ინგლისის პროფკავშირები რეფორმისტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან—მათი პოლიტიკა ასეთია: ისინი არ მიმართავენ არავითარ საგაფიცვო ზომებს, არამედ ფიქრობენ პარლამენტარული გზით შესცვალონ ეს კანონი. რეფორმისტების ბელადები დიდ იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ ამ კანონის გატარება ხელს შეუწყობს მუშათა პარტიის გამარჯვებას მომავალ არჩევნებში. მაგრამ ეს შეხედულება ყალბი და შემცდარია, რადგან ლორდების პალატა საშუალებას არ მისცემს მუშათა პარტიას (ამ უკანასკნელმა ხმების უმრავლესობაც რომ მოაგროვოს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში) დაამყაროს რაიმე კონსტიტუციონური ცვლილებები.

მე ვფიქრობ, რომ ინგლისის მუშათა ბელადები დიდ შეცდომას სჩადიან, როდესაც ინგლისის თავდასხმას ჩინეთზე, ინგლისის თავდასხმას საბჭოთა კავშირზე და პროფკავშირების შესახებ გამოცემულ კანონს ცალ-ცალკე აფასებენ როგორც ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ მოვლენებს. ისინი ერთ მიზანს ისახავენ; მუშათა მოძრაობის ჩახშობას, როგორც ინგლისის შიგნით, ისე მთელ მსოფლიოში. ამიტომ ინგლისის მუშებს მჭიდრო კავშირი უნდა დაემყარებიათ არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშებთან, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან. მუშების ასეთი საერთო ფრონტი საჭიროა ინგლისის ბურჟუაზიის თავდასხმის მოსაგერიებლად.

სექტემბერში ვაიდენბურგში მოწვეული იქნება გენერალურ საბჭოს პლენუმი, რომელზედაც მე მოხსენებით გამოვალ ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ.

დასასრულ ბრაუნი შეეხო საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებებს და აღნიშნა, რომ ის განცვიფრებაში მოიყვანა საექიმო დახმარების სისტემამ, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობს.

მე დავათვალიერე დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები და უნდა აღვნიშნო, რომ არაფერი ამდაგვარი ინგლისში არ არსებობს.

საბჭოთა აღმშენებლობა

ახალი ქარხნები თბილისში

თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება აწარმოებს წინასწარ მუშაობას ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებად და აგრეთვე ძველი ფაბრიკა-ქარხნების გასაფართოებლად. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ამ მიზნისათვის აღმასკომის მიერ მიმდინარე წელს გადადებულია 600 ათასი მანეთი.

გადაწყვეტილია შემდეგი ფაბრიკა-ქარხნების აგება:

ხის დასამუშავებელი ფაბრიკა. შენდება თბილისში, ჯდება 1.500.000 მანეთი, აგება დამთავრდება 1929 წლის სექტემბერში ფაბრიკაში ყოველდღიურად იმუშავებს 550 მუშა და მოსამსახურე. ამჟამად ხის დასამუშავებელი ფაბრიკის პროექტის შედგენაც დამთავრებულია და სხვადასხვა საგეგმო ორგანოებში სწარმოებს მისი განხილვა.

თბილისშივე შენდება **ლუდის ქარხანა.** რომელიც ჯდება 75 ათასი მანეთი. ქარხნის აგება დამთავრდება 1928 წლის სექტემბრისათვის. ლუდის ქარხანაში იმუშავებს 70 მუშა. ლუდის ქარხნის პროექტის ვარიანტი არჩეულია და მისი საბოლოოდ დამუშავება დამთავრდება ივლისის დალევს.

მიმდინარე წელს დაიწყება აგრეთვე **ერბო-ყველის დასამზადებელი ქარხნის** აგება თბილისის მაზრაში. ქარხნის ასაგებათ საჭიროა 150 ათასი მანეთი. მისი აგება დამთავრდება 1928 წლის სექტემბრისათვის. ქარხანაში ყოველდღიურად იმუშავებს 20 მუშა. ქარხნის ასაგებ ადგილად ამორჩეულია წალკა, რომელიც წინასწარ გამოკვლეული იქნა. ამჟამად მუშავდება ქარხნის ასაგები პროექტი, რომლის შედგენა დამთავრდება მიმდინარე თვის დამლევს.

თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების და აგრეთვე ქუთაისის აღმასკომის გაერთიანებული საშუალებით მიმდინარე წელს დაიწყება გელათის გრანიტიდან **კუბიკების დამამზადებელი ქარხნის აგება.** პროექტი მუშავდება და დასამტკიცებლად იქნება პირველი აგვისტოსათვის: ქარხნის ასაგებად საჭიროა 240 ათასი მანეთი. აგება დამთავრდება 1928 წლის სექტემბრისათვის.

ხის დასამუშავებელი ქარხანა ბათომში

ბათომში დამთავრდა ახალი ხის დასამუშავებელი ქარხნის აგება

ივნისის დამლევს ბათომში დამთავრდა ახალი ხის დასამუშავებელი ქარხნის აგება. ახალი ქარხანა, რომლის აგება დაჯდა 200 ათას მანეთზე მეტი, არის ცენტრალური ქარხანა და აერთიანებს ყველა ხის დასამუშავებელ ქარხნებს, ახალი წარმოება შეიარაღებულია და მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი მოთხოვნილების მიხედვით.

მანქანები და დაზგები ქარხნისათვის შეძენილია გერმანიასა და შვეციაში.

დაზგების დადგმის შემდეგ მოხდა მათი გამოცდა - გასინჯვა, რომელსაც სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები მოჰყვა.

ქარხნისათვის ნედლი მასალა მომარაგებულია და მასალით იგი უზრუნველყოფილია რამოდენიმე თვის განმავლობაში. ყოველდღიურად ახალ ქარხანაში იმუშავებს სამასი მუშა ხელი.

ქარხნის ამუშავება განზრახულია ივლისის შუა რიცხვებში. ქარხანა სავსებით დატვირთული იქნება.

მისი ამუშავების შემდეგ მუშაობას შეაჩერებს აჭ. სატყეო ტრესტის ფანერის ძველი ქარხანა, რომლისადმი გაცემულ შეკვეთების შესრულებას კისრულობს ახალი ქარხანა. ძველი ქარხნის ყველა მუშები გადაყვანილი იქნებიან ახალ ქარხანაში.

მუშეულობის ქარხანა ბორჯომში

ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოს შეკვეთით ხარკოვის ფირმა „სტეკლოსტროი“ შეუდგა პროექტის დამუშავებას ბორჯომის მუშეულობის ქარხნის გასაფართოებლად.

ქარხანაში განზრახულია დაიდგას ახალი კონსტრუქციის დიდი, მუშეულობის სახარში ღუმელი 12 განყოფილებით. ქარხნის გაფართოების შემდეგ ყოველ დღე-ღამეში გამოშვებული იქნება 40.000 ცალი ბორჯომის ბოთლი.

ქარხნის გაფართოებას შეუდგება „სტეკლოსტროი“ აგვისტოდან და მუშაობას დაამთავრებს ოქტომბერში.

ქარხნის გასაფართოებლად საჭირო მოწყობილობანი და ნედლი მასალები უკვე შეკვეთილია საბჭოთა კავშირის ქარხნებში. მოწყობილობების ნაწილი უკვე გამოგზავნილია ბორჯომში.

გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა ცხინვალში

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ცხინვალის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკის გადასაკეთებლად და გასაფართოვებლად. ფაბრიკის საკუთარი საშუალებით და ძალებით ხის დამამუშავებელი სახარატო დაზგა. კეთდება და იდგმება საშალაშინო და ფიგურების საკეთებელი დაზგები. მუშაობა ფაბრიკის გასაფართოვებლად დამთავრდება მიმდინარე თვის დამლევამდე. ცხინვალის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა საქ. რესპუბლიკაში გადაკეთების შემდეგ თავის ნაყოფიერებით მეორე ადგილს დაიჭერს. (პირველი მარელისის ფაბრიკაა). ფაბრიკა უზრუნველყოფილია ნედლი მასალით და აგრეთვე საქონლის გასასაღებელი ბაზ-

ტყვარჩელის სამუშაოები

ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულმა ტყვარჩელის კომისიამ აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოსაგან მიიღო ცნობა, რომ „იუგოსტალის“ მიერ დაწყებულია ტყვარჩელის ქვა-ნახშირის ამოღება. ქვანახშირის ამოღება გაცილებით უფრო სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს, ვიდრე ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული.

სამუშაოების დაწყებასა და ქვანახშირის დიდი რაოდენობის ამოღებასთან დაკავშირებით საჭირო ხდება ტყვარჩელში მისასვლელი საურმე გზატკეცილის გაფართოება-შეკეთება და ამ გზატკეცილის გაგრძელება მაღაროებამდე. ამის გამო აფხაზეთის სახკომსაბჭომ აღნიშნული გზის შესაკეთებლათ და გასაგრძელებლათ გადასდო 25.000 მანეთი.

სულ, თანახმად შემუშავებული ხარჯთაღრიცხვისა, აღნიშნული გზის გაყვანა-შეკეთებისათვის საჭიროა 35.000 მანეთი. დანარჩენი თანხის მისაღებათ აფხაზეთის სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა საქ. მთავრობის წინაშე.

ტრამვაის მეურნეობა თბილისში

ახალი ვაგონები

როგორც იქნა ტრამვაის სამმართველომ მოსკოვიდან მიიღო ორი ვაგონი—იმ 74 ვაგონიდან, რომელნიც დაკვეთილი აქვთ „გოძხა“-ს და „გეტ“-ის ქარხნებს. ხელშეკრულების ძალით ტრამვაის სამმართველოს პირველი წყება ვაგონებისა (20 ცალი) უნდა მიეღო ჯერ კიდევ გასულ წელს. მაგრამ „გეტ“-ის ქარხნებმა დასრულება ვერ მოასწრეს, ამჟამად კი მიღებულია ცნობა, რომ აგვისტოს დამლევისათვის, თბილისში გამოგზავნილი იქნება 20-მდე ახალი ვაგონი. დანარჩენი 54 ვაგონი ჩაბარებული იქნება 1928 წლის დამლევისათვის

ლიანდაგის გამოცვლა

რაც შეეხება რელსებს, ამჟამად ტრამვაის სამმართველოს იგი არ მოეპოვება. გასულ წელს მიღებული რელსები მოხმარდა ძველი რელსების გამოცვლას 12 ვერსის მანძილზე. ამჟამად რელსების უქონლობა მეტის-მეტად აფერხებს ძველი ლიანდაგის გამოცვლას და ახლის გაყვანას. თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს „ყ. მ. ს.“ სამმართველოსთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის ძალით სამმართველო ვალდებულია ა. წ. მე-3 და მე-4 კვარტალისათვის თბილისის ტრამვაის ჩააბაროს 100.000 ფუთი რელსი. ამ რელსების მიღებისთანავე პირველ რიგში დაიწყება ლიანდაგის გამოცვლა საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქუჩაზე).

კრედიტები კაპიტალურ მშენებლობისათვის

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატს, რათა ყველა ხარჯთაღრიცხვები ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის იმ დარგების კაპიტალურ აღმშენებლობისათვის, რომლებსაც ხელმძღვანელობს და აწესრიგებს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატი, წარდგენილი უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ა. წ. 15 ივლისისათვის.

ამავე რიცხვისათვის უნდა იქნეს წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვები საგარეო და საშინაო ვაჭრობის საბრუნავ საშუალებების გასაძლიერებლად საჭირო თანხების შესახებ.

მოთხოვნილება, რომელიც წარდგენილი იქნება ამ ვადების შემდეგ, შეტანილი არ იქნება საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საერთო მოთხოვნილებაში.

ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის 7 წლის თავი

ამხ. შალვა ელიავას დეპეშა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **შ. ელიავამ** ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **გოლოდედს** გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

— ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების სახელით ვულოცავ ბელორუსიის მშრომელებს „ოსინსტროის“ საფუძვლის ჩაყრას. „ოსინსტროი“ და სხვა მრავალი ძლავრი ელექტრო-სადგურები, რომლებსაც ჩვენ ვაშენებთ საბჭოთა კავშირის დიდ ტერიტორიაზე, გახდებიან მეფისა და ბურჟუაზიულ უღლისაგან განთავისუფლებულ ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან ხალხების დაურღვეველ ძმური კავშირის და სოლიდარობის საწინდარი, რომელზედაც დაიმსხვრევა პროლეტარული დიქტატურის ყველა მტრების ყველა ცდები.

დეე, „ოსინსტროი“ კიდევ ახალ და მძიმე ლოდათ დააწვეს თავს ბელორუსიის კონტრ-რევოლიუციას.

გაუმარჯოს ბელორუსიის მუშებს და გლეხებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

ამხ. კასიანის მისალმება

დღეს, 10 ივლისს, სრულდება 7 წელი ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის პოლონეთის ოკუპაციისაგან განთავისუფლების დღიდან.

ამ დღეს მოხდება ოსინის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის („ოსინსტროი“) საფუძვლის საზეიმო ჩაყრა.

ამის გამო ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ მოსკოვიდან ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **გოლოდედისაგან** მიიღო შემდეგი დეპეშა:

„ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობა გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ „ოსინსტროის“ საფუძვლის საზეიმო ჩაყრაში, რომელიც მოხდება ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის პოლონეთის ოკუპაციისაგან განთავისუფლების შვიდი წლის თავზე, 1927 წლის 10 ივლისს“.

ამის საპასუხოდ ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კასიანმა ამხ. გოლოდედს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი მხურვალედ ესალმება ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მშრომელებს „ოსინსტროის“ საფუძვლის ჩაყრის გამო, რომელიც ხდება ბელორუსიის რესპუბლიკის ოკუპაციისაგან განთავისუფლების შვიდი წლის თავზე.

ამიერ-კავკასიის მშრომელები, რომლებიც ფხიზლად ადევნებდენ თვალყურს ბელორუსელ მოძმეების გამარჯვებას საალმშენებლო ფრონტზე. სიხარულით ხვდებიან მათ ახალ მიღწევას და უსურვებენ ბელორუსიის მუშებს და გლეხებს შემდგომ წარმატებას განთავისუფლებული ქვეყნის სრული აღორძინების და აყვავების გზაზე“.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს ყველა სექციების მორიგი სხდომა.

კომუნალური სექცია

კომუნალური სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ცანავას მოხსენება **მუშათა სახლებში ელექტრონის გაყვანის შესახებ.**

საკითხი მუშათა რაიონებში ელექტრო-შუქის გაყვანის შესახებ კაი ხანია, რაც დაისვა. ელექტრო-შუქის გაფართოებას მოითხოვდა, სხვათა შორის, ზაჰესის დატვირთვის საჭიროებაც. ამ მიზნით აბონენტების მიერ დადებული იყო ხელშეკრულება „ელექტროსელსტროი“-სთან, რომელსაც უნდა მოეწყო მუშათა ბინებში 40 ათასი გასანათებელი წერტილი იმ პირობით, რომ მუშა-მოსამსახურეებს მიეცემოდა 10 თვიანი ვადა ელექტრო - გაყვანილობის საფასურის გადასახდელად. პირველ ხანებში მრავალ მსურველებს შეჰქონდათ განცხადებები ელექტრონის გაყვანის შესახებ, მაგრამ ზაჰესის დაგვიანების გამო, თანდათან განცხადებათა რიცხვი იკლო. ზაჰესის ამუშავების შემდეგ განცხადებათა რიცხვმა ერთბაშად იმატა და ამჟამად „ელექტროსელსტროი“ ზომაზე მეტად დატვირთულია. ყოველ შემთხვევაში დღემდე მოწყობილია სულ 20 ათასი გასანათებელი წერტილი.

ეხლა ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა, რაც შეიძლება შევამციროთ ელექტრო-წერტილის მოწყობის ღირებულება. გამანაწილებლების ერთეულად მიღებულია 5 მეტრ ზონარიანი გასანათებელი წერტილის ღირებულება. წინათ იგი შეადგენდა 7 მან. 75 კაპეიკს. ჯერ კიდევ ფასების დაკლებამდე გასაყვანი ერთეულის ღირებულება შემცირებული იქნა 6 მანეთ და 15 შაურამდე. ფასების დაკლების შემდეგ „გეტი“-ს ფასების მიხედვით წერტილის გაყვანა ჯდება 6 მანეთი და 10 კაპეიკი. ამას უნდა დაემატოს კიდევ მაგისტრალის ღირებულება და სხვა ხარჯები, რომელიც აუცილებელია ელექტრო-შუქის გაყვანის პროცესში. ამგვარად ერთწერტილიანი ელექტრო-შუქის მოსაწყობად ნავარაუდევი იყო 15 მანეთი. გამოსაცდელად გაყვანილი იქნა 7 წერტილი და ნაცვლად მოსალოდნელი 14 მანეთისა და 74 კაპეიკის, თითოეული წერტილის მოწყობა დაჯდა 12 მანეთი და 28 კაპეიკი. ამგვარად სისწორით გამოირკვა, რომ ელექტრო - გაყვანილობაზე ფასების შემდგომი შემცირება სავსებით მოსახერხებელი და აუცილებელია.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ სექციამ დაადგინა წინადადება მისცეს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას მიიღოს სათანადო ზომები ელექტრონის გაყვანაზე ფასების შესამცირებლად.

განათლების სექცია

განათლების სექციის მორიგ სხდომაზე **სასკოლო შენობათა შეკეთების** შესახებ მოხსენება წაიკითხა ინჟ. **ლოლაძემ,** მომხსენებლის დასკვნით თბილისის სასკოლო შენობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტისათვის საჭიროა არანაკლებ 334 ათასი მანეთისა, მიმდინარე სამშენებლო სეზონისათვის განათლების განყოფილებას სკოლების შესაკეთებლად გადადებული აქვს მხოლოდ 25 ათასი მანეთი, რაც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამ თანხით უკვე დაიწყო ზოგიერთ შენობათა შეკეთება და მოკლე ხანში დამთავრდება კიდეც. შემოდგომისათვის აუცილებლად საჭიროა ეთხოვოს თბილისის აღმასკომს, რომ გაადიდოს თანხები იმ სკოლებისათვის მაინც, რომელნიც აუცილებლად შეკეთებას საჭიროებენ.

საფინანსო სექცია

საფინანსო სექციამ თავის სხდომაზე მოისმინა კომისიის მოხსენება **განათლების განყოფილების ფინანსიური გამოკვლევის შესახებ.** კომისიის დასკვნით განათლების განყოფილების ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი: თანხები სხვადასხვა სამოსწავლო დაწესებულებებს შორის პროპორციულად და თანაბრად ვერ არის განაწილებული და აგრეთვე შეუსაბამო და დიდია ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯები, რომელიც, კომისიის დასკვნით, შეიძლება შემცირებული იქნეს 30 ათასი მანეთით. ვინაიდან კომისიას თავისი დასკვნები გამოკვლევის შესახებ არ შეუთანხმებია განათლების განყოფილებასთან და არ გასცნობია მის აზრს ამ საკითხის შესახებ, სექციამ დაადგინა კონკრეტული დადგენილების გამოტანა განათლების განყოფილების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, გადასდოს შემდეგი სხდომისათვის.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციის გუშინდელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ცომაიამ სამკურნალო განყოფილების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.**

განყოფილების ბიუჯეტი მიმდინარე წლისათვის შედგენილი ყოფილა 1.285.594 მანეთის რაოდენობით. მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები არ აკმაყოფილებდა განყოფილების სხვადასხვა საჭიროებას. ამგვარად სამკურნალო განყოფილებას აღმოაჩნდა 661.029 მან. დეფიციტი. პირველი ივნისიდან დაიწყო განყოფილების ხარჯთ აღრიცხვის შედგენა უახლოესი ოთხი თვისათვის. ამ ხარჯთაღრიცხვით განზრახულია დაიხარჯოს 604 ათასი მანეთი. შემოსავალიც ამდენივეა ნავარაუდევი. ამგვარად განყოფილების ფინანსიური მდგომარეობა თანდათან მტკიცდება და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მუშაობაც ნორმალურად და დაუბრკოლებით იწარმოებს.

შემდეგ სექციამ დაამტკიცა პრაქტიკული წინადადებები ვენერიული დისპანსერის. ცენტრალური პოლიკლინიკის და ტრამვაის ამბულატორიის გაუმჯობესების შესახებ. ამავე სხდომაზე სექციამ გამოჰყო კომისიები როზა ლუქსემბურგის სახელობის ქარხნის საბავშო ბაგების და მეექვსე კონსულტაციის მდგომარეობათა გამოსაკვლევად.

სავაჭრო - კოოპერატიული სექცია

სავაჭრო - კოოპერატიულმა სექციამ მოისმინა კომისიის მოხსენება **თბილისის ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.**

გამოირკვა, რომ თბილისის ვაჭრობის წლიური ბრუნვა შეადგენს 3.498.000 მანეთს, აქედან საკომისიო გაყიდვა უდრის 1.027.000 მანეთს, საცალო ვაჭრობა 137.000 მან. დანარჩენ თანხას კი შეადგენს საბითუმო ვაჭრობა. თბილისის ვაჭრობის წლიური მოგება უდრის 300 ათას მანეთს, ხოლო ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯები შეადგენენ საერთო ბრუნვის 4,2 პროც. თბილისის ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა ვაჭრობს უმთავრესად საალმშენებლო მასალით. ფასების დაკლება საქონელზე ამხანაგობას გაუტარებია ჯერ კიდევ კამპანიის დაწყებამდე. საერთოდ თბილისის ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის ფინანსიური მდგომარეობა მტკიცე და საიმედოა.

სენაკის სამაზრო აღმასკომის პლენუმის შედეგები

28-29 ივნისს ქ. სენაკში მუშაობდა სენაკის სამაზრო აღმასკომის მორიგი პლენუმი. თემაღმასკომების თავმჯდომარეებთან ერთად.

დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მაზრაღმასკომის ანგარიში, 2) სენაკის ემოსის მოხსენება, 3) სენაკის ქალაქის აღმასკომის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ. 4) საორგანიზაციო საკითხები.

მთავარი, რასაც პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეს იყო მაზრაღმასკომის საქმიანობა არჩევნებიდან დღემდე. სამაზრო აღმასკომის თ-რემ ამხ. ს. მამულიამ მოკლეთ დაახასიათა მაზრაღმასკომის მუშაობა.

სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე სულ გარჩეულა 166 საკითხი, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ სასოფლო - სამეურნეო საალმშენებლო და საორგანიზაციო მმართველობის დარგები. მაზრაღმასკომის გულისყური საალმშენებლო და სას.-სამ. საქმეებისაკენ იყო მიმართული.

განათლების და ჯანმრთელობის საკითხსაც დიდი ყურადღება ექცეოდა.

თემების ხელმძღვანელობა უფრო აქტიურად სწარმოებდა: ცოცხალი კავშირი იყო გაბმული ინსტრუქტაჟის საშუალებით, თვით პრეზიდიუმის წევრთა საშუალებით სამაზრო აღმასკომსა და თემებს შორის. ამ გარემოებამ დააკავშირა, დაახლოვა სამაზრო ხელისუფლება და თემები ერთმანეთთან და ხელი შეუწყო თემების მუშაობის გაჯანსაღებას.

2. ადგილობრივი მეურნეობა.

გზების და ხიდების აგებას და შეკეთებას მთავარი ყურადღება ექცეოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, „მუკოტახილი“-ს მთიანი გზის შეკეთება ნოქალაქევში, ნაფოშტარში, მდ. ტეხურზე დიდი ხიდის აგების დასრულება, მდ. ჩხოუშიაზე და კვარჩხილალუზე გაკეთებულია თითო ხიდი. გასული წლის საგზაო მეგარა გლეხობამ მოიხადა მთლიანად, დაგეგმილია კუროთ ლებარდეს ახალგზა. შეკეთებულია ძველი გზა.

საერთოდ ადგ. მეურნ. დარგში მაზრაღმასკომი ტეხნიკურ ხელმძღვანელობას უწევდა თავისი ტეხნიკოს - ინჟენერების საშუალებით გზების დაგეგმვის, გაყვანის და გაკეთების საქმეს, ქარხნების აგებას, სკოლების და საავადმყოფოების შენებას, და სხვა.

3. მიწათმოწყობა

მიწათ - მოწყობა სწარმოებს მაზრის თემებში მიწის მზომელების საშუალებით. მათი რიცხვი მცირეა, რაც აფერხებს საქმეს.

მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლა მიწის ყიდვა - გაყიდვასთან.

უმიწაწყლო გლეხებს ეძლევა მიწები და საკარმიდამო ადგილები.

წყლით დაზარალებულ ნურაკოცის თემის 30 გლეხისათვის შედგენილია გეგმა ახალ ადგილებზე გადასასახლებლად.

აგრონომიულ დარგში მუშაობა გაფართოებულია: გლეხობას დაურიგდა 80.000 ვენახის ძირი. 22 პუნქტში მოწყობილია სიმინდის კულტურული დამუშავება. 18 ადგილას კი ბამბის კულტურის.

ს. ლეხაინდრაოში 10 დღ. მიწაზე ეწყობა აბრეშ. ვაზის სადედე. აბაშის თემში კი 5 დღ. მიწაზე ეწყობა მანდარინის და თხილის სანერგე. 4 ალაგას დაარსებულია ჩაის საჩვენებელი პუნქტები და სხვ.

4. სახალხო განათლება

მაზრაში არსებობს 97 ოთხწლედი, 40 შვიდწლედი, 3 ცხრაწლედი, 3 საბავშო ბაღი, 1 საბავშო სახლი, 2 ტეხნიკუმი, 1 მუსიკ. სკოლა, 4 გლეხ. ახალგ. სკოლა, 3 სას. სამ. სკოლა.

მოწაფეთა რიცხვი აღწევს 19.800.

მასწავლებლები შერჩეულ იქნენ მომზადებულ პირებისაგან. განათლების განყ. აწყობდა მთელი წლის განმავლობაში მათ თათბირებს, კონფერენციებს, საუბრებს — პედაგოგიურ მეთოდიურ თემებზე.

გაიმართა მოწაფეთა ნამუშევრების გამოფენა.

მომავალ 27-28 წლისათვის შემდგარია სკოლის ქსელის გაფართოების გეგმა.

სკოლების აგებას, შეკეთებას და მოწყობას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ მიმდინარე ზაფხულში მოსახლეობა და მასწავლებლობა ხელიხელ ჩაკიდებული აწარმოებენ სასკოლო მშენებლობის საქმეს. მოსახლეობა არ იშურებს თავის კაპიკებს, ხოლო მაზრაღმასკომი ეხმარება მათ ტეხნიკური ხელმძღვანელობით და აგრეთვე სამასალო ხეების გაცემით.

ქ. ახალ - სენაკში შენდება ერთი პედაგოგიური და ერთი სას.-სამ. ტეხნიკუმებისათვის ახალი შენობა.

4 ალაგას დაიდგა რადიო - სადგური.

5. ჯანმრთელობის დარგში.

ამ მხრივ მაზრაში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. საექიმო პუნქტების და საავადმყოფოების მოსაწყობად მიღებულ იქნა სხვადასხვა იარაღები, სამაზრო საავადმყოფო შეკეთდა და საწოლთა რიცხვი გადიდებულ იქნა.

ეწევა უფასო დახმარება ღარიბებს. მაგ. საავადმყოფოებში გატარდა 307 ავადმყოფიდან 50 პროც. უფასოდ იწვა და ეწამლა.

სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას მაზრაში ექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

აგარაკი ლებარდეზე შენდება სახლები, ეწყობა საექიმო და საფთიაქო პუნქტები. მიმდინარე სეზონზე ლებარდეს კეთილმოწყობა გაცილებით უკეთ სდგას, ვინემ შარშან და შარშან წინ.

ამნაირად სამაზრო აღმასკომის მუშაობა მიმართული იყო მაზრის კულტურულ და ეკონომიურ წინსვლისაკენ.

სენაკის ემოსის და, ქ. სენაკის აღმასკომის მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის შემდეგ პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

ამხ. ს. მამულია, მისი სამაზრო პარტიულ კომიტეტის მდივნად გადაყვანის გამო განთავისუფლებულ იქნა თავმჯდომარეობის მოვალეობიდან.

სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. დიომიდე ქურულია.

პლენუმის მუშაობა იყო საქმიანი, მისი კრიტიკა საღი და მითითებანი გამომდინარეობდენ მომავალში მუშაობის გაფართოების და გაღრმავების სურვილიდან.

ბ. უჩანეიშვილი.

ავაშენოთ თვითმფრინავი



ამხ. მიშა პაიჭაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ივანე ასათიანს, კალისტრატე ცაგარელს, თედორე ყუფარაძეს, ბარნაბა ეძგვერაძეს, პლატონ მიხელიძეს; სასარეწაო კოოპერაციიდან: შალვა ხოშტარიას, ლადო თათულოვს, სერიოჟა ოცხელს, პლატონ წერეთელს, ნიკოლოზ ბაჟუნაიშვილს, გალაქტიონ ყიფიანს, ანდრო აკოფოვს და გრიგოლ მიქელაძეს.

ვლადიმერ კაციტაძე.

—:—

ნინო კალანდაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი (5) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ელენე ჟოჟიკაშვილს, ანნა პევცოვას, შუშანა გალდავას, ნინო ხაწიაანს, სოფიო თენეიშვილს, სოფიო თალაკვაძეს, კესა მეგრელიშვილს, პოლიგრაფ-ტრესტიდან: სერიჟ ხარაზიანს, რენვალდი ბარათაშვილს, სანდრო საყვარელიძეს, ილიკო კიკნაძეს, ზასიევს, მარკაროვს, შიხმანს. გლეხის სასახლიდან: ივანე მჭედლიშვილს, იაკობ ახობაძეს, დავით ეპიტაშვილს, პალადი ბაქრაძეს.

ბაბულია ჯორბენაძე.

—:—

ამხ. საშა შონიას, ამხ. მარო ჩიტიშვილის და ამხ. მესხის გამოწვევის თანახმად შემომაქვს 10 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს იუსტიციის სახალხო კომისარიატიდან: არტემ აკოფოვს, ეფრემ გაგლოევს, ალიტაგიზადეს, ალ. ლუკაშევიჩს, ირ. სურგულაძეს, გრიგოლ მგალობლიშვილს, ალექსანდრე კაჭარავას, იაკობ ვარძიელს, ი. ტალახაძეს, ლადო გაგნიძეს, ანდრო გასიევს, აშოთ გალუსტიანს, რომან შომახიას, ვანო ბერბერაშვილს, თედორე დოლიძეს, გრიშა გაბუნიას, მაკარი ბედიას, სოსო ხარაბაძეს, ი. სიჭინავას, ი. ბერიშვილს, პ. ბურკაძეს, შ. ოდილავაძეს, მიშა ორჯონიკიძეს, მამონტი კაჭარავას, სავინ თურქიას, პ. გრიქუროშვილს, მიხეილ კაკულიას, დათიკო ტატიშვილს, მიშა ქორქაშვილს, ლადიმე ციხელიძეს, მირიან ხუხუნაიშვილს, მოსე კვარაცხელიას, არაქელ ოქუაშვილს, ვასო იტრიევს, ანდრო კალანდაძეს, ვალერიან გოგიბერიძეს, ლევან მიროტაძეს, ალ. თუმანოვს, შალვა მურავიოვს, ილიკო ქქოძეს (პროკურორი).

სერგო მეგრელიშვილი.

თბილისში არ ყოფნის გამო დაგვიანებით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაშენებლათ ა. ჯაფარიძის გამოწვევით ათი (10) მანეთი.

წყალსადენის დირექტ. ხოჯაევი.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს ხუთი მანეთი.

იოსებ კაკაბაძე.

—:—

ამხ. მიხეილ თურქიას გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაშენებელ ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ვალოდია ჭკუასელს, სევერიანე მუსერიძეს, გიგო ლომთაძეს, ნიკო მეიშვილს, გრიშა მეუნარგიას, სპირიდონ ქოქოსაძეს, იასონ დოლბაია, ვანო გაბუნიას, თომა ჩაჩიბაიას, ექვთიმე გაგუას, ექვთიმე გველესიანს, გრიშა მიმინოშვილს, ისიდორე პარტახიას და მიხეილ მოისრაფეშვილს (ფოთელები); სეფე ჭეიშვილს, კოტე გაბარაშვილს, იაკობ კავთელაძეს, მინა აბაშიძეს, კოტე შარაშიძეს, ბიტოლი ლეჟავას და დიმიტრი მელქაძეს (ჭიათურელები), ფელიქს სპრინკველს და ვასილ მაქაცარიას (ბათომელები); აქსენტი გრიგოლიას (სოხუმელი); კალისტე ფარცვანიას (ზუგდიდელები); კოწია თოფაძეს (წალვერი); გიორგი ყურულიშვილს, სერგო ხველიძეს, ილიკო ჭელიძეს, კოლია ცანავას, ბიკენტი ნადარეიშვილს, პოლიკარპე დოლიძეს, ერასტი ჰოლოკავას, ილიკო სოლომონიას, იოსებ ჭიჭინაძეს, ამბერკი ქანთარიას, ვალერიან გოგიბერიძეს და გრიშა ლუტიძეს (თბილისელები).

იასონ ფირცხალავა.

—:—

შემომაქვს აეროპლან „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში 1 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კიკაურიძე ტერენტის, ქუთათელაძე შალვას, წულუკიძე ნინას, წერეთელი თინას, წერეთელი თამარს, კუჭავა მაროს, დიდებულიძე დავითს, ბარისაშვილი დავითს, ბააზოვი ხაიმს, ბატუაშვილი სარას, მოშიაშვილი ეთერს, ალბერტი ცეებს, დიმოევი ილიას, ბააზოვი გერცელს, ფოცხვერაშვილი სიმონს, გეგუჩაძე გიორგის, ტურაბელიძე შოთას, ვილველინი გიორგის, ასათიანი მიხეილს, პეტრასოვ იოსებს, ძნელაძე აკაკის, ავაქოვა მაროს, ჩაგანავა ქაჭუს, იუჯანოვი არშაკს, ბააზოვი დავითს, დუმბაძე ანტონინას, მგელაძე ნინოს.

გ. ზონენაშვილი.

ქვემოთმოყვანილი შემოწირულებათა ხუთი სია იბეჭდება ხელმეორეთ, რადგან პირველ ტექსტში შეცდომა იყო დაშვებული.

თანახმად ბეგლარ გოგიშვილის გამოწვევის, შემქვს „თვითმფრინავ პროლეტარიატის“ ასაშენებ ფონდის გასაძლიერებლათ ჩემი წვლილი ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ მოქალაქეებს: კოლია ტალიკაძე, ანტონ ჭიქაშავა ონისიმე ჭიქაშავა, ერასტი ძიძიგური, ბათლომე ბოცვაძე, პავლე ბ. ხონელიძე, კონდრატე ძიძიგური, ივანე ქუნთელია, თეოფილე ტალიკაძე, დათიკო დუნდუა, გიორგი ახობაძე, კირილე ქუნთელია, გიო ბაახია, ალექსი ქიშმარეიშვილი, მიტროფანე ჩიტია, პაჭუ ტალიკაძე, დუხუ კორძაია, ილიკო გივინეიშვილი, ლადიმერ მაჩაბერი, ლარველ რუხაძე, ისაი კანკავა, პორფილე წიფურია, ედუარდ ლუსტან, თ. ხოშტარია, არჩილ რატიშვილი, სევერიანე გიგინეიშვილი, დედევან ტალიკაძე.

ბიქტორ ათანდილისძე ტალიკაძე.

თბილისის ტრამვაის ელსადგურის მუშებმა, თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებად შემოსწირეს 46 მანეთი და იწვევენ ტრამვაის დანარჩენ მუშებს:

შემომწირველნი: ა. ფრანგიშვილი, ღვინიაშვილი, ს. გაგნიძე, აკოფოვი, საფაროვი, გაზაევი, ჯოიევი, შტუბერგ, ანდრიასოვი, აზატოვი, გაბელაია, ერ. სულაძე, იგითხანოვი, ი. ბალავაძე, ბ. კუკულდავა, ჩერნიკოვი, მ. გიორგობიანი, გლაზოიანი, მამარდაშვილი, მაჭავარიანი, გაზალაშვილი, თევდორაშვილი, ფოილავა, ი. ბერიაშვილი, ს. გოდერიძე, კინწურეიშვილი, ვოლკოვი, გაბრიელოვი, გ. სუხიშვილი, მ. გოზალოვი, არაქელოვი, ნ. ბერიევი, ა. სუხიშვილი, ს. გოზალაშვილი, კავთელაშვილი, შ. კირეულაშვილი, ვერგოლოვი, ხახუტაშვილი, იოსელიანი, პ. პუტცე, ულიტინა, შ. ჯავახიშვილი, მინდიაშვილი, ს. ჯგიქია, კუჩუბა, ლიმონინი, კ. გოზალოვი, ბიბილაიშვილი, ბარსეღოვი, გეცაძე, როზანოვი, გ. სულაძე, ჩეხოვი, თავაძე, ფედორენკო, ს. გოზალაშვილი.

—:—

ამხ. მიშა ახალაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად 10 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ფრიდონ ფრიდონოვს, ილია მელიას, სარდიონ მაღალაშვილს, დავით პურადაშვილს, სევერიანე ჩიქოვანს, ევსევი თოდუას, სევერიანე ლიპარტიანს, იოლა მაისურაძეს, ხარლამპი ბალუაშვილს.

ვლადიმერ მალანია.

—:—

ამხ. ივანე ჯეჯელავას გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს 10 (ათი) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ფოთიდან

კალანდაძე ივანე, ცომაია აკაკი, გაბუნია დომენტი, კვაჭაძე ეგნატე, გერსამია გრიგოლი, ალექსანდრია ნესტორი, კოკაია ირაკლი, გაბრავა არსენი, აფხაზავა დიმიტრი, კაკულია რემანოზი, გაბუნია იოსები, სვანიძე გიორგი, ართილაყვა ერასტი, მიმინოშვილი ალექსანდრე, კვანტირაძე ვიქტორ, ზემლიცკი კონსტანტინე, კაჭარავა ვიქტორი, თურქიანცი მელიკი, ბიგვავა პავლე, კლდიაშვილი ვალიკო, ჩიჩუა ნიკოლოზ, ჩხაიძე ერმილე, ჩოჩია პავლე, კაკულია გრიგოლი, კაჭარავა ვლადიმერი, დგებუაძე მიშა, კვანტალიანი მიტროფანე, ქაქუთია ნესტორ, გაბელაია ტერენტი, მუსერიძე ალექსანდრე, კოპალეიშვილი ემელიანე, ნიკურაძე ლავრენტი, წურწკავა ლავრენტი, ესაკია სანდრო კვანტალიანი ოლიფანტე, ალხაზოვი ვანიჩკა, მაჩკალოვი პანაიოტი, მეტაქსა ივანე, ალხაზოვი რუბენი, ლაშხია ევგენი და კოკაია ივანე.

ახალ-სენაკიდან

ტიურინი ნიკოლოზ, ჭანტურია ძუბა, ჯავახია ვასილ, გვასალია ერასტი, ოქროევი, ბიგვავა მიხეილი, გუგუშვილი კლიმენტი და ძიძიგური კლიმენტი, წულესკირი ანტონი და გაბელია კონსტანტინე.

აკაკი ჯიბლაძე.

—:—

ამხ. ამხ. კ. მაჭარაძის, ნ. ვაშაკიძის და ი. ეოლსკის გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში 10 მანეთი და ვიწვევ ი. კოვალსკის, გ. სვერდლოვს, პ. ხავინსკის, კუჩერენკოს და თედო სურნიშვილს.

იროდი ზოლქვაძე.

—:—

დღეს შემოვიდა 41 მან.

სულ შემოსულია 3.721 მან. 93 კ. შემოწირულება მიიღება „კომუნისტის“ კანტორაში — რუსთაველის პრ. 34. დილის ცხრა საათიდან შუადღის 4 საათამდე.

გემ „როსია-ს“ დაღუპვა

გუშინ დილით ა.-კ. ნავთსადგურთა სამმართველოში სოხუმიდან მიღებულ იქნა დეპეშა, რომელშიაც იტყობინებიან, რომ 10 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე, კუნძულ კოდორთან გემი „როსსია“ მოჰყვა ქარიშხალის ზონაში და დაიღუპა.

გემი დატვირთული იყო შეშით; ტვირთი მიჰქონდა რუსეთის სანაპიროებისაკენ. გემის მთავარი კორპუსი გადაბრუნდა და მთელი ტვირთი დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ გემის მოსამსახურე პერსონალი.

გემის დაღუპვის ამბავი სასწრაფოდ გავრცელდა სოხუმში. დაუყოვნებლივ გაიგზავნა კატერი „ბათომი“, რომელმაც გემი ბუქსირით გამოათრია სოხუმში. გემის დაღუპვის მიზეზების გამოსაკვლევათ თბილისიდან გაემგზავრენ ნავთსადგურთა სამმართველოს წარმომადგენლები.

ჰიდრო-ელსადგური აჭარისწყალზე

სადგურის აგება თავდება

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის ასაგები სამუშაოები თავის დასასრულს უახლოვდება. სადგურის ამუშავება ნავარაუდევია ოქტომბრის დღესასწაულებისათვის. სადგურის ასაგებ სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ გუშინ ს. მ. უ. ს. მისამართით მოსულია შემდეგი დეპეშა:

„მთავარი გვირაბის კეთება დასრულებულია. ამ დღეებში შეუდგებით გვირაბის დასაწყისის გაწმენდას ნაყარი მიწისაგან, რის შემდეგ მზად იქნება მიიღოს წყალი. ამასთანავე ერთად სწარმოებს გვირაბის გვერდებისა და ფსკერის გამაგრება ბეტონით.

მდ. აჭარისწყალის მარჯვენა ნაწყვეტზე დაწყებულია წყალის გადამშვები ჯებირის კეთება. ჯერ-ჯერობით ჯებირის სიგრძე უდრის 9 საჟენს“.

ამასთანავე აჭარისტანის სახკომსაბჭო შუამდგომლობს ს. მ. უ. ს. წინაშე მოავლინოს ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოებზე ადგილობ. პირობებთან გასაცნობათ სპეციალისტ-ტეხნიკოსების კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მთავარ გვირაბში წყლის გადამშვების საკითხი.

სასამართლო

ბანდიტის გასამართლება

დ. გორდაძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტიზის დასკვნა ბრალდებულ დ. გორდაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ექსპერტიზა გამოწვეული იყო დამცველის შუამდგომლობის თანახმად. მას უნდა შეემოწმებია, რამდენად სახიფათოა ბრალდებულის ჯანმრთელობისათვის ციხეში ჯდომა.

ექსპერტიზის დასკვნით, ტუბერკულოზის პროცესი, რომელიც ბრალდებულს ჰქონია წინად, ამჟამად შეჩერებულია.

თავმჯდომარის შეკითხვაზე,—იქონია თუ არა ბრალდებულის ფილტვების მდგომარეობაზე გავლენა 8 თვის განმავლობაში ციხეში ჯდომამ, ექსპერტი უპასუხებს, რომ ამის გამორკვევა შეიძლება კლინიკური ანალიზით.

შემდეგ დაკითხულ იქნა დამატებით გამოწვეული მოწმეები ცინცაძე და ორაგველიძე, დაესწრენ დ. გორდაძის მიერ მეეტლე ამილახვარის ცემის სურათს. ისინი ადასტურებენ ფაქტს, რომ გორდაძემ მეეტლეს ჯერ სცემა თავის კაბინეტში შემდეგ ჩააგდო სარდაფში და იქაც ბევრი სცემა. მოწმე ორაგველიძის სიტყვით, ამილახვარს სისხლი სდიოდა, როცა ის სარდაფში მიჰყავდათ.

მოწმეების დაკითხვის დამთავრების შემდეგ წაკითხულ იქნა იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც პროცესს არ ესწრებიან. საინტერესოა მეძავი ქალის ბუცენკოს ჩვენება.

ბუცენკოს ქალი თავის ჩვენებაში ლაპარაკობს, რომ ერთხელ ის ქუჩაში წესრიგის დარღვევისათვის დააპატიმრეს და წაიყვანეს მე-10 კომისარიატში. იქ მას დახვდა კომისრის თანაშემწე გორდაძე. უკანასკნელმა შეიყვანა ის თავის კაბინეტში, ჩაიკეტა კარი და მოინდომა მასთან არანორმალურ ფორმებში სქესობრივი კავშირის დაჭერა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია . ბუცენკოს ქალი აცხადებს, რომ გორდაძე მასთან ხშირად იჭერდა ნორმალურ სქესობრივ კავშირს თავის კაბინეტში. ერთხელ როცა მან გადაჭრით უარი უთხრა მასთან მისვლაზე გორდაძემ განუცხადა ბუცენკოს ქალს, რომ ის მოჰკლავს მას და პასუხსაც არ აგებს ამისათვის, რადგან იტყვის, რომ დაპატიმრების დროს გაქცევა დააპირა, ვესროლე და მოვკალიო.

სასამართლო ძიების დასრულების წინ დამცველმა **მ. ღვამიჩავამ** შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე, რათა მოწმეების სახით დამატებით გამოწვეულ ყოფილიყვნენ ხევცურიანის ქალი და სასტუმრო „არარატის“ პატრონი და ითხოვა მათ გამოცხადებამდე საქმის გარჩევის გადადება.

სასამართლომ ზედმეტად სცნო დასახელებულ მოწმეების გამოწვევა, რადგან საქმეში ბევრი სხვა საბუთებიც მოიპოვება ბრალდების ამ ნაწილის შესახებ და დამცველის შუამდგომლობა უშედეგოდ დასტოვა.

5 წუთის შესვენების შემდეგ, დღის 3 საათზე დაიწყო მხარეების კამათი.

გ.

—:—

დახვრეტა ყაჩაღობისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. თენეიშვილის თავმჯდომარეობით ქ. დუშეთში 9 ივლისს დაამთავრა ყაჩაღების კოლა ბახუაშვილის და ისაკი გზირიშვილის საქმის გარჩევა.

კოლა ბახუაშვილს და ისაკი გზირიშვილს სისტემატიური თავდასხმების მოხდენისა და მკვლელობებისათვის მიესაჯათ უმაღლესი სასჯელი—

მხეც კულაკს დახვრეტა არ შეეცვალა

უზენაესმა სასამართლომ გაარჩია კულაკ **შაქრო ზვერიაშვილის** საკასაციო საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენის შეცვლის შესახებ.

უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლის თანახმად ზვერიაშვილს თავის მოჯამაგირის მხეცურად მოკვლისა და გაძარცვისათვის მისჯილი აქვს უმაღლესი სასჯელი **დახვრეტა.**

სურებ-ჩოხატაურის გზა

ფედოსი ხუნდაძე-კიკვაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ პირებს: სიმონ და გრიშა პართენისძე ხუნდაძეებს, ნადია ასიეშვილისას (ოზურგეთი), ელისაბედ და არჯევან ლომინეიშვილებს (ოზურგეთი), თეკლე, თეო და სონია ჭაფუნეებისას, ციმულო ასიეშვილისას, ლისიმე როსტომის ასულს ლომინეიშვილისას, კეკელიძე პარმენს, ლისა სანიკიძის ასულს თევზაძისას, ლიუბა სანიკიძის ასულს ასიეშვილისას; კახეთიდან: კესარია და ეპიფანე ჭაფოძეებს, მელიტონ (პარმენ) და სონიჩკა ჭაფოძეებს, თამარ და ვასო ჭაფოძეებს, იონა და ნადია შარაშიძეებს, ნინა ისაკის ასულ პაჭკაშვილისას.

ეკა სიმონ ხუნდაძის ასული ჭაფოძისა.

—

შემომაქვს ათი მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის ფონდში თანახმად ამხ. მელიტონ რამიშვილის და პ. დომინეშვილის გამოწვევისა და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ალ. გედევანიშვილს, ი. ტალახაძეს, გაიოზ დევდარიანს, შალიკო ოკუჯავას, ვ. თავართქილაძეს, დათიკო შარაშიძეს, ბიქტორ სიხარულიძეს, ამბერკი ურუშაძეს, ერისტო ლვამიჩავას, დათიკო კილაძეს, დათიკო რუხაძეს, თეიმურაზ და მასურია ჭუმბურიძეებს; ამროსი ანდღულაძეს, (მოსკოვიდან) პანტელეიმონ და ტიტე ბარამიძეებს, (ლენინგრადიდან) ფილიპე რამიშვილს, აბესალომ და გრიშა ქორიძეებს.

ამბროსი ი. რამიშვილი.

—

შემომაქვს სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოთ ხუთი მანეთი და ვიწვევ: 1) ამროსი ცინცაძეს, 2) სოლომონ თოხაძეს, 3) დათიკო ცინცაძეს.

მელეტი ბისეიშვილი.

ამხ. სერგო ქორიძის გამოწვევით, შემომაქვს სურებ-ჩოხატაურის გზის ფონდის გასაძლიერებლად ექვსი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან: 1) ნოე გ. სიხარულიძეს, 2) კოლია სიხარულიძეს, 3) კოლია კალანდაძეს, 4) გრიგოლ ცინცაძეს, 5) ვალიკო ცინცაძეს, 6) ვალიკო ირ. გურგენიძეს, 7) კოლია მეგრელიშვილს, 8) ნიოფიტე კეკელიძეს, 9) კოზმა კალანდაძეს და 10) სანდრო შარაშიძეს; ბათომიდან: ლეონიდე და შალვა ჭყპავაძეებს, ნესტორ სიხარულიძეს (სასტ. „ნოე"), და ვლადიმერ თოდრიას. ჩოხატაურიდან: 1) იორდანე გიორგაძეს და 2) მიხაკო შარაშიძეს; ბუკისციხიდან: 1) იონა სიხარულიძეს, 2) სარდიონ სიხარულიძეს, 3) დავით სიხარულიძეს, 4) რაჟდენ ორუჯკას, 5) ლადიმე სიმონიას, 6) ბესარიონ გერგეშიძეს, 7) ვასილ სიხარულიძეს, 8) ილია დ. სიხარულიძეს, 9) კოზმა სიხარულიძეს, 10) ვასილ კოტრიკაძეს, 11) ნიკო გურგენიძეს, 12) თეოფილე სიხარულიძეს, 13) ალიოშა შარაშიძეს, 14) ნიკიფორე გიორგაძეს, 15 მიხეილ ან. გურგენიძეს, 16) მირიან სიხარულიძეს, 17) ბენიამე გურგენიძეს, 18) სარდიონ გურგენიძეს, 19) ირაკლი გურგენიძეს და 20) ალექსი ჭყპავაძეს.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

—

ვგზავნი გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციაში 5 მანეთს ამხ. ოლია ბარამიძის გამოწვევის თანახმად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:—ზემო სურებიდან—პოლიკარპე კეკელიძეს, სარდიონ ლომინეშვილს, ბუკის ციხიდან: დომენტი ბარამიძეს, კარლო ბარამიძეს, ილია სიხარულიძეს ვასილ ბერძენიშვილს, ეკატერინა თოდრიას, ჩოხატაურიდან: ესე ჩიგოგიძეს, ვალოდი ლომთათიძეს, ილია ბერაძეს, გოგოლა შაქარიშვილს.

ალფესი გაგუა.

ქრონიკა

მისალმება საქართველოს ცაკს

საქართველოს ცაკის სახელზე თელავიდან მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„თელავის მაზრის ექიმთა თათბირი მოგესალმებათ თქვენ საქართველოს მშრომელთა რევოლიუციით მონაპოვართა სადარაჯოზე მდგომთ, გისურვებთ თქვენ ბრწყინვალე გამარჯვებას მრავალ ნაყოფიერ მუშაობაში და მოვალედ თვლის განაცხადოს, რომ იგი გაჯანსაღების გზაზე დააყენებს მოსახლეობას თავისი ცოდნა - გამოცდილებით და საზოგადოებაში მუშაობით შეეცდება გაამართლოს თქვენი დავალებანი.

პრეზიდიუმი.

საექსპორტო საცივარი

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა, რომ საექსპორტო საცივარი პირველ რიგში აშენებული იქნეს ქალ. ფოთში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს უფლება მიეცა შევიდეს აქციონერად სააქციო საზოგადოება „ხლადოექსპორტ"-ში 150.000 მანეთის კაპიტალით.

თბილისის მაუდის ფაბრიკა

თბილისის მაუდის ფაბრიკის სამუშაოები ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია: ფაბრიკის ყველა ძირითადი ნაგებობათა საფუძვლები ამოყვანილია. მთავარი შენობის კორპუსის ადგილას დიდი სარდაფის აგება დასრულდა და ამჟამად ამოჰყავთ პირველი სართულის კედლები. დაწყებულია ფაბრიკის მთავარი კოლექტორის შენობის კეთება.

ფაბრიკისათვის საჭირო იარაღ-მანქანები ნაწილობრივ უკვე მიღებულია და ინახება სპეციალურად აგებულ საწყობებში. მანქანებს ღებულობენ ყოველდღიურათ. უკანასკნელათ მიღებულია საზღვარგარეთ შეკვეთილი საქსოვი მანქანების პირველი პარტია.

საბალანსო კამპანია

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ საბალანსო კამპანიის დასრულების ვადათ ცალკე რესპუბლიკებში დააწესა 15 ივლისი.

თამბაქოს მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაავალა ა.-კ. საგეგმო კომისიას ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განიხილოს თამბაქოს მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობის საკითხი.

თბილისის ალმასკომში

◆ **რძის ნაწარმოების ქარხანა.** თბილისის ალმასკომის საგეგმო კომისიამ დაადგინა აგოს რძის გადამამუშავებელი ქარხანა სოფ. კოჯორში (წავკის რაიონი).

◆ **ალმასკომის ჯანმრთ.** განყოფილებამ თავის სამკურნალო დაწესებულებებში ჯანსახკომს დაუთმო 25 საწოლი მაზრებიდან ჩამოსულ ავათ მყოფთათვის.

ჯანსახკომში

◆ **სამკურნალო ქსელის მოწყობა.** ჯანსახკომში ამჟამად ამუშავებენ მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში სამკურნალო ქსელის მოწყობა-გაფართოების გეგმას.

◆ **სამკურნალო ფონდები.** ჯანსახკომმა დაავალა სამაზრო ჯანმრთ. განყოფილებებს შეუდგენ ადგილობრივ სამკურნალო დაწესებულებებთან განსაკუთრებული ფონდის დაარსებას. აღნიშნული ფონდებიდან თანხები გამოყენებული იქნება ჯანმრთელობის საქმის გასაუმჯობესებლათ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების გარეშე.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

◆ **ნარინჯოვან მცენარეთა გაშენება.** მიწათმოქმედების კომისარიატის ინიციატივით აჭარისტანში მოეწყო ამერიკული ვაზისა და ნარინჯოვან მცენარეთა გასამშენებელი სანერგეები.

◆ **ახალი სანერგე.** ოზურგეთის მაზრაში, მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით გაშენებულია მანდარინისა და ლიმონის ახალი სანერგე 2 ნახევარ დესეტინის სივრცეზე.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ **5 სკოლა გლეხური ახალგაზრდობისათვის.** განათლების კომისარიატის დადგენილებით, მომავალი სასწავლო წლიდან ქუთაისის მაზრაში გაიხსნება გლეხური ახალგაზრდობის 5 სკოლა.

◆ **სასკოლო აღწერა.** განათლების კომისარიატთან არსებულ სასკოლო სტატისტიკის ბიურო ამუშავებს გეგმას სასკოლო აღწერის ჩასატარებლათ.

შრომის კომისარიატში

◆ **25 ივლისი, დასასვენებელი დღეა.** შრომის კომისარიატი აცხადებს, რომ 25 ივლისი დასასვენებელ დღეთაა გამოცხადებული.

◆ **ავდარში მუშაობა აკრძალულია.** შრომის კომისარიატმა გამოსცა დადგენილება, რომლის ძალითაც საქ. ნავთსადგურების ადმინისტრაციას ეკრძალება ამუშაონ მუშები გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე დიდი წვიმისა და ქარის დროს.

შრომის კომისარიატმა გამოყო კომისია თბილისის შრომის ბირჟისა და უმუშევართა კოლექტივების მუშაობის გამოსაკვლევად.

საკურორტო სეზონი

◆ **აბასთუმანის** სანატორიუმში და პანსიონატებში ყველა ადგილები დაკავებულია 10 აგვისტომდე.

◆ **ადგილების შეკვეთები.** საკურორტო სამმართველოს დიდძალი შეკვეთები მოსდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბრისათვის კურორტებზე ოთახების დათმობის შესახებ.

◆ **თავისუფალი ადგილები.** ამჟამად თავისუფალი ადგილები მოიპოვება წაღვერის პანსიონატში. პროფკავშირის წევრებისათვის თვეში ადგილი ღირს 100 მან. კვებით.

◆ **წყალსადენი და კანალიზაცია.** საკურორტო სამმართველოში მიღებული ცნობის თანახმად აბასთუმანში დაწყებულია მუშაობა წყალსადენისა და კანალიზაციის გასაყვანათ.

სხვადასხვა

◆ **ახალი რკ. გზა.** სატყეო მრეწველობის ტრესტი ამუშავებს გეგმას შაშკონსა და ახალ-აბასთუმანს შორის ვიწრო ლიანდაგიანი რკ. გზის გასაყვანათ.

◆ **სახალხო სახლთან არსებული ბიბლიოთეკა**-სამკითხველო ხელახლა გაიხსნა 8 ივლისიდან. მიიღება ხელის მოწერა წიგნებით სარგებლობაზე.

წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი საზ-ბის ლიკვიდაცია

დასრულდა წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოების ლიკვიდაცია, რომელიც ჩაატარა განსაკუთრებულმა სალიკვიდაციო კომისიამ **დ. მ. დუმბაძის** თავმჯდომარეობით.

საზოგადოების წიგნთსაცავი, მუზეუმი და არქივი გადაეცა თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტს. წიგნის მაღაზია კანცელარიის ინვენტარი და კლიშეები შეიძინა სახელგამმა 4.000 მანეთად. გარდა ამისა სალიკვიდაციო კომისიამ გაისტუმრა ყველა თანამშრომლები და დააკმაყოფილა საზოგადოების ყველა კრედიტორები.

დარჩენილი თანხიდან 120 მან. მიეცა ოლღა ჭავჭავაძის დამკრძალავ კომიტეტს და 105 მან. მის მომვლელს—ლუკიანოვას.

დებიტორების სრული სია გადაეცა მწერალთა კავშირს. მასვე გადაეცა კანცელარიის ბიბლიოთეკა, 1052 მანეთის წიგნები, ილია ჭავჭავაძისეული სახლი ანდრეევის ქუჩაზე და ილიას ძეგლი.

ლიკვიდაცია დაიწყო იანვრიდან და დამთავრდა ივლისის 1-ლ რიცხვებში.

კრებები და მოხსენებები

◆ **ინჟენერთა კრება.** ოთხშაბათს, 13 ივლისს ინჟენერთა კლუბში (მუშათა სასახლე) მოწვეულია თბილისის საინჟენერო-სატეხნიკო ძალთა კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვა ინჟ. ტეხნოლოგი **ტუროვეცი**, შემდეგ თემაზე: ხეტყის სადისტილიაციო მრეწველობის პერსპექტივები.

შემთხვევები

ქალის დაჭრა

10 ივლისს ღამის 1-ლ საათზე მოქ. **გარსევან გეურქთამა** დანით დასჭრა თავისი ნაცნობი ქალი სირანუშ ბულადაშვილი (ტუკოვის ქ. № 35).

ბოროტმოქმედების ადგილას სასწრაფოდ გამოცხადდნენ სის. სამართლის თანამშრომლები და პროკურატურის წარმომადგენელი. დაჭრის მიზეზი გამოურკვეველია.

გეურქთამა დააპატიმრეს.

დახრჩობა

შაბათ საღამოს მუხრანის ხიდთან ბანაობის დროს დაიხრჩო მოქ. მამედ-კუტილ-ოღლი 30 წლისა.

გვამი ვერ აღმოაჩინეს.

გაუპატიურება

შაბათს, ჩეჩრეზიშვილის ქ. № 22 სახლში მცხოვრებმა მოქ. გიორგი პავლეს ძე არჩვაძემ თავის სახლში დაიბარა მოსწავლე ქალი მარიამ ოდიშარია (21 წლისა), რომლისთვისაც არჩვაძეს უნდა გადაეცა სახელმძღვანელო წიგნი.

ქალი დანიშნულ დროზე გამოცხადდა არჩვაძის ბინაზე. არჩვაძემ სტუმარს კარები ჩაუკეტა და ძალით გააუპატიურა.

სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. გამოძიებას აწარმოებს. აღმ. საქ. ოლქის სასამართლოს უფროსი გამომძიებელი ამხ. თულაშვილი.

ქუჩაში სიკვდილი. 9 ივლისს საღამოს სასახლის ქუჩაზე მოულოდნელათ გარდაიცვალა გამვლელი მოქალაქე ედანოვი, რომელსაც პირიდან წასკდა სისხლი.

განსვენებულმა მოასწრო მხოლოდ თავის გვარის დასახელება.

◆ **ავტომობილი ცეცხლში.** ვერის გზატკეცილზე მიმავალი ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ახონ ბატაძე, დაეჯახა გარაჟის კედელს, რის გამოც ავტოს გაუჩნდა ცეცხლი.

დაიწვა მანქანის ნაწილი. ზარალი უდრის 500 მანეთს.

◆ **ქურდობა.** გუშინ გაქურდეს მოქ. მარიამ ბურგაკის ბინა (კალინინის ქ. №73), საიდანაც წაიღეს 100 მანეთის ნივთები.

◆ **მორგებული გასაღებით** გაღებულ იქნა მოქ. იულია ლეჟავას ბინა (შერემეტიევის ქ. № 55). წაღებულია 120 მანეთის ნივთები.

◆ **ჯიბგირობა.** კვირას, საღამოს დიდუბეში მოქ. ვალერიან ორჯონიკიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 123 მანეთი და სხ. საბუთები.

◆ **დააპატიმრეს** ქურდი კონსტანტინე სმირნოვი, რომელმაც მუშკოვის მეექვსე მაღაზიაში მოიპარა ძაფებით სავსე ყუთი.

◆ **გაქურდეს** მოქ. იპოლიტე რთვილაძის ბინა (ელისაბედის ქ. № 118). წაღებულია ტანსაცმელი და ლოგინის მორთულობა.

◆ **ბავშის დაკარგვა.** 9 ივლისს სახლიდან გავიდა მოქ. ივანე ომიაძის 10 წლის ბავში ნადია, რომელიც დღემდე არსად ჩანს. მნახველს სთხოვენ შეატყობინოს ივანე ომიაძეს (არსენალის შესახვევი № 4).

◆ **ვისია ნივთები.** დაპატიმრებულია ქურდი, რომელსაც აღმოაჩნდა ქალის შევიოტის პალტო, ოქროს ბეჭედი, კაშნე, მამაკაცის შარვალ-ხალათი და ქუდი. პატრონმა ნივთები უნდა მოიკითხოს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 7.

ხელოვნება

◆ **ხმების გასინჯვა.** ხუთშაბათს, 14 ივლისს დღის 12 საათიდან სახელმწიფო ოპერის შენობაში დანიშნულია ხმების გასინჯვა ოპერის გუნდში ჩასარიცხად.

ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სახელმწიფო ოპერის სამხატვრო ნაწილის გამგეთ და მთავარ რეჟისორ-დამდგმელათ მოწვეული **ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.**

ბოგოლიუბოვი მოლაპარაკებას აწარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების გამგე ამხ. **შ. დუდუჩავასთან** მომავალი მუშაობის შესახებ.

ხელოვნების მთავარი მმართველობა

განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილება ამ ჟამად ამზადებს პროექტს ხელოვნების მთავარ მმართველობის დაარსების შესახებ საქართველოში.

პროექტი განხილული იქნება ამ დღეებში.

ოპერის გუნდი და ორკესტრი

მომავალ სეზონში სახელმწიფო ოპერის გუნდი და ორკესტრი გადიდებული და გადახალისებული იქნება. გუნდში მოწვეული იქნება 45 კაცი (შარშან იყო 38), ორკესტრში—47.

გუნდისათვის მომღერლების შესარჩევათ ოთხშაბათს, 13 ივლისს, დღის 1 საათზე. სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება ხმების გასინჯვა.

ექსპორტი და იმპორტი

მიმდინარე საოპერაციო წლის რვა თვის განმავლობაში (ოქტომბრიდან მაისამდე) ამიერ-კავკასიიდან საზღვარ-გარეთ გატანილია: გაშლი — 59.800 მანეთი, სატყეო მასალა 305.300 მანეთის, ბეწვეული — 88.600 მანეთის, ჯაგარი — 141.900 მან., ნაწლავები—368.200 მან., კვერცხები — 62.000 მანეთის, თამბაქო — 1.546.700 მანეთის, ხალიჩები — 1.192.500 მანეთის, აბრეშუმის პარკი — 1.036.500 მან., აბრეშუმის ნარჩენები — 246.000 მანეთის; სულ რვა თვის განმავლობაში ამიერ - კავკასიიდან საზღვარ-გარეთ გატანილი იქნა 49.959.200 მანეთის საქონელი.

ამავე ხნის განმავლობაში უცხოეთიდან საიმპორტო გეგმის მიხედვით და გეგმის გარეშე შემოტანილი იქნება:

ნედლეული — 92.200 მანეთის, ნახევარფაბრიკატები — 453.200 მანეთის, სხვადასხვა მოწყობილობა — 699.100 მანეთის, ელექტრო-მოწყობილობა 16.400 მანეთის, ავტო - მოტოველო მოწყობილობა — 226.700 მანეთის, მოხმარების საგნები — 287.200 მანეთის და სხვა; სულ რვა თვის განმავლობაში შემოტანილი იქნა 3.073.500 მანეთის საქონელი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს 12 ივლისს შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა პირველი სექცია: ერასტი ბოლქვაძეს, შალვა ლაზიშვილს, მაქრო ონეზაშვილს, ევგენი სუნდუკიანს, აზოტ მამუკიანს, მურადაშვილს, გეონ პირიკიანს, კარაპეტ მოსესოვს, ნიკოლოზ ჩარბაძეს, კონსტანტინე კარენსკის, ვლადიმერ კობერიძეს, ნიკოლოზ ჩარბაძეს.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: თამარ შაკიდის, ნინო მირაქოვს, ნინო მჭედლიძეს, ელენე ვარნაძეს, და ოლღა ტყეშელაშვილს;

შავ მუშათა მესამე სექცია: ლუკა გვალიაშვილს, არტემ დალაქოვს, ლავრენტი ზამბახიძეს, მიშა ძამაშვილს, სოლომონ ხატიაშვილს, ზაქრო კატამაშვილს, შალვა ნასყიდაშვილს, პროკოფი ცომაიას, რაჟდენ ზალდასტანაშვილს, გრიგოლ ნასარიძეს, ტრიფონ ტყემალაძეს, ილია ჭავჭავაძეს, პავლე კეკელიას, ნიკოლოზ ნამიჩეიშვილს, ალექსი კახაძეს, ერასტი სურმავას, იოსებ ხვედელიძეს, გიორგი მაგეიშვილს, გრიგოლ ჩადუნელს, ნიკოლოზ ქაცარავას, კარაპეტ მოსესოვს, ოგანეს მხითარიანცს, კ. ზაქარიანცს, ზაქრო ნონიანცს, სარქის ზალაგანს, იოსებ ბატიანცს, ბალდასარ შალინიანს, ვაგარშაკ აივაზიან, ივანე კალაშინს, რაფიელ ჩარიანცს, მარკოს არუთინიანცს, ნიკოლოზ ტატოსოვ, ავეტიქ ქაცახაკიანცს, ტალა არუთინოვს, სერგო ვოლხოვს, ხაჩიკ ბაზჩინიანცს, ალექსი ხუბალოვს, ივანე ზუბიევს, სარქის ხუბეროვს, პავლე ბონდარენკოს, შალვა საბაევს, ენუქ. სარეხნიანცს, ვასილ გრიგორიევს, ხათუნ ჯუჯაევს, ასატურ ხაჩიბაბოვ, დიმიტრი ხანდამოვს, ალექსი ვალიევს, გიორგი გამბაროვს, ბალდასარ ხითაროვს, ვლადიმერ ოვაურს, სერგო ავაკოვს, ვლადიმერ ნათიშვილს, სუმბათ კარაპეტიანს, ალექსი ფილუშევს, სარატა ოღლის, დავით მაჭავარიანს, ხაჯი ბუდეზს, აზატ ტერ-ოგანეზოვს, ამბარცუმ ტევოიანცს, მისაკ კარაპეტიანცს, სერგო მდივნოვს, ანნა გურამაძეს, გიორგი მაშელოვს, მიხეილ ხითარიშვილს, გიორგი პაპიაშვილს, გიორგი ხუბაშვილს, ვ. ნატიშვილს, ივანე პეტრაძეს, გეორქ გეურქოვს, მიკირტუმ მიკირტიჩიანს, გიორგი ბელეტაშვილს, ივანე კოკოსაძეს, იაკობ მარტიროსიანს, მიხეილ ასილოვს, არჩილ სულთანოვს, და ილია ჯანაშვილს.

მედიკურ მუშაკთა მეხუთე სექცია: ვერა ნადარეიშვილს.

ნაოსნობა რიონზე

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას მოსკოვში აღძრას საკითხი სათანადო საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა მდ. რიონზე ნაოსნობის მოსაწყობად 1927—28 წელში გადადებული იქნეს 150.000 მანეთი.

ამავე დროს აღძრული უნდა იქნეს საკითხი იმის შესახებ, რომ კასპიის სანაოსნო საზოგადოებას „კასპარ"-ს უფლება მიეცეს შევიდეს აქციონერად რიონის სააქციო სანაოსნო საზოგადოებაში 300.000 მანეთის კაპიტალით და რომ რიონის სანაოსნო საზოგადოებას მიეცეს მდ. რიონზე მიმოსვლის მოსაწყობად გემები.

ამავე დროს რიონის სააქციო სანაოსნო საზოგადოებას წინადადება მიეცა მოლაპარაკება აწარმოოს მდინარეებზე სანაოსნო მიმოსვლის ცენტრალურ სამმართველოსთან („ცენტრორეკოპ"), რათა ეს უკანასკნელი შევიდეს აქციონერად რიონის სანაოსნო საზოგადოებაში.

სანაოსნო სადგურის გახსნა

კვირას 10 ივლისს, ზაჰესის ტბაზე გაიხსნა საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების სანაოსნო სადგური. სადგური მოთავსებულია მცხეთის ძველ ხიდთან, გზათა უწყების სახლში.

გახსნის დღეს თბილისიდან სპეციალური მატარებლით მცხეთაში გაემგზავრა პროფკავშირთა წევრების ექსკურსია ორკესტრით და სამხატვრო წრეებით ექსკურსანტებს შორის მრავლად იყვნენ ფიზკულტურელები.

დილის 11 საათზე სადგური გახსნა პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგემ ამხ. **ფირალიშვილმა**, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ზაჰესმა სინათლესთან და ენერგიასთან ერთად მოგვცა უზარმაზარი ტბა, რომელიც საშუალებას იძლევა განვითარებული იქნეს თბილისში წყლის სპორტი. ფიზკულტურის ეს მნიშვნელოვანი დარგი თბილისში აქამდი სულ არ იყო. წყლის სადგურის გახსნით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა წრეების მოწყობა ცურვის და წყლის სპორტის სხვა დარგების შესასწავლად.

სადგურის გახსნის შემდეგ ტბაზე გაიმართა სეირნობა ნავებით და ფიზკულტურელების საჩვენებელი ცურვა. ჯერჯერობით პროფსაბჭოს შეძენილი აქვს რამოდენიმე ჩვეულებრივი და ერთი მოტორიანი ნავი. სეირნობა გაგრძელდა ნაშუადღემდი. საღამოს იახტ-კლუბში გაიმართა ლურჯ ხალათიანების გამოსვლა, რის შემდეგაც ექსკურსანტები ცეკვა-სიმღერით მოეფინენ ახლომახლო გორაკებს. ექსკურსანტების ნაწილმა დაათვალიერა აგრეთვე ზაჰესი და ჯვარის მონასტერი. საერთო მხიარულება გრძელდებოდა საღამომდე.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 12 ივლისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

წითელარმიელთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე (7—7—20).

ქვეყნის თავდაცვა და თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოება—ავიაქიმი—რუსულ და ქართულ ენებზე (7—20—8).

ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ—რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე (8—9).

ტეხნიკური კონსულტაცია (9—9—20).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე (9—9—30).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (9—30—11).

მეცნიერება და ტეხნიკა

ხელოვნური თამბაქო

გერმანიაში ბაზარზე გასაყიდათ გამოვიდა ხელოვნური სიგარები, რომლებიც შემდეგნაირად არის დამზადებული: განსაკუთრებული ხარისხის ქაღალდს უღლენთავენ ქიმიურად დამზადებული ნიკოტინით და ღებავენ თამბაქოს ფერად. ამრიგად დამზადებულ ხელოვნურ თამბაქოს სურიან შესაფერი ფორმის ფურცლებად და გრეხენ სიგარათ. თამბაქოს ეს სუროგატი გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ნამდვილი სიგარა.

„სისხლის წვიმა"

ამ რამოდენიმე ხნის წინათ სამხრეთ საფრანგეთში მოვიდა „სისხლის წვიმა", რაც ცრუმორწმუნე მოსახლეობამ „ღმერთისგან მოვლენილ რისხვად" ჩასთვალა. წვიმის წითელი წვეთების ქიმიურმა ანალიზმა დაამტკიცა, რომ წყალი გაჟღენთილია წითელი ფერის მთის ჯიშის მტვერით, რომელიც აფრიკაში მოიპოვება. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს მტვერი ქარმა გადაიტანა ხმელთაშუა ზღვაზე, მოხდა წვიმის ღრუბლებში და დაეშვა მიწაზე წვიმის წვეთებთან ერთად.

რგვალი სახლები

გერმანიაში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და გავრცელება ჰპოვა პატარა და იაფ რგვალი სახლების აგებამ. რგვალი სახლების აგების სიია- ერთსა და იმავე სივრცეზე რგვალი სახლების აგების დროს იხარჯება გაცილებით ნაკლები მასალა, ვიდრე ნორმალურ სწორ კუთხოვან სახლებზე.



სურათზე ნაჩვენებია ასეთი რგვალი სახლი.

ხუთი ფუტის სიგრძე ავტომობილი

ერთმა ნიუ-იორკელმა მექანიკოსმა აავო მეტად პატარა ავტომობილი, რომლის განი უდრის 28 დიუიმს, სიგრძე კი—5 ფუტს. ავტომობილი დახურულია, იტევს ერთ კაცს, ბორბლები—მოტოციკლეტის ტიპისაა, მოტორი ანვითარებს ჩვეულებრივი ავტომობილის სისწრაფეს.

იურიდ. რჩევა-დარიგება

ვლად. მჭედლიშვილს

პასუხი

საბინაო ტარიფის მე-8 მუხლის თანახმად, პროფკავშირის უმუშევარი წევრები კვადრატიულ მეტრზე ბინის ქირად იხდიან 4 კაპეიკს. მაგრამ რადგანაც თქვენი ბინა წარმოადგენს თავანს („ჩერდაკი"), ამიტომ საბინაო ტარიფის მე-17 მუხლის თანახმად, ბინის ქირა გადაიხდით 50 პროც. ნაკლებს ჩვეულებრივზე, ე. ი. კვადრატიულ მეტრზე გადაიხდით 2 კაპეიკს.

მ. სკამკოჩაიშვილს

პ ა ს უ ხ ი

მიმართეთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ სასოფლო - სამეურნეო საგადასახადო კომისიას.

ქიათურის 9 წლედის მე-6 ჯგუფის მოწაფე ლიშვილს

პასუხი

საერთოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 418-27 წესისამებრ ანდერძის შეცვლა ძის გამცემს ყოველთვის შეუძლია. უმჯობესი იქნებოდა თუ მიმართავდით ადგილობრივ სახალხო სასამართლოს სათანადო განცხადებით.

ნინო ნავიშვილს

პასუხი

მიმართეთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს.

ზეინკლის თანაშემწე ირაკლი გურაშვილს

პასუხი

დეკრეტი № 28-ის პარ. 123-ის თანახმად მშობელთა სიცოცხლის დროს მშობელთა ქონებაზე შვილებს არა აქვთ არავითარი უფლებები.

კავშირის წევრს (წიგნ. № 3843) შალვა ბეწაძეს

პასუხი

თანახმად საბინაო ტარიფის მე-4 მუხლისა ბინის ქირას იხდით თქვენი სატარიფო განაკვეთის მიხედვით, ე. ი. თუ თქვენ ღებულობთ სამოც (60) მანეთს, კვადრატიულ მეტრზე გადაიხდით 17 კაპეიკს.

გრიგოლ აბაშიძეს

პ ა ს უ ხ ი

მიმართეთ სათანადო განცხადებით სიღარიბის მოწმობის თანდართვით თქვენი მაზრის განათლების განყოფილებას.

ვანო ფრანგულის

პ ა ს უ ხ ი

მიმართეთ სათანადო განცხადებით საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ მუშათა გამოგონებების კომისიას.

ადეიშვილს

პასუხი

თუ დარაბა გადმოგეცათ საცხოვრებელ ბინად, მაშინ იგი ექვემდებარება იმავე წესებს, როგორც სხვა საცხოვრებელი ბინები, ამიტომ თქვენ გადაიხდით ბინის ქირას საბინაო ტარიფის მე-4 მუხლის თანახმად, ე. ი. თუ თქვენი თვიური ხელფასი 35 მანეთს უდრის, მაშინ თითეულ კვადრატიულ მეტრზე იხდით მხოლოდ 4 კაპეიკს თვიურად. ამაზე ზევით სახლის მფლობელობა ველარ მოგთხოვს ქირის გადახდას, თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 166-ისა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

ს. ს. რ. ცაკისა და სახკომსაბჭოს 1926 წ. ივნისის 9-ს თარიღით—„ყველა სპეციალობის ინჟენერ-ტეხნიკოსთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების აღრიცხვის შესახებ"—გამოცემულ დადგენილების გამოყენებისათვის.

თანახმად ს. ს. რ. კ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წ. ივლისის 9-ს თარიღით დადგენილებისა და ს. ს. რ. კ. შრომსახკომს 1926 წ. 3 დეკემბერს № 259-147 გამოცემულ ინსტრუქციისა, საქ. შრომის სახ. კომისარიატი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ ყველა სპეციალობის ინჟენერ-ტეხნიკოსთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა (აგრონომიურ, ვეტერინარულ, მიწათმოწყობის, სატყეო და სხვა სპეციალობის) მიმდინარე აღრიცხვის წარმოების შემდეგი წესი:

1. ამა ინსტრუქციის წესის თანახმად აღირიცხებიან სპეციალისტების შემდეგი კატეგორიები:

ა) ის პირნი, რომლებთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი ტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო (მათ რიცხვში ვეტერინარულიც) სასწავლებლები ან სხვა უმაღლეს სასწავლებლის სათანადო ფაკულტეტები და განყოფილებები (მაგ. სატყეო, მიწათმოწყობის, მელიორატიული და აგრონომიური ფაკულტეტები და განყოფილებები) მათ შორის საზღვარგარეთ კურს დამთავრებულნიც.

ბ) ის პირნი, რომლებთაც დამთავრებული აქვთ საშუალო ტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები (მაგ. სატყეო, მიწათმოწყობის, მელიორატიული, აგრონომიული, ცხოველთ-მომშენებლობის, მემინდვრეობის, მეველეობის, ვეტერინარული, ტოპოგრაფიული, მებაღეობა-მებოსტნეობის) მათ შორის საზღვარგარეთ კურს-დამთავრებულნიც.

შენიშვნა: იმ წარმოება-დაწესებულებებმა, რომლებიც საჭიროდ სთვლიან სპეციალისტების აღრიცხვის გავრცელებას აგრეთვე სხვა კატეგორიის სპეციალისტებზე, რომელნიც არ არიან აღნიშნულნი ამ მუხლში, უნდა აღძრან სათანადო შუამდგომლობა საქართველოს შრომსახკომის წინაშე.

2. საქართველოს ტერიტორიაზე მოთავსებული სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო წარმ.-დაწეს. მეურნეობანი, სადაც დაქირავებით მუშაობენ ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხლში აღნიშნული სპეციალისტები, აწარმოებენ ამ მომუშავეთა აღრიცხვას ტეხნიკურ ძალთა საღრიცხვო-სარეგისტრაციო ბარათით ფ. „დ", რომელშიდაც ყველა კითხვები აუცილებლად შევსებულ უნდა იქნეს.

3. ყველა წარმოება-დაწესებულება-მეურნეობანი, გარდა საგზაო და გარეშე საქმეთა კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოებისა, ვალდებული არიან წარმოადგინონ ყოველწლიურად არა უგვიანეს 31 იანვრისა სარეგისტრაციო ბარათების ასლები იმ სპეციალისტებზე, რომელნიც მათთან მუშაობენ და აღრიცხვაზე იმყოფებიან ამა წლის 1-ლ იანვრისათვის: ავტონომიურ რესპუბლიკებში—საქ. შრომის სახკომის რწმუნებულთა სამმართველოებში, მაზრებში შრომის ინსპეკტორებს, თბილისში კი უშუალოდ საქ. შრომის სახალხო კომისარიატში.

საგზაო და გარეშე საქმეთა კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოები სარეგისტრაციო ბარათების ასლებს უშუალოდ ადგენენ ს. ს. რ. კ. შრომის სახკომში.

შენიშვნა: ეს აღრიცხვა შემოღებულია 1927 წ. 1-ლ ივლისიდან, ამიტომ შესებულ სარეგისტრაციო ბარათების შრომსახკომის ორგანოებში წარმოდგენის პირველ ვადათ წესდება 1927 წ. 31 ივლისი. 1928 წლიდან კი სარეგისტრაციო ბარათები წარმოდგენილ უნდა იქნას ამ ინსტრუქციის მესამე მუხლის თანახმად.

4. ის სპეციალისტები, რომელნიც მუშაობენ არა დაქირავებით, ადგენენ მათ მიერ შევსებულ სარეგისტრაციო ფურცლებს ყოველწლიურად არა უგვიანეს 31 ივნისისა მე-3-ე მუხ. აღნიშნულ შრომსახკომის ორგანოებში, მასთან ცნობები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც პირადათ, ისე ფოსტით (დაზღვეული წერილით).

5. შრომის ბირჟებში და საკორესპონდენტო პუნქტებში აღრიცხულ უმუშევარ სპეციალისტების სარეგისტრაციო ბარათები უნდა იქნეს შემოღებული უმუშევარის მორიგ გამოცხადების დროს, ან სპეციალური გამოძახებით.

6. იმ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელნი, რომელნიც დაარღვევენ აღრიცხვის წესს და აგრეთვე სპეციალისტები, რომელნიც აღრიცხვას აიცილებენ, ან მისცემენ თავის თავზე არა სწორ ცნობებს, მიიცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. თანახმად საქართველოში მომქმედ კანონმდებლობისა.

7. ეს აღრიცხვა, ატარებს რა ყოველწლიურ სტატისტიკურ აღწერის ხასიათს და ისახავს რა მიზნად ყველა სპეციალისტების ინჟენერ-ტეხნიკოსთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიცხოვნების და შემადგენლობის გამორკვევას წესდება არსებულ სახეების საუწყებო და სხვა აღრიცხვის (კერძოდ სამხედრო) სრულიად დამოუკიდებლად.

8. სარეგისტრაციო ბარათები ფ. „დ" შეიძინება შრომსახკომის ორგანოებში (საქ. შრომის სახკომში, ავტონომ. რესპ. რწმუნებულებთან, შრომის ინსპექტორებთან და შრომის ბირჟებში).

საქ. შრომის სახ. კომისარი ს. თოდრია.

სახკომ. კოლეგიის წევრი შრომ. ბაზ. გან. გამგე ბოგინაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ას აგიტპროპ განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: 1) შუშანია, (პოლიტგანათლ. სამართვ.), 2) ფირალოვი (პროფკავშირებიდან), 3) მიქაძე (განათლების მუშაკთა კავშირიდან), 4) ბუდილევი (თ. კ.-დან), 5) აღნიაშვილი, სიხარულიძე და აღამიძე (ქარ. დივიზიიდან), გობეჯია და აროთინოვი (კომკავშირიდან).

აღნიშნული ამხ. ამხ. დაუგვიანებლივ უნდა გამოცხადდნენ.

აგიტპროპგანყოფილების მდივანი ჭიჭინაძე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი აუწყებს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელნიც არ მოხვედრილან პარტაღწერაში, გამოცხადდნენ რაიკომის საინფორმაციო სტატისტიკურ განყ-ში დილის 8 საათიდან 2 საათ. და საღამოს 5 საათიდან 7 სათამდე.

მიხეილ პეტროვსკი, ა. მინასოვი, ოგანეს პეტროსოვი, ივანე გვაზავა, მუავანაძე, მამაჯანოვი, კრასნოფოლიკი, რუტანტი, სარქის ხაჩატურიანი, მარია ვალილევა, [illegible], საქ. ტანინოვი, [illegible], ა. გართანიანი, მელიქ ხუბა-მამიკონოვი, კარაპეტ გო- [illegible]

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ცენტრალური კაბინეტის ბიბლიოთეკა 11 ივლისიდან შეუდგა წიგნების დარიგებას.

საქ. რემედ. ცეკა იტყობინება, რომ დღეს, 12 ივლისს, საღამოს, 6 საათზე შესდგება **პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.**

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

საქ. რემედას-ის ცეკა.

საქართველოს ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიურო ღრმა მწუხარებით იუწყება თავის წევრის ამხ.

ემმა ალექსანდრეს ასული მელიკ-ათარბეკოვას

უდროოვოდ გარდაცვალების შესახებ. გამოსვენება მოხდება დღეს, 12 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე გინეკოლოგიურ ინსტიტუტიდან (ლენინის ქ.). დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (უფ.)

გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 10 ივლისს, ღამით, უდროვოდ გარდაიცვალა, „ზარია ვოსტოკა"-ს ადგილკომის წევრი, ბეჭვდითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს წევრი და „ზარია ვასტოკა"-ს მუშათა ცხოვრების განყოფილების გამგე ამხ.

ემმა ალექსანდრეს ასული მელიკ-ათარბეკოვა

გამოსვენება მოხდება დღეს, 12 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე გინეკოლოგიურ ინსტიტუტიდან. (ლენინის ქ.). დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (უფ.)

მწუხარებაში მყოფნი მშობლები ნესტორ სიმონის-ძე და ეკატერინე აბრამის ასული, მეუღლე მარიამ ფილიპეს ასული, ძმები ვასილი, კოტე და ლევან ნესტორის-ძენი, დები ელენე და თამარ, რძლები ოლღა კონსტანტინეს ასული შვილებით ნინო ალექსანდრეს ასული და ეკატერინე კონსტანტინეს ასული მაჭარაშვილები და სიძე ნ. ი. სულიკაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის მარად დაუვიწყარ

არჩილ ნესტორის-ძე მაჭარაშვილის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად და მოსახსენებლად დანიშნულია 12 ამა ივლისს სამშაბათს დილის 10 საათზე წირვა მამა დავითის ეკლესიაში; პანაშვიდი კი კუკიის სასაფლაოზე განსვენებულის საფლავზე საღამოს 6 საათზე. 1—1 3301

საქართველოს ფ. ტ. მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა ცენტრალური გამგეობის წევრი და ქუთაისის საოლქო განყოფილების თავმჯდომარე ამხ.

იოსებ მარგველაშვილი

დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. 1—1 3300

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ნუცა (ნინა) გაბრიელ მქავიას ასული და ელგუჯა (კუკა) დავითის-ძე ქარაბაკი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველი უძვირფასეს დაიკოს და მეორე უსაყვარლეს დედის

ცუცა (მარია) გაბრიელ მქავიას ასული ქარაბაკის

უდროოვოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან, ფრეილინის ქ. № 6, სამშაბათს, 12 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1—1 3306

ღრმად დამწუხრებული ბაგრატ და ალექსანდრე რობაქიძეები, სიმონ, შალვა და ვლადიმერ კაციტაძეები, ამბაკო ნიკოლაშვილი და ალექსანდრე კობახიძე აუწყებენ მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ 11 ივლისს საღამოს 5 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეგობარი და ამხანაგი

სანდრო პავლეს-ძე რობაქიძე

გამოსვენების დღე და დაკრძალვის ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. (დ.)

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 20).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი თანხა	საწარმ. სარეწაო მოწ. ხარ.
551	14 ივნისი 27წ.	ჩიქოვანი ნიკოლოზ გიორგის-ძე	სად. აბაშა	სად. აბაშის რკ. გზის ბუფეტი		
552	”	ქობულია ნოე მურაზას-ძე	სოფ. მარდანი		100 მ.	მე-4
553	”	მაღლაკელიძე ვლადიმერ ანდროს-ძე	დ. აბაშა	ღვინის სარდ.	200 ”	”
554	”	მებონია ვლადიმერ კოსტას-ძე	დ. აბაშა	”	300 ”	”
555	”	ღუნდუა გრიგოლი პროფილეს-ძე	მარანი სენაკის მაზ.	სასადილო	200 ”	”
556	”	დუნდუა ალექსანდრე შამას-ძე	სოფ. 2 ილორი სენაკის მაზ.	ღვინის სარდ.	200 ”	”
557	”	ბრელიძე ალექსანდრე თემურაზის-ძე	მარან ქოლობნის თემი სენ. მაზრა	”	300 ”	”
558	”	გიგინეიშვილი გრიგოლ ალძახანის-ძე	1 ილორი სენ. მაზრა	”	200 ”	”
559	”	დუნდუა ბაგრატ შამას-ძე	მარანქოლობნის თემი სენ. მაზრა	”	200 ”	”
560	”	ლეჟავა იოსებ პეტრეს-ძე	მარანქოლობნის თემი სენ. მაზრა	”	500 ”	”
561	”	თელია სამსონ მათეს-ძე	მარანქოლობნის თემი სენ. მაზრა	”	200 ”	”
562	”	თელია გაიოზ დუტუს-ძე	მარანქოლობნის თემი სენ. მაზრა	”	200 ”	”
563	”	ჩორგოლაშვილი ვარლამ ბესარიონ.	სოფ. ბანძა	”	70 ”	”
564	17 ”	ზურაბოვი მიხეილ სოლომონის-ძე	ქ. თბილისი რკინის რიგი № 2	”	3000 ”	”
565	28 ”	მირინაშვილი გრიგოლ მალაქიას-ძე და გოლაშვილი იოსებ ივანეს-ძე		სასადილო	600 ”	”
566	”	ამირბეგოვი იოსებ იაგორის-ძე	ქ. თბილისი ბაზრის ქ. № 1	”	1400 ”	”
567	30 ”	ისაკოვ გიგო აბელის-ძე	ქ. თბილისი რუსის ქ. № 3	”	1000 ”	”
568	2 ივლისი	აკოფოვი ალექსანდრე იოსების-ძე	ქ. თბილისი ლაზარევის ქ. № 5	ღვინის სარდ.	800 ”	”
569	6 ”	ფილიევი ილარიონი	ქ. თბილისი კახეთის მოედ. № 2 ყოფილი მუხრანის ეზო	სასადილო	300 ”	”
570	”	ძიძაძე ვასილ ვასილის-ძე	ქ. თბილისი	ხილეულობის სავაჭ. სასადილო	1000 ” 600 ”	” ”

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **კ. ორჯონიკიძე**

ნ. 1443.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლო
(არტოს ბაღში).

პირველად თბილისში ახალი მხატვრული სურათი
„ლიუსეტა"
ორიგინალური სიუჟეტი. იშვიათი ანსამბლი

გრანდიოზიული სურათი
„მომაკვდავი ერები"
2 სერია, 12 ნაწილი, ელენა მაკოვსკაიას მონაწილეობით. ორივე სერია ერთად

უკანასკნელად
„შეიხი"
რუდოლფ ვალენტინოს მონაწილეობით.
ანონსი: სამშაბათიდან სამთა სიყვარული

0—10 ნ. 1388

ანონსი: მალე მხატვრული ისტორიული საუკეთესო სურათი „ტარას ტრიასილო"

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა"-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან. ½ წლით . . 5 მან. ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე სახლი № 16 დანიშნულია 26 ივლისს 1927 წ. დღით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ბიქტორ ბეგლარის-ძე ანჯაფარიძის ერთი 2 სართულიანი ქვითკირის სახლის, მდებარის იმავე ქუჩაზე, რომელიც შესდგება 12 საცხოვრებელი ოთახისაგან, სამი სამზარეულოსაგან და ორი ხის საკუჭნაოსაგან, აგებულის საეზოვე მიწაზე ზომით 300 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებული 5000 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ნესტორ ნარსიას და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 % საწინდარი. 1—1 3297

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვ. კ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 18 ივლისს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 117 პლეხანოვის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ხანზინის მოძრავ ქონებას: პიანინოს, წიგნის შკაფს, საწერ მაგიდას და სხვ. შეფასებულს 200 მანეთად. ალმშენებლობათა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 25 მაისს 1927 წ. თარიღით, № 1750 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1442

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.
0—1 მთავარი კანტორა

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 16 ივლისს 1927 წ. დღის 11 საათზე მუშტაიდის ბაღში, რკინის გზის კლუბში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ერასტი სურმავას, პავლე ბაქრაძის და სხვებ. მოძრავ ქონებას: რომელიც შესდგება სასადილო მაგიდებიდან, ბამბუკის სკამებიდან, სასადილო სუფრებიდან, ჭურჭლეობიდან და სხვ, შეფასებულს 332 მანეთად, თბილისის საუბნო რკინის გზის პროფკავშირის კლუბის გამგეობის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 18 მაისს 1927 წ. თარიღით, № 25695 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3305

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 15 ივლისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 5 ჩიხლაძის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. იუდა ბაბალაძის უძრავ ქონებას: ორსართულიან აგურის სახლს დახურულს თუნუქით და შემდგარს 15 ოთახისაგან ერთი სამზარეულოთი შეფასებულს 2500 მანეთად, ქიმიკოსთა კავშირის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 9 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 1907 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა იწარმოებს ს. ს. კ. 311—312 მუხლების დაცვით. ნ. 1442

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართვ. (Совторгфлот) თბილისის განყოფილება

აცხადებს, რომ 17 ივლისს დღის 12 საათზე საბაკო ქუჩ. № 4 მის მიერ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ოკიის ნაწარმოების (ხაფანგები), საღებავების, თოკების, ხე-ტყის მასალის, ფიცრების და ძველი სასწორების გასასყიდათ. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საბჭოთა სავაჭროფლოტის სამმართ. თბილისის განყოფილ. (საბაკოს ქ. № 4) დილის 8—3 საათამდე. ნ. 1441

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4-

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება პლეხანოვის პრ. № 58.
13—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან

დავკარგე აღმასრულებელი ფურცელი შილდის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილი ვანო ჩახტაურზედ და კოოპერატივი „მდელოსის" საწევრო გადასახადის ქვითარი ივანე ჯორჯაძეს სახელზე, ჩ. გ. 3304

დავკარგე სამხედრო საღრიცხვო ბარათი, გაცემული იროდიონ აპოლონის-ძე სურგულაძის სახელზე, ჩ. გ. 3302

დავკარგე სარეწავი მოწმობა, „პატენტი", პირადობის მოწმობა მოცემული ჩოხატაურის თემ-ალმასკომის მიერ და ორი ქვითარი გაცემული ნესტორ კობიძის სახელზე, ჩ. გ. 3298

დავკარგე საღრიცხვო ბარათი, მიღებული მესამე სამილიციო უბნიდან ტიტიკო გიორგის-ძე დოლიძის სახელზე, ჩ. გ. 3296

დავკარგე მეტრიკული ამოწერილობა № 3, კოლია პროკოფის-ძე შათირიშვილის სახელზე მოცემული შუასურების თემ-ალმასკომიდან, ჩ. გ. 3295

დაიკარგა: ორი კვიცი: ერთი 2 წლის, ულაყი, ნაცრის ფერი; მეორე 1 წლის, ფაშატი, წითელი ფერის, ფაფარში თეთრნარევი. ვინც რაიმე იცის ამ კვიცების შესახებ, ვთხოვთ გვაცნობოს ქალ. თბილისის მე-9 კომისარიატში. კვიცების დამალვისათვის დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული. 3299

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 24612, ნადია საგანელიძეს სახელზე, ჩ. გ. 3307

დავკარგე სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი № 235 რაფი ბოცვაძეს სახელზე, ჩ. გ. 3308

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.